ალია

70 თეთრი

N30/3346/ 23 მარტი 2016 წ ფასი 70 თეთრი

ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# რატომ ედავებიან „მასტერას“ მხოლოდ „ნავთლუღის ჩაცხრილვას“ და რატომ არ უხსენებენ სკანდალურ დანაშაულებს? 7



# ლგბტ-ების წინააღმდეგ პარლამენტში ახალი კანონპროექტი შედის

## ვინ აჟანტაჟებს დეპუტატებს? 11

# სინამდვილეში რა გამოძიება ჩაატარა პროკურატურამ და რატომ არ დაკითხეს მინისტრი თინა ხიდაშელი? 9



ევროპას თავისი გასჭირვებია — რუსეთი საქართველოში ქაოსს შექმნის?



5

რამდენად არის ჩვენთან მოსალოდნელი ტერაქტები? მოჰყვება გია დგებუაძის ექსტრადირებას სხვა ძებნილების ჩამოყვანაც? რატომ დაუპირისპირდა პრეზიდენტი ზურაბ აბაშიძეს?



3

რა კავშირშია ხმაურიან თაღლითურ საქმესთან ლადო სადღობელაშვილი?



10

განათლების მინისტრი საარჩევნოდ მანდატურების გამოყენებას აპირებს?



6

რატომ გაუხარდათ „ლიბერასტებს“ სამებაში ხანძრის გაჩენა?



13

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ისეთი რა ხალიჩა იყიდა განათლების სამინისტრომ, 12 ათასი ლარი რომ ადაიხადა?!



4

რა უნდა ვიცოდეთ, როცა კრედიტის აღებას ვგეგმავთ



8

როგორ ხდება ადამიანებზე პირადი ინფორმაციის ფარულად შეგროვება — სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდები



2

ქართველი პოლიტიკოსები, რომლებმაც მძიმე დაავადებები დაამარცხეს



12

# რეიტინგი პანიკის ხარჯზე: ინფორმაცია, რომ ფარული კადრები იყიდება, ბოროტი ხუმრობაა




„თბილისის ფორუმზე“ „საერთო ფორუმის“ განყოფილებაში ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ გახსნილი თემა „იყიდება ახალი კადრები“, მისი გახსნიდან მეხუთე დღეს მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში.

როგორც ყოველთვის, ამ თემისა და მისი შინაარსის, ანუ ბოროტი ხუმრობის ტირაჟირებისა და სერიოზული განხილვის ინიციატორი ისევ მედიასაშუალება აღმოჩნდა.

მეორე მხრივ, რაც შეეხება „თბილისის ფორუმზე“ თემის ავტორს, მისი ვინაობის დადგენა მარტივად, აიპი მისამართის მიხედვითაა შესაძლებელი და არაა გამორიცხული, ამ ბოროტი ხუმრობის გამო სამართალდამცველებთან პრობლემებიც შეექმნას, რადგან მსგავსი ინფორმაციის გავრცელება იმ სახით, რა სახითაც ის ვრცელდება, ასევე, დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ახლა კი მოკლედ, იმის შესახებ, რა ეწერა თემაში ფორუმზე და რა „გამოაცხო“ იქიდან ინფორმაციის გამავრცელებელმა ერთ-ერთმა სააგენტომ:

თემაში აღნიშნული იყო, რომ უცხოეთში ბიტკოინებში იყიდება ქართველ პოლიტიკოსთა პირადი ცხოვრების ამსახველი, ასევე, ციხეებში პატიმართა წამების, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაგეგმვისა და სხვა კადრები. მითითებულია დასახელება, ქრონომეტრაჟი, აღწერა, ფასი და ა.შ. შემდეგ გვერდებზე თემის ავტორი მომხმარებელი უფრო შორს მიდის და დეტალურად აღწერს ვითომდა მის მიერ შეძენილი კადრების შინაარსს, პერსონების დასახელებით.

ასევე, მეტი დამაჯერებლობისთვის, აქვეყნებს ბმულს, რითაც თითქოს დასტურდება, რომ ტრანზაქცია ნამდვილად შეასრულა. თემის დასაწყისში იმ რესურსის ბმულიცაა დადებული, სადაც, თითქოსდა შესყიდვა მოხდა, თუმცა, როგორც ერთი, ასევე, მეორე ბმული ყალბი და ვადაგასულია, ამასთანავე, მეორე, ანგარიშსწორების ბმულზე, საერთო ჯამში, ბიტკოინის სხვადასხვა რაოდენობის 19.000 გადარიცხვაა შესრულებული (ბიტკოინი 2008 წელს შექმნილი, ვირტუალურკრიპტოგრაფიული, ამასთანავე, ანონიმური, დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტაა. – რედ.), ხოლო საიტი, სადაც თითქოსდა კადრების შესყიდვა არის შესაძლებელი, დიდი ხანია ცნობილია, როგორც იუმორისტული, ე.წ. ტროლი საიტი.

ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ სააგენტომ სწორედ „თბილისის ფორუმზე“ გამოქვეყნებული ინფორმაცია გამოიყენა, როცა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „პროკურატურა შოკშია! Georgian politicians pri-



vate sex 12:42 minutes 8 000 12:42 8 000 დოლარად გაყიდვა დაიწყო“, ხოლო შემდეგ სათაურს „პროკურატურა შოკშია!“ მოაშორა, მაგრამ თავდაპირველად გამოქვეყნებულმა სათაურმა, ცხადია, დიდი როლი ითამაშა, ლამის პანიკის აწევაში...

ამ ყველაფერს ხელს ისიც უწყობდა, რომ მედიარესურსმა დაწერა, შსს-სა და პროკურატურას მივმართეთ და კომენტარში გვითხრეს, რომ საქმის კურსში არიანო. მინიშნება ეხებოდა იმას, რომ პროკურატურა საქმის კურსშია უცხოეთში გამოქვეყნებული კადრების შესახებ, სინამდვილეში კი პროკურატურისა და შსს-ს პრესსამსახურის წარმომადგენლებმა ის კი არ დაადასტურეს, რომ ასეთი კადრები ნამდვილად არსებობს, არამედ ის, რომ საქმის კურსში არიან კადრების გამოჩენასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაზე... (fmabkhazia.com)

# თინათინ ხიდაშელისა და სააკაშვილის ლობისტების შეხვედრა ლონდონში







სააგენტო „ემპრესმა“ მოიპოვა ფოტოები, სადაც აღბეჭდილია თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, რომელიც ლონდონში ვიზიტისას რადისლავ შიკორსკის, პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრსა და მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ ლობისტს კარლ ბილდტს...შეხვდა.

შეხვედრის დეტალების დასაზუსტებლად დავუკავშირდით თინათინ ხიდაშელის მრჩეველს მედიასთან ურთიერთობების საკითხებში იმედა დარსალიას. დიალოგის დაწყებისას მან განაცხადა, რომ რამდენიმე წუთი ჰქონდა თავისუფალი, რათა კითხვებზე ეპასუხა.

კითხვის შემდეგ: „რა საკითხები განიხილა თავდაცვის მინისტრმა ზემოხსენებულ პირებთან“, იმედა დარსალიამ უეცრად განაცხადა, რომ ის პოლიგონზე იმყოფებოდა და ჟურნალისტს სთხოვა, 1 საათის შემდეგ დაკავშირება (ალბათ, უფროსობის გარეშე ამ კითხვაზე პასუხი კარგ შედეგს არ მოუტანდა მისი და ქალბატონი თინათინის რეპუტაციას).

გავიდა 1 საათი, იმედა დარსალიას მოკლეტექსტური შეტყობინება მივწერეთ, მზად იყო თუ არა, გაეკეთებინა კომენტარი, რაზეც გვიპასუხა, რომ ჯერ მზად არ იყო....გავიდა 2 საათი...და ანალოგიურ კითხვაზე მოვიდა პასუხი:

– ბოდიში, ვერ გავაკეთებთ კომენტარს...

ისღა დაგვრჩენია, მკითხველს მივანდოთ ანალიზი იმისა, რაზე შეიძლება ემსჯელათ ჩვენი ქვეყნის ერთგულ თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელს და მიხეილ სააკაშვილის ლობისტებს ლონდონში, არაოფიციალურ შეხვედრაზე. (mpress.ge)

# სააკაშვილი: ჩემი რჩევა „ნაცმოძრაობას“ ოქტომბრის არჩევნებში გარდაუვალი გამარჯვებისთვის



მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში „ნაციონალურ მოძრაობას“ ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებისთვის რჩევას აძლევს.

– ჩემი აზრი და რჩევა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.

„ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის იყო ახალი ტენდენციების საფუძვლის ჩამყრელი და ახლაც უნდა გამოვიდეს რამდენიმე ახალი ინიციატივით, რომელთაგან პირველი შეიძლება იყოს სრული პარიტეტის დაწესება ქალბატონებისთვის. საერთო განახლების ფარგლებში წინასწარ გამოვაცხადოთ, რომ პარტიის საპარლამენტო არჩევნების სიებში კანდიდატთა 50 პროცენტი იქნება ქალი.

ჯერ ერთი, ამით ხაზი გაესმევა ქალების როლის ქართველ საზოგადოებაში, ობიექტურად ხელს შეუწყობს განახლებას და უკეთესად მოგვამზადებს ოქტომბრის არჩევნებში გარდაუვალი გამარჯვებისთვის.

დარწმუნებული ვარ, საერთოდ არ გაგვიჭირდება ძალიან ღირსეული ქალი კანდიდატების მოძებნა და მათი ამორჩევა. ამასთანავე, ამ კანდიდატების საზოგადოებისთვის წარდგენა დროულად უნდა შევძლოთ, – წერს მიხეილ სააკაშვილი. (ipress.ge)

# დგებუაძის საქმის განხილვა, მხოლოდ ე.წ. ნავთლუღის საქმის ფარგლებში მოხდება – ირაკლი შოთაძე



გიორგი დგებუაძის ჰოლანდიიდან ექსტრადირებაზე პირველი კომენტარი საქართველოს მთავარმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ გააკეთა. შოთაძე მომხდარს საგამოძიებო უწყების ეფექტურ მუშაობას უკავშირებს:

– ექსტრადირების პროცესი საკმაოდ რთულ პროცედურებს მოიცავს, შესაბამისად, საქართველოს პროკურატურამ უდიდესი სამუშაო გაწია იმ მიმართულებით, რომ მომხდარიყო გიორგი დგებუაძის საქართველოში ექსტრადირება, ჩვენი მოთხოვნა დასაშვებად იქნა ცნობილი ჰოლანდიის სასამართლოს მიერ და შესაბამისად, მოხდა გიორგი დგებუაძის ექსტრადირება საქართველოში, რომელიც ჩვენივე მოთხოვნით ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა. ამ ეტაპზე მისი ექსტრადირება საქართველოში მოხდა სწორედ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ნავთლუღის საქმის ბრალდების ფარგლებში, შესაბამისად, საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, მოხდება მისი საქმის განხილვა მხოლოდ ამ ბრალდების ფარგლებში, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ. (ნიუპოსტი)

# რიჩარდ მაილსი: ბუშმა სააკაშვილი რუსეთთან ომის საფრთხეზე ორჯერ გააფრთხილა



რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტებსა და რეგიონში რუსეთის პოლიტიკაზე „ამერიკის ხმა“ სპეციალურად გადაცემა „ქრონიკისთვის“ საქართველოში ამერიკის ყოფილ ელჩ რიჩარდ მაილსს ესაუბრა.

როგორც ყოფილი ელჩი აღნიშნავს, 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, რისკენაც მაშინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ჯორჯ ბუშ-უმცროსმაც მოუწოდა.

– 2004 წლის აგვისტოში პრეზიდენტ სააკაშვილის ლიდერობით ქართულმა არმიამ სამხრეთ ოსეთის აღება სცადა. ეს ოპერაცია კარგად არ წარიმართა და ჯარმა მალევე უკან დაიხია, ამას ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა.

2005 წლის მაისში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანი მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილება იყო. ჩემი თანდასწრებით ბუშმა სააკაშვილს ორჯერ უთხრა, რომ იმის გამეორება, რაც 2004 წლის აგვისტოში მოხდა, სტრატეგიული და პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა, რომელსაც შესაძლოა, რუსეთის საქართველოში შეჭრა მოჰყოლოდა. ამან პრეზიდენტი სააკაშვილი გარკვეული პერიოდით შეაჩერა, მაგრამ მას და მისი მთავრობის წევრებს ყოველთვის „სამხრეთ ოსეთის“ შემოერთება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სურდა. ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, – განაცხადა მაილსმა.

როგორც „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი აღნიშნავს, ყოფილი ელჩი არ იზიარებს რეგიონის ექსპერტების შეფასებას იმის შესახებ, რომ 2008 წელს რუსეთის აგრესიაზე დასავლეთის სუსტმა რეაქციამ რუსეთი წაახალისა და ყირიმის ანექსია სწორედ ამ პოლიტიკის გაგრძელებაა. ყოფილი ელჩი ამბობს, რომ საქართველოს სამხედრო დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

– დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხის დიდ ნაწილს და საქართველოს მთავრობას ერჩივნა, ჩვენ უფრო მკაცრი ზომები მიგვეღო, მაგრამ ეს არასდროს განიხილებოდა. ჩვენ არ გვითქვამს, რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში მკაცრ ნაბიჯებს გადავდგამდით, ეს ასე არ ყოფილა.

მე მესმის ქართველების დიდი ნაწილის იმედგაცრუება იმით, რომ შეერთებული შტატები ან სხვა მეგობრები, მოკავშირეები სამხედრო მეთოდებით არ ჩაერთვნენ. რუსეთის მიერ საქართველოს ინტერვენციამ რუსეთის ფედერაციის გავლენა გაზარდა და მან აჩვენა, რომ რუსეთს აქვს პოლიტიკური მზადყოფნა თავისი საზღვრების მახლობლად სამხედრო ძალა გამოიყენოს, – ამბობს რიჩარდ მაილსი. (ipress.ge)

# ხატია ბუნიათიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ სიაში? – რას წერს პიანისტის და გავრცელებულ ჭორზე




პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველი ათეული ახალი სახეებით დაკომპლექტდება. ამის შესახებ ინფორმაცია „რუსთავი 2“-მა გაავრცელა. ტელეკომპანიის ინფორმაციით, პარტიაში წინასაარჩევნოდ კონსულტაციები გაიმართება, ასევე, სახელდება რამდენიმე კანდიდატი, რომლებიც შესაძლოა, პარტიის ახალ სახეებად ვიხილოთ. მათ შორის საუბარია ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეზე, ყოფილ სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშზე, ადვოკატებზე – ოთარ კახიძესა და ზაზა ბიბილაშვილზე და პიანისტ ხატია ბუნიათიშვილზეც კი.

აღნიშნულ ინფორმაციას მსოფლიოში ცნობილი პიანისტის და გვანცა ბუნიათიშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ეხმაურება:

– ძვირფასო მეგობრებო! შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ ინფორმაცია ხატიას პარტიულ სიაში შესაძლო ყოფნის შესახებ, არასწორია, – წერს გვანცა ბუნიათიშვილი.

პოსტს ეხმაურებიან კომენტარებში და წერენ, რომ ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ცნობილი პიანისტი მსგავს გადაწყვეტილებას არ მიიღებდა:

– მადლობა ღმერთს, გამიხარდა, – წერს კომენტარში ია ფარულავა. თუმცა ნაწილი წუხს, რომ პიანისტს პარლამენტში ვერ იხილავს:

– ძალიან დამწყდა გული, საქართველოს პარლამენტს ზუსტადაც ხატიასნაირი პატრიოტები სჭირდება, – წერს ერთ-ერთი „ფეისბუკ“-მომხმარებელი.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სანდრა რულოვსი „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველ ნომრად განიხილებოდა, რაც მოგვიანებით ყოფილმა პირველმა ლედიმ ასე შეაფასა:

– მინდა ყველას გასაგებად ვთქვა და ნურავის ნუ ეწყინება, რომ მე ბუნებით უფრო რეჟისორი ვარ, ვიდრე მსახიობი, რომელიც სხვისი დაწერილი სცენარიდან როლებს ირგებს! (ambebi.ge)

# ბრიუსელში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის ცხელი ხაზის ნომრები ამოქმედდა



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრიუსელში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის ცხელი ხაზის ნომრები გამოაქვეყნა.

– ბრიუსელის აეროპორტში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით ბელგიის სამეფოში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ამოქმედდა საკონსულო სამსახურის ცხელი ხაზი: +32 4777 000 34 / +32 470 2442 62, – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (marshalpress.ge)

## ტერაქტების გამო ბრიუსელში ქართული დელეგაციის ყველა შეხვედრა გაუქმდა



ევროპარლამენტში ბრიუსელში მომხდარი ტერაქტების გამო ყველა სხდომა და შეხვედრა გადაიდო. ამის შესახებ ბრიუსელიდან „რუსთავი 2“-ს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აცნობა.

ეკა ბესელია დეპუტატებთან ერთად ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

– გაუქმდა ჩვენი ყველა შეხვედრა და შეწყდა ევროპარლამენტის სესიაც, – აცხადებს ბესელია. მისივე თქმით, უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული ყველა ოფიციალურ უწყებაში, მათ შორის ევროპარლამენტშიც. (rustavi2.com)

## ინგა გრიგოლია: „მაგრად მკიდია ფეხებზე, ვინ რას ამბობს და წერს ჩემზე, მაგრამ“



ინგა გრიგოლია სოციალურ ქსელში აღნიშნავს, რომ „ფეისბუკზე“ ხშირად სწერენ, რა ჭორები ვრცელდება მის შესახებ.

ტელეწამყვანი ფიქრობს, რომ ვისაც ეს კარგი მეგობრობა ჰგონია, ძალიან ცდება...

– სრულიად გულწრფელად მაინტერესებს, ჩემი მეგობრები რომ გქვიათ, თუნდაც ფბ სივრცეში და რამდენი ტვინგამოლაყებული რაიმე ჭორს, საზიზღრობას და სიგიჟეს დაწერს ან იტყვის ჩემზე, ერთ წამში რომ მიკოპირებთ და ინბოქსში მიყრით, ეს კარგი ტონია და კარგი მეგობრობა გგონიათ?

ნერვები მაქვს ძალიან მყარი, რეაქცია ბოროტებსა და ავადმყოფებზე დიდი ხანია მაქვს ნული, იმუნიტეტი მუქარასა და ჭორებზე მაქვს ძალიან მყარი, მაგრამ მაკვირვებს ზოგიერთი ჩემი „ფრენდის“ ასეთი მონდომება, დილიდან საღამომდე მხოლოდ ცუდი ამბები მიყარონ ინბოქსში.

მე მაგრად მკიდია ფეხებზე, ვინ რას ამბობს და წერს ჩემზე, მაგრამ თქვენ რა გრჯით, დილაადრიან რომ ჩემზე ჭორ-მართალ ამბებს აგროვებთ და მერე მე მამცნობთ? მეტი საქმე არ გაქვთ, ჩემით რომ არ იყოთ მარტო დაკავებულები?

საკუთარი საქმით და ცხოვრებით დაკავდით, მეგობრებო, და მერე მართლა აღარ დაგაინტერესებთ სხვისი ცხოვრება... ესაა ჩემი უფასო რჩევა თქვენთვის, – წერს ინგა გრიგოლია საკუთარ გვერდზე. (musicbox.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



## რამდენად არის ჩვენთან მოსალოდნელი ტერაქტები? მოჰყვება გია დგებუაძის ექსტრადირებას სხვა ძებნილების ჩამოყვანაც? რატომ დაუპირისპირდა პრეზიდენტი ზურაბ აბაშიძეს?



**„ალიას“ „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი, ნანა დევდარიანი ესაუბრა:**

– ჩვენ სტრატეგიული პარტნიორობა გვაქვს შეერთებულ შტატებთან, რომელიც დღევანდელი ვითარებით, ევროკავშირის უფროსი ძმაა და ევროკავშირი ძალიან ბევრ პრინციპულ საკითხში შეერთებული შტატების მითითებით მოქმედებს. ის, რაც ახლო აღმოსავლეთში მოხდა და წლების განმავლობაში ხდება, რა თქმა უნდა, დიდწილად არის შეერთებული შტატების გაუაზრებელი პოლიტიკის დამსახურება, ახლო აღმოსავლეთში უძველესი ცივილიზაციებია და გარედან ჩარევა, მცდელობა, რომ შენი პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური მოდელი მოახვიო თავს, არასდროს კარგით არ მთავრდება. ამიტომ არის, რომ საერო სახელმწიფოები, როგორიც იყო ლიბია, ერაყი, ფაქტობრივად, ისლამისტების ბუდედ გადაიქცა. ჩვენთან, რა თქმა უნდა, სიფრთხილის ზომები გასამკაცრებელია, რადგან ტერორს ლოგიკა არ გააჩნია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვართ ისეთი წონის მოთამაშეები, რომ ვიყოთ „ისლამური სახელმწიფოს“ სამიზნე. თუმცა საფრთხეები არის, რადგან მათ რუკაზე საქართველოც არსებობს, როგორც ისლამისტური სახელმწიფოების ინტერესების არე.

**— როგორ ფიქრობთ, გია დგებუაძის, იგივე „მასტერას“ ექსტრადირებას მოჰყვება სხვა ძებნილების გადმოცემაც?**

– ყველა საკითხი ძალიან პერსონალურია და ყოველთვის დამოკიდებულია იმაზე, რა დოკუმენტებით ითხოვს სახელმწიფო პირის ექსტრადირებას. ის უნდა იყოს უკიდურესად დასაბუთებული ბრალის ნაწილში, ანუ მტკიცებულებები უნდა იყოს სერიოზული და შეუვალი და საქმე უნდა იყოს სათანადოდ მომზადებული. ის, რომ „მასტერა“ გადმოგვცეს, არ ნიშნავს, რომ ავტომატურად ყველა ძებნილის გადმოცემა მოხდება, ყველა შემთხვევაში ეს არის კონკრეტული საქმეები და პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად გულმოდგინედ აქვს პროკურატურას მათზე ნამუშევარი.

**— და როგორ ფიქრობთ, პროკურატურა რამდენად გულდასმით მუშაობს ასეთ საკითხებზე? მით უმეტეს, ძებნილების უმეტესობა ფარულ ჩანაწერებთან ასოცირდება, რის გამოძიებასაც, ძალოვანი უწყებები პრინციპულად შეგვპირდნენ.**

– ამას წინათ მქონდა შეხება სამოქალაქო საქმესთან სასამართლოში, როგორც გავარკვიე, თითო მოსამართლეს 700-800 საქმე აწერია და იგივე მდგომარეობაა სისხლის სამართლის საქმეებზე. ახლა წარმოიდგინეთ, ამდენი საქმე ქუჩიდან ხომ არ არის მისული? ეს პროკურატურის დამუშავებულია, ხომ?

**— კი, ბატონო, მაგრამ არ შეიძლება ასეთი დონის დამნაშავეებისა და ძებნილების ექსტრადირების საკითხს ცოტა მეტი პრიორიტეტი მიენიჭოს?**

– მე მაგის მომხრე არ ვარ. უამრავი დაზარალებულია აქ, ადგილზე და მათ უთხრა, – შენ მოიცადე, რადგან მე ვილაცის ჩამოყვანა პრიორიტეტში მაქვს და შენი საკითხი არაო, ეს არის ძალიან რთული, წარმოუდგენელი. ეს არ ხსნის პროკურატურას ტვირთს და მან უნდა იმუშაოს როგორც ძებნილების საკითხზე, ისე აქ მომხდარ კრიმინალსა და სხვა საქმეებზე, რადგან ძალიან ბევრი ასეთი საქმე დაგროვდა. ათასობით საქმეა განსახილველი და ხალხი რომ ამბობს, სამართლიანობა არ აღდგაო, სწორედ ამიტომ ამბობს – დიდი მასალებია დაგროვილი და პროკურატურა, როგორც ჩანს, ვერ უმკლავდება. მაგრამ ეს არანაირ გამართლებას არ წარმოადგენს ხელისუფლების. ვერ უმკლავდები? გააკეთე ისე, შექმენი ის ვითარება, რომ პროკურატურამ შეძლოს საქმეების ბოლომდე მიყვანა – გააძლიერე, შტატები დაამატე, მეტი დაფინანსება მიეცი, მაგრამ საზოგადოებრივი ინტერესი უნდა დაკმაყოფილდეს.

**— პროკურატურამ განაცხადა, საგარეჯოს შუალედურ არჩევნებში დანაშაულის ფაქტი ვერ აღმოვაჩინეთო და გამოძიება შეწყვიტა. რატომ, როგორ ფიქრობთ?**

– როდესაც ეიფორია გაჩნდა ჩვენს საზოგადოებაში – აი, დაიწყო პროკურატურამ ამ საქმეზე გამოძიებაო, მე მაშინვე ვთქვი, რომ სულაც არ არის გამორიცხული, თვითონ „რესპუბლიკელები“ შეეცადნენ ამ პროცესის დაძვრას, რომ დამდგარიყო ის შედეგი, რაც დადგა, ვიდრე მუდმივად ყოფილიყო ბრალდებები. მე კონკრეტულ საქმეს არ ვიცნობ, მხოლოდ პროკურატურის განცხადება ვიცი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორია მთლიანობაში დასკვნა და რას ეყრდნობა. მე არ ვფიქრობ, რომ თავდაცვის მინისტრის მიმართ არსებული ბრალდებები უსაფუძვლო იყო, ძალიან რომ დებენ თავს ევროპულობასა და მედასავლეთეობაზე, ასეთი ბრალდებების შემთხვევაში, ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოში მინისტრი გადადგებოდა, რადგან მინისტრს ჩრდილი არ უნდა მიადგეს.

> **„მე არ ვფიქრობ, რომ თავდაცვის მინისტრის მიმართ არსებული ბრალდებები უსაფუძვლო იყო, ძალიან რომ დებენ თავს ევროპულობასა და მედასავლეთეობაზე, ასეთი ბრალდებების შემთხვევაში, ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოში მინისტრი გადადგებოდა, რადგან მინისტრს ჩრდილი არ უნდა მიადგეს“**

**— გადადგა კი არა, როგორც მთავარმა პროკურორმა შოთაძემ განაცხადა, ხიდაშელი არც დაუკითხავთ.**

– ელემენტარულად, თვითონ უნდა მისულიყო და ახსნა-განმარტება მიეცა, ეს არის სახელმწიფო მოხელის მორალი ელემენტარულად, რომ შენ თვითონ უნდა მისცე შენს თანამოქალაქეებს იმის მაგალითი, რომ კანონს ემორჩილები და გამოძიებასთან თანამშრომლობ და პროკურატურასთან არ თაკილობ ახსნა-განმარტების მიცემას. რაც შეეხება იმას, რამდენად იყო ან არ იყო ხიდაშელის დაკითხვა საჭირო: რა თქმა უნდა, მისი დაკითხვა ბევრად უკეთესი იქნებოდა პროკურატურისთვისაც, ხიდაშელისთვისაც, საზოგადოებისთვისაც და მთლიანად პოლიტიკური სპექტრისთვისაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ხიდაშელი ბოლო დროს ძალიან არაადეკვატურია მიმდინარე მოვლენების მიმართ.

**— გრიგორი კარასინის მუქარანარევი განცხადების გამო, პრეზიდენტი ზურაბ აბაშიძეს დაუპირისპირდა — საკადრისი პასუხი რატომ არ გაეციო. რამდენად სამართლიანია ეს პრეტენზიები აბაშიძის მიმართ?**

– აბაშიძეს მოვთხოვოთ ჩვენ, რატომ არ შეხვედი პოლემიკაში კარასინთან იმიტომ, რომ თინა ხიდაშელმა სრულიად გაუფრთხილებელი განცხადება გააკეთა – ამას ლოგიკა არ აქვს. თავდაცვის მინისტრი თავს კი უნდა აკონტროლებდეს იმდენად, რომ არ ლაპარაკობდეს ისე, თითქოს, აქ სადღაც სოფელში, ორღობეში ვიღაც დედაკაცს უჩურჩულა და ვერავინ ვერაფერი გაიგო. ეს არის ოფიციალური პირისა და ძალიან სერიოზული უწყების ხელმძღვანელის ძალიან მოუზომავი განცხადება. მისი განცხადების შინაარსთან შედარებით, კარასინის ნათქვამი გაცილებით რბილია – მან თქვა, როდემდე შეიძლება ასე, ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარიო, ხიდაშელმა კი თქვა, – მთელი ცივილიზებული მსოფლიო უნდა გაერთიანდეს რუსეთის წინააღმდეგო. რომელი უფრო მძიმე განცხადებაა? ჩვენს პოლიტიკოსებს სასწორი რომ ჰქონდეთ და აწონონ ხოლმე, ვისი ნათქვამი რა წონისაა, ალბათ, აჯობებდა. აბაშიძე კვალიფიციური დიპლომატია და ის პასუხი გასცა, რაც უნდა გაეცა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნანუკა ჟორჟოლიანი გიგი უგულავაზე დაქორწინებასთან დაკავშირებით ჭორებს უარყოფს



გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნანუკა ჟორჟოლიანი მატროსოვის ციხეში თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას გაჰყვა ცოლად. ინფორმაციას ერთ-ერთი სააგენტო ავრცელებს უცნობ წყაროზე დაყრდნობით.

ნანუკა ჟორჟოლიანი ამ თემასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს.

– როდესაც ემიგრანტების 90% შენგან იღებს ინფორმაციას, როდესაც გაქვს პრეტენზია გერქვას სააგენტო, შუბლზე ძარღვი არ უნდა გაიწყვიტო და ორღობის ჭორიკანასავით არ უნდა დაწერო ყველა მარაზმი!

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, შექმნას ტროლი და შეაგდოს ინფორმაცია სააგენტოში, ამ დროს რას ვშვრებით! ყველანაირ დებილობას, სისულელესა და იდიოტობას ვწერთ სააგენტოზე! დროს გაძლევ, აიღო ეს სისულელე შენი გვერდიდან, თორემ სასამართლოში შევხვდებით! (daijesti.pia.ge)

## „ჩემი მეუღლე და ვაჟი ბრიუსელის აეროპორტში იმყოფებოდნენ“ — მიხეილ სააკაშვილი



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში ბრიუსელში მომხდარ აფეთქებებს ეხმაურება:

– ჩემმა მეუღლემ და ვაჟმა რამდენიმე საათი გაატარეს იმ ტერმინალში ბრიუსელის აეროპორტში, რომელიც დილით ააფეთქეს ტერორისტებმა. ისინი ტერაქტამდე რამდენიმე საათით ადრე გამოფრინდნენ. როცა მე ამ ტრაგედიის შესახებ წავიკითხე, უკვე ვიცოდი, რომ მათ გამოფრენა მოასწრეს, მაგრამ მაშინვე ვიფიქრე იმ მსხვერპლის ახლობლებსა და ნათესავებზე, რომლებიც ვერ გადარჩნენ. ეს საშინელი ტრაგედიაა და სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არ არის უკანასკნელი. ფაქტის კონსტატაციაა საჭირო, რომ სხვა მიზეზებთან ერთად ეს არის ბიუროკრატიის, სისუსტისა და მკაცრი გადაწყვეტილებების მიღების არცოდნის ბრალი, – წერს მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

## საპატრიარქო ფარული ჩანაწერების გავრცელებაზე განცხადებას ავრცელებს



ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს:

– ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ ვგმობთ ყოველგვარი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღებისა და გასაჯაროების ფაქტს და მივიჩნევთ, რომ ასეთი ქმედება არის გამიზნული ბოროტება და დანაშაული, როგორც ამა თუ იმ პიროვნების, ისე ქვეყნის წინააღმდეგ.

ამავე დროს, აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანული სამყარო, ისევე, როგორც ყველა ტრადიციული რელიგია, რა თქმა უნდა, დაიცავს და აკურთხებს მხოლოდ კანონიერ მეუღლეებს შორის სიყვარულისა და ქორწინების საფუძვლებზე დამყარებულ ურთიერთობებს და ყოვლად მიუღებლად თვლის ნებისმიერი სახის სხვა თანაცხოვრებას.

რაც შეეხება მონანულ ადამიანს, მას ეკლესია იწყნარებს და სიყვარულით უღებდა და კვალავაც გაუღებს კარს, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში. (პირველი რადიო)

## „შესაძლებელია, კადრების ასლები არსებობდეს და შესაძლებელია მისი ტირაჟირება ხდებოდეს სხვადასხვა მეთოდით“



ფარული ვიდეომასალის გასაჯაროებასა და მასზე მიმდინარე გამოძიების შესახებ უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე საუბრობს. კობახიძის შეფასებით, პრევენცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სასჯელის გამკაცრებით.

– ის, რაც ერთხელ უკვე ჩაიწერა, არის ძალიან ამაზრზენი. თავისთავად უკვე ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია ამ კადრების ასლები არსებობდეს და შესაძლებელია მისი ტირაჟირება ხდებოდეს სხვადასხვა მეთოდით. პრევენცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ძალიან მკაცრი პასუხით, სასჯელის გამკაცრებით და რაც მთავარია – იმ პირთა დადგენით და პასუხისგებაში მიცემით, ვინც ამას ახორციელებს, რომ ეს იყოს მაგალითი სხვა პირებისთვის, ვისაც აქვს ასეთი ბოროტი განზრახვა, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (პირველი რადიო)

## „ელისაშვილმა არ დაასახელა პირი, რომელსაც შესაძლო კორუფციულ გარიგებასთან დაკავშირებით ინფორმაცია ჰქონდა“



მთავარი პროკურორი ე.წ. შეწყალების საქმის გამოძიების პროცესის შეწყვეტაზე საუბრობს და აცხადებს, რომ პროკურატურა თავიდანვე მოკლებული იყო შესაძლებლობას, საქმეზე რაიმე რეალური შედეგი დაედო, ვინაიდან შოთაძის თქმით, არაერთი მოწოდების მიუხედავად, ალეკო ელისაშვილმა არ დაასახელა პირი, რომელსაც შესაძლო კორუფციულ გარიგებასთან დაკავშირებით ინფორმაცია ჰქონდა.

– მე თავის დროზე მოვუწოდე ელისაშვილს, რომ გამოძიებასთან ეთანამშრომლა და ის პიროვნება დაესახელებინა, რომლისგანაც, მისი განცხადებით, მას ჰქონდა ინფორმაცია შესაძლო კორუფციის შესახებ, თუმცა მან ეს არ გააკეთა. შესაბამისად, თავშივე მოკლებული ვიყავით შესაძლებლობას, ამ საქმეზე რამე რეალური შედეგი გვქონოდა, – განაცხადა მთავარმა პროკურორმა.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა თავად შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ალეკო ელისაშვილის წინააღმდეგ დაიწყოს გამოძიება ცრუ დასმენის ბრალდებით, შოთაძე აცხადებს, რომ ამის საფუძველი რომ ყოფილიყო, მის წინააღმდეგ გამოძიება უკვე დაწყებული იქნებოდა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრი“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არამიზნობრივ ხარჯებზე და შესაძლო კორუფციულ გარიგებაზე საუბრობს.**

**რისთვის გამოყო სანიკიძის უწყებამ 12 ათასი ლარი და რას პასუხობენ „ალიას“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**ში?

**„ალიას“ ა/ო „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ დამფუძნებელი, ზვიად კუპრავა ესაუბრა:**

## ისეთი რა ხალიჩა იყიდა განათლების სამინისტრომ, 12 ათასი ლარი რომ გადაიხადა?!





– გასულ წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პრესკონფერენციების დარბაზის მოსაწყობად, რბილი იატაკის (ხალიჩის) შესაძენად ტენდერი გამოაცხადა. სამინისტრომ ამ ხალიჩის შესაძენად, გამოყო 11 ათას 930 ლარი.

ტენდერში სხვა კომპანიებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო შპს „თელამ“, რომელმაც გაიმარჯვა, თუმცა, როგორც მითითებულია, ამ კომპანიამ ტექნიკური ხასიათის უზუსტობების გამო, ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები და საბოლოოდ ვერ შედგა ტენდერი და კომპანიამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვერ გაუწია აღნიშნული მომსახურება.

ამ ამბის მთელი არსი არის ის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მზად იყო, თითქმის 12 ათასი ლარი გადაეხადა ერთ ხალიჩაში. საერთო ჯამში, ეს თანხა არის იმ ოდენობის, რომ მთელი წლის განმავლობაში, ამ თანხით შესაძლებელია იმ 5 სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება, რომლებსაც სწავლის გადასახადის გადაუხდელობის გამო სტუდენტის სტატუსი შეუჩერდათ, ან მალე შეუჩერდებათ.

ამავდროულად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებში პირველკლასელებს და არამარტო მათ, ურიგებს მეორად სახელმძღვანელოებს, მიზეზად კი ამბობს, რომ თურმე, ბიუჯეტში ახალი სახელმძღვანელოებისთვის ფული არ გააჩნიათ.

**— რასთან გვაქვს საქმე ამ თემის სახით?**

– ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯი. ეს არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავად წყვეტს, რა ფასად უნდა შეიძინოს ნებისმიერი რამ. წარმოუდგენელია, ერთ ხალიჩაში იხარჯებოდეს 12 ათასი ლარი. რა ხდება, ხალხნო, ავაწყვეთ ქვეყანა და სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები არ გვაქვს?! განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ფინანსდება ხალხის ფულით, არ უნდა აძლევდეს საკუთარ თავს იმის ფუფუნებას და მორალურ უფლებას, რომ 12 ათას ლარს ხარჯავდეს საკუთარი კომფორტისთვის.

ამავდროულად, ჩვენ ამ საკითხში ვხედავთ კორუფციის ნიშნებს. არ ვიცით, ვინ დგას შპს „თელას“ უკან, გარდა იმისა, რომ მისი ხელმძღვანელი ვინმე დავით სანთელაძეა, მაგრამ 12 ათასი ლარი ერთი ხალიჩის შესაძენად არის არარეალური თანხა.

**— რატომ დაინტერესდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესყიდვებით, ხშირია ასეთი ტიპის შესყიდვები?**

– მსგავს შესყიდვებს ყოველთვის ვადევნებთ თვალყურს, ამ შესყიდვაში ამ ერთ ხალიჩაში 12 ათასმა ლარმა „მომჭრა თვალი“. გავაგრძელებთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონიტორინგს და ყველა მსგავს შესყიდვას გავასაჯაროებთ.

**„ალია“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა. გავაინტერესებდა, რამდენად მორალურად და გამართლებულად მიიჩნევდა უწყება ერთ ხალიჩაში 12 ათასი ლარის გადახდას, მაშინ როდესაც სამინისტროში უამრავი პრობლემაა, რომლებიც ბიუჯეტში არასაკმარისი თანხების გამო ვერ გვარდება.**

„თქვენ მიერ დასახელებულ ტენდერში, საუბარი იყო, არა ხალიჩაზე, არამედ რბილ იატაკზე, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს.

ტენდერი უარყოფითი შედეგით დასრულდა, ვინაიდან გამარჯვებულ კომპანიას მიენიჭა დისკვალიფიკაცია. შესაბამისად, არ მომხდარა ამ რბილი იატაკის შეძენა და ისევ ძველი, 10 წლის იატაკი გვაქვს, სამწუხაროდ.

რაც შეეხება მორალს – ტენდერი მეორეჯერ არ გამოცხადებულა იმის გამო, რომ სახსრები დაზოგილიყო უფრო პრიორიტეტული საკითხისთვის“, – განგვიმარტეს უწყების პრესსამსახურში.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „წარმოვიდგინე ერთი კუბიკი ყელში რომ გაჩხეროდა „მასტერას“ და დამხრჩვალიყო, რამდენი ადამიანი ასცდებოდა ბოროტებას...“






აფხაზეთის ომის ვეტერანი მალხაზ თოფურია კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, გიორგი დგებუაძის, იმავე „მასტერას“ შესახებ „ფეისბუკში“ საინტერესო სტატუსს აქვეყნებს:

– ერთ ნაკლებად პრესტიჟულ ბაგა-ბაღში დავდიოდი იოსებიძის კუთხეში, (ეხლაცაა) არც ინგლისურს და არც რუსულს არ ასწავლიდნენ, სიმღერა-ცეკვაც – ლაითად, ის კი არა და დილით, რომ ჩაგეფსა, საღამომდე ჩაფსმული ივლიდი, სანამ მშობელი არ მოგაკითხავდა.

ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობდით, შუადღემდე მაინც შეგვენახა თავი მშრალად... ამას წინათ ძმაკაცს ვსტუმრობდი თანაბაღელს (მამები კოლეგა მეგობრები იყვნენ და ძაან გვიხაროდა და ჩვენც ვძმაკაცობდით), ცოტა გადავკარით... ერთი სურათი უნდა განახო, თუ იცნობ, ვინ არიანო, 3 ბავშვი იატაკზე ზის და კუბიკებით თამაშობს, ჩემი თავი ეგრევე ვიცანი, მაშინაც ჯანმრთელი ცხვირი მქონდა, მასპინძელიც ვიცანი, პატარაობაშიც დიდი თავი ჰქონდა, მესამე ნაღდად ვერც გავიხსენე და ვერც ვიცანი, ერთი კი აღვნიშნე – რა ბოროტი თვალები აქ ჩემისას, ვინაა-მეთქი?

სიცილი აუტყდა – ეს ბოროტი თვალები საიდან მოიტანეო... ხო, ისე ცოტა მაზალო როჟა ვარ ეტყობა მართლაც, სამიოდ წლის ბავშვზე როგორ უნდა თქვა კაცმა ბოროტი თვალები... მარა თავი იმით დავიმშვიდე, ბავშვს ხომ არ განვიხილავდით ჩვენი ასაკის ჩოილარზე იყო საუბარი...

– ვინაა? – კიდევ ჩავეკითხე.

– ერთ-ერთი ბოროტებაა, შეიძლება ნაცემიც ყევხარ...

– ვის ვყევარ ნაცემი? – ავვარდი ფინთი გოიმივით.

– ხო, რა ვიცი, მემორიალთან 7 ნოემბერს 6 და 26 მაისს მგონი ჩიოდი, მაგრა მომხვდაო...

– ვინაა? – ძაან ინტრიგაში ჩამაგდო.

– „მასტერაა“, ლეგენდარული „მასტერა“ წამებებისა და ცემა-ტყეპის დიდოსტატი...

კიდევ ერთხელ დავხედე სურათს. ტვინში დროის მანქანა ავამუშავე. წარმოვიდგინე, ერთი კუბიკი ყელში რომ გაჩხეროდა „მასტერას“ და დამხრჩვალიყო (რა თქმა უნდა, ჩემი დახმარებით), რამდენი ადამიანი ასცდებოდა ბოროტებას... თუმცა რაღა „მასტერას“ ვეცი (ის ხომ რეჟიმის მსხვერპლია), სკოლაში მყავდა თავად რეჟიმი, ტოესტ მიშუილა. ის კუბიკი წამომეღო ბაღიდან და სკოლაში ერთი უბედური შემთხვევა რამდენ უბედურებას ააცდენდა ქვეყანას...

ხო, მართლა, რა უცნაურია არა ცხოვრება, საწყის პოზიციაში თანაბრები ვიყავით, იმან მთელი ცხოვრება სულ გუგუნში გაატარა, მე ომი და უბედურება არ დამკლებია. არადა რომ ვთქვა, ჩემზე ჭკვიანი ტიპიაო, ზღვარგადასული თავმდაბლობა გამომივა... თუმცა იმქვეყნიურ სულის ცხონებამდე (არც მე მაქ დიდი შანსი კუპრიან ქვაბს ავცდე, მაგრამ ის მაინც ვიცი, შეშად არ შემაკეთებენ), ერთი კია, ის მატროსოვის ცივ კედლებში გაატარებს უახლოეს წლებს მანიაკის ბლუსა და მიტოვებული ლაჯებიანის კომპანიაში, მე კიდე აგერ, წამოგორებული „ფენჩიტას“ ვუსმენ დშნ-დშნს ვაყოლებ, ბოლო ხმაზე ფილტრიან პაპიროზს ვაბოლებ და კოფესაც გეახლებით). ვოტ ტაკ!.. (ფეისბუკი)

## „ლარის ნებისმიერი მოძრაობა საკუთარი მოქალაქეების ძარცვაა“



ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ ლარის კურსის გამყარება არანაირ პროფესიულ ახსნას არ ექვემდებარება. ექსპერტის თქმით, ლარის კურსის აღმა-დაღმა მოძრაობა არ აწყობს ეკონომიკას, ბიზნესს და მოქალაქეებსაც.

– როგორც ლარის კურსის გაუფასურება, მისი გამყარებაც დიდ ფულს ამოიღებს საქართველოს მოქალაქეების ჯიბიდან. ეროვნული ვალუტის ნებისმიერი უაზრო მოძრაობა – ეს არის საკუთარი მოქალაქეების ძარცვა. ისევე როგორც ლარის კატასტროფული სისწრაფით დაცემა, ახლა ლარის კურსის საპირისპირო მიმართულებით აღმასვლა, არანაირ პროფესიულ ახსნას არ ექვემდებარე-



ბა. ეს არის ვალუტის სფეროში მახინჯი სავაჭრო პოლიტიკის, ყველაზე ცუდი ფორმის – დახურული სავაჭრო ტრანზაქციებიდან კურსის გამოყვანის მანკიერი პრაქტიკა. შესაბამისად, დღევანდელ პირობებში, რასაც გინდა იმ კურსს გამოიყვან, – აცხადებს გიორხელიძე.

მისი განმარტებით, საქართველოში დღეს არავინ იცის, რა მოთხოვნა არსებობს ვალუტაზე და რა მიწოდება უნდა იყოს.

– არ არსებობს ორგანიზაცია, მათ შორის არც ეროვნული ბანკი, რომელსაც აქვს მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია. ეს არის აბსოლუტურად უაზრობამდე მისული სისტემა. ამიტომ ხელისუფლებას მართებს, სასწრაფოდ აღადგინოს ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, ხოლო ბანკები ცივილიზებული, სავაჭრო წესებით, უნდა იყვნენ საკუთარი კლიენტების აგენტები და მათი მოთხოვნით უნდა ასრულებდნენ დაკვეთებს. იმ მეთოდებით, რითაც ლარის კურსი დღეს დგინდება, აბსოლუტურად მიუღებელია, – ამბობს დემურ გიორხელიძე.

ექსპერტის შეფასებით, გარდა ეროვნული კურსის ცვლილებებისა, არსებობს ცენტრალური პრობლემა – ფულის მასის პრობლემა.

– ეს არის პრობლემა, რომელიც არასწორმა პოლიტიკამ შექმნა. საქართველოს ეკონომიკას ემსახურება მის ეკონომიკაზე 5-ჯერ ნაკლები ფული. ამიტომ ვერანაირი ეკონომიკა ვერ განვითარდება, – განმარტა გიორხელიძემ. (pia.ge)

## სალომე ზურაბიშვილი: პრეზიდენტი საკუთარი განცხადებით რუსეთის ხელისუფლებას ახარებს



სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის ზურა აბაშიძის მისამართით პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება.

– ნეტავ პრეზიდენტი რატომ იღებს ინიციატივას შიდა დაპირისპირების გაღვივებისა? თან რა თემაზე: რუსეთს როგორ უნდა ვესაუბროთ? ამითი იღებს თავის თავზე ორმაგ პასუხისმგებლობას – ერთი რუსეთის ხელისუფლება გაახაროს ჩვენი შიდა გაურკვევლობით და იმის საჯაროდ ჩვენებით საქართველოს ხელისუფლება ერთ გზავნილზე რომ ვერ თანხმდება!!!! და მეორე – „რუსთავი 2“-ს ახალი სალაყბო მისცეს!!!

და რა სათქმელია, რომ, თუ მისი წარმომადგენელი იქნებოდა აბაშიძე და არა პრემიერის, იგი სხვა გზავნილს ჩაუტანდა რუსებსო??? ერთი ეს „სხვა“ რა იქნებოდა, ამასაც ხო არ გვეტყვის?!

ბოლოს და ბოლოს სიტუაციას ძაბავს თავისი არაადეკვატური გამოსვლების გადასაფარავად თუ საერთოდ დაკარგა იმის განცდა, პრეზიდენტი რას უნდა ამბობდეს და რას არა! და რა თემებს უნდა უფრთხილდებოდეს!!! – წერს სალომე ზურაბიშვილი.

ცნობისათვის, პრეზიდენტის განცხადებით, პრაღაში რომ საკუთარი წარმომადგენელი ჰყოლოდა, კარასინს სხვანაირ პასუხს გასცემდა. აბაშიძემ მოგვიანებით განაცხადა, რომ გაოცებულია პრეზიდენტის განცხადებების გამო. (ipress.ge)

## გურჯაანში 23 წლის ახალგაზრდა ვარჯიშისას გარდაიცვალა




გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდაში 23 წლის ბიჭი გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ის პოლიციის აკადემიის სტუდენტი გახდა და ნორმატივების ჩასაბარებლად ემზადებოდა.

ახალგაზრდა სოფლის სტადიონზე ვარჯიშისას მოულოდნელად გარდაიცვალა.

გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეტყობინება პოლიციაშიც შევიდა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, საქმე სსკ-ის 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვალების ზუსტ მიზეზს გამოძიება დაადგენს. (speqtri.ge)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



## ევროპას თავისი გასაჭირვებია — რუსეთი საქართველოში ქაოსს შექმნის?



ევროპის შუაგულში, მსოფლიო პოლიტიკის მექაში, იქ, სადაც ნატოს ცენტრალური შტაბი, თუ ევროსაბჭოა განთავსებული, 22 მარტს ზედიზედ ოთხი ტერორისტული აქტი მოხდა. ეს იყო ერთგვარი შურისძიება პარიზის ტერაქტის ორგანიზატორის დაკავების გამო. ტერორისტული აქტების მოწყობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ თავის თავზე აიღო და ღიად გამოცხადებული ომის ქრონიკა დააანონსა. მსოფლიო კვლავ შოკშია და უძლურია, ტერორისტებს გასცეს სათანადო პასუხი.

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ ცხარე ცრემლებით იტირა მსვლელობისას, როცა მას ბელგიის ტრაგედიის შესახებ აუწყეს, მაგრამ ტერორისტებს ცრემლების არ სჯერათ! შუაგულ ევროპაში ომია. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის უსაფრთხოების სამსახური მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ საქმის კურსში იყო, ვერ აღკვეთა ოთხ სხვადასხვა ადგილზე – აეროპორტსა და მეტროებში აფეთქებისგან დაეცვა საკუთარი მოსახლეობა, არსებული ინფორმაციით, მსხვერპლი 30 კაცამდეა. დაშავებულების ციფრი ჯერ კიდევ დაუდგენელია. ამერიკის სადაზვერვო სამსახური ჯერ კიდევ პარიზის ტერაქტის შემდეგ აცხადებდა, რომ უსაფრთხოების სამსახურები 21-ე საუკუნის გამოწვევებს ვერ პასუხობენ. საქართველოს უსაფრთხოებამ სტრატეგიულ ობიექტებზე ზომები გაამკაცრა.

**შესაძლოა, ტერორისტების სამიზნეში ევროკავშირის ასოცირებული წევრი და პარტნიორი საქართველოც აღმოჩნდეს?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძე „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— თქვენი აზრით, რატომ ვერ აღკვეთა ბრიუსელმა მოსალოდნელი ტერაქტი, რომლის შესახებაც სპეცსამსახურებს ინფორმაცია ადრევე ჰქონდათ?**

– ძალიან რთულია იმის თქმა, რატომ ვერ განხორციელდა პრევენციული ზომები. ისრაელშიც კი, სადაც უსაფრთხოების ზომები აყვანილია სახელმწიფოს რანგში, ვერ ხდება ტერორისტული აქტების თავიდან აცილება. დარწმუნებული ვარ, ბელგიის ხელისუფლებამ ზომები მიიღო, მაგრამ ის საშინელი ტერაქტი მაინც მოხდა. არ არსებობს ასპროცენტიანი პრევენცია. ჩვენ არ გვსმენია, რამდენი ტერორისტული აქტი იყო გაუვნებელყოფილი. დარწმუნებული ვარ, ეს ტერაქტი მიეძღვნა იმ ფაქტს, როცა ბელგიამ გადასცა პარიზის ტერაქტის ორგანიზატორი და ამისთვის ტერორისტებმა ბელგიელები დასაჯეს. საქართველოს ხელისუფლებამ გააძლიერა უსაფრთხოების ზომები, თუმცა, მე არ ველოდები, რომ აქ შეიძლება მოხდეს ისლამური სახელმწიფოს მხრიდან ტერორისტული აქტი, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ამ რთული ვითარებით საქართველოს მტერმა ისარგებლოს და შექმნას მართვადი ქაოსი. ჩვენ ისედაც ვიმყოფებით მორალური ტერორის ქვეშ, დარწმუნებული იყავით, რომ მორალური ტერორი უფრო ეფექტურია, რასაც მისი ორგანიზატორები აკეთებენ, ვიდრე ფიზიკური ტერორი, რადგან მორალური ტერორის ავტორები სხვა მიზანს ისახავენ. მათი მიზანია ხელისუფლების მაქსიმალური დისკრედიტაცია. „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე შეცდომა დაუშვა, როცა თავიდანვე არ ამოძირკვა სარეველა, რასაც ჰქვია „მე-5 კოლონა“ და ის დამნაშავე ჯგუფი, რომელიც ფირებს იღებდა და ინახავდა, დაუსჯელი დატოვა.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ „ქართული ოცნების“ ოფისში ფირები კუდის მაშინდელმა მაღალჩინოსანმა მიიტანა. ვის გულისხმობდით, ლელუაშვილს?**

– დიახ, ის იყო ლელუაშვილი. „ქართული ოცნების“ ოფისში 4 თუ 5 ოქტომბერს ვნახე, მას ხელში ეჭირა ჩანთა, რომელშიც, ჩემი ვარაუდით, ეს კომპრომატები იდო. რიგში იდგა იმ კართან, სადაც ხვედელიძე იჯდა და მასთან უნდოდა შეხვედრა, მაგრამ, რამდენადაც გავარკვიე, იმ დღეს ხვედელიძემ ლელუაშვილი არ მიიღო. მოკლედ, ასეა თუ ისე, ლელუაშვილის გარდა, სხვებიც იყვნენ, იგივე „მასტერა“, მეგის ქარდავა, ვის ხელშიც იყო ეს ფირები. პირველად თქვენთან ვთქვი ინტერვიუში, რომ „მასტერა“ – ბრიუსელიდან, ხოლო მეგის ქარდავა სოჭიდან ცდილობდა, ამ ფირებით ევაჭრა ხელისუფლებასთან. როგორც ჩანს, ვაჭრობა არ გამოუვიდათ. ამიტომაც მოხდა „მასტერას“ საქართველოში ექსტრადირება. მე მაინც მგონია, რომ, რაც კადრების გარშემო ხდება, დაგეგმილია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რათა საზოგადოებაში გაჩნდეს შიშის სინდრომი, დაუცველობის შეგრძნება. არის ინფორმაცია, რომ ვიღაცები ხელისუფლებასთან ვაჭრობდნენ და ფულს ითხოვდნენ ფირების სანაცვლოდ. მათ თანხა არ გადაუხადეს და ამის დემონსტრირებაც მოახდინეს.

**— კარასინის განცხადება იწვევს თუ არა ეჭვებს, რომ რუსეთმა შესაძლოა, ქვეყნის შიგნით და მსოფლიოში დაძაბული ვითარებით ისარგებლოს და უბედურება დაატრიალოს საქართველოში.**

– რასაკვირველია, შესაძლებელია, ეს ეჭვები კარასინის დემარშმა გააძლიერა. რუსეთის გარდა, არსებობს სხვა ქვეყნებიც, რომელთაც შეგნებულად არ დავასახელებ, ასეთი ქვეყანა არის სამხრეთითაც, რომლებიც ფულის გამო ყველაფერს გააკეთებენ. ჩვენ ბევრი ქვეყნის თუ დაინტერესებული პირის სამიზნე ვართ. ავიღოთ უკრაინა, იქ არიან ძალები, რომელთაც უნდათ, მაქსიმალური დისკრედიტირება მოახდინონ „ნაცმოძრაობის“, მაგალითად, მილიარდერი კოლომოისკი ვიცი, რომ აქტიურად ცდილობდა ამ ფირების ხელში ჩაგდებას. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დაინტერესებული ძალების მხრიდან მიდის ნადირობა კომპრომატებზე. მავანისთვის ეს არის გადასარევი იარაღი მანიპულაციებისთვის. დარწმუნებული იყავით, რომ ფულს არ დაიშურებენ დაინტერესებული ძალები, რომ ხელში ჩაიგდონ ეს ფირები, რადგან ის ადამიანები, ვინც ამ კადრებშია, ჯერჯერობით პოლიტიკაში რჩებიან. შესაბამისად, მათ დიდხანს დააშანტაჟებენ და ამიტომ იყო, გია ხუხაშვილი ამბობდა, ვინც იცით, თქვენზე კომპრომატები არსებობს, დატოვეთ ხელისუფლებაო. თუმცა რთული გასარკვევია, შესაძლოა, კონკრეტულმა პიროვნებამ არ იცოდეს, რომ მასზე არსებობს კომპრომატი.

**— ხომ არ იცით ბიძინა ივანიშვილის აზრი ე.წ. პორნოსკანდალებთან დაკავშირებით?**

– როგორც ვიცი, ივანიშვილი ამ სიტუაციისგან ტრაგედიას არ ქმნის, ხელისუფლებაში არის გარკვეული შიში იმისა, რომ კადრების ჩვენება გაგრძელდება. ახლა უკვე ძალიან რთულია მისი დაბლოკვა. ხელისუფლებაში კარგად აცნობიერებენ, რომ ეს მათ წინააღმდეგ დემარშია და ამით კეთდება მათი დისკრედიტაცია. ამიტომაც ვთვლი, რომ აუცილებლად უნდა ჩართონ გამოძიებაში პარტნიორი ქვეყნები, თუმცა მაინც გართულდება ამ საქმის საბოლოო ლიკვიდაცია.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თაღლითობა სუს-ის უფროსის მოადგილის სახელით — ანტიკორუფციულმა სააგენტომ ორი პირი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჯგუფურად თაღლითობის ფაქტზე ჯემალ დუაძე და გოგიტა დემეტრაშვილი დააკავეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯემალ დუაძემ გადაწყვიტა, მოტყუებით დაუფლებოდა საქართველოს მოქალაქე ბეჟან დ.-ს კუთვნილ ფულად თანხას, რისთვისაც 2015 წლის ზაფხულში ბეჟან დ.-სთან ანტიკორუფციული სააგენტოს სახელით, მიაგზავნა გამოძიებით დაუდგენელი პირი, რომელიც ბეჟან დ.-ს გაეცნო დავით გიორგაძის გვარ-სახელით და განუცხადა, რომ მას თითქოსდა პრობლემები ჰქონდა ანტიკორუფციულ სააგენტოში, მის მიმართ დაწყებული იყო გამოძიება და საქმის მოგვარების სანაცვლოდ 50 000 აშშ დოლარი მოსთხოვა. პარალელურად, ჯემალ დუაძე დაჟინებით ურჩევდა ბეჟან დ.-ს მოთხოვნილი თანხის გადახდას, რომელიც, მისი განმარტებით, შემცირდა 30 000 აშშ დოლარამდე. აღნიშნული თანხის დაუფლების მიზნით ჯემალ დუაძე ასევე დაუკავშირდა ბეჟან დ.-ს შვილიშვილს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ბექა დ.-ს, რომელსაც აუხსნა საქმის ვითარება და საკითხის მოგვარების სანაცვლოდ, მასაც 30 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა.

გოგიტა დემეტრაშვილმა ბექა დ.-ს თავი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ იოსებ გოგაშვილად გააცნო და დაჰპირდა მისი პაპის ბეჟან დ.-ს მიმართ თითქოსდა წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, აგრეთვე, მომავალში ყოველგვარი პრობლემების მოგვარებას. ამის შემდეგ, იმავე დღეს ჯემალ დუაძემ თითქოსდა იოსებ გოგაშვილისთვის გადასაცემად, ბექა დ.-ს თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში მის მიერ მოთხოვნილი 30 000 აშშ დოლარი გამოართვა. ჯემალ დუაძე და გოგიტა დემეტრაშვილი მოთხოვნილი ზემოაღნიშნული თანხის გამორთმევის შემდეგ დააკავეს.

დაკავებულებს 6-დან 9 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. (pia.ge)

## „ხელისუფლებისგან მოვისმინეთ ყველაფერი, მაგრამ ვერ მოვისმინეთ უმთავრესი - ბოდიში“



„დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივნის, გიგლა ბარამიძის განცხადებით, ხელისუფლებას ფარული კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის ბოდიში უნდა მოეხადა.

ბარამიძის განმარტებით, მომავალში მაინც, თანამდებობის პირებმა სახელმწიფოებრივ ხედვას, მორალსა და ზნეობასაც ყურადღება უნდა მიაქციონ.

– ხელისუფლებისგან მოვისმინეთ ყველაფერი, მაგრამ ვერ მოვისმინეთ უმთავრესი – ბოდიში. ბოდიში არ მოუხდია საქართველოს მოსახლეობისთვის იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებამ ვერ გამოიძია სისტემური დანაშაული, იმ ფაილების შემქმნელების საქმეები, რომლებმაც დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა. ბოდიში არ მოუხდია, ასევე, იმის გამო, რაც დღეს ხდება, – აცხადებს ბარამიძე. (pia.ge)

## „მე მესმის პრეზიდენტის, რამ გაამწარა, მაგრამ მეტი მოთმინება გვმართებს“ — ლევან ბერძენიშვილი



ღირს თუ არა აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატის გაგრძელება-აქტუალურ თემას და ამ საკითხზე პრეზიდენტის გამოსვლას დეპუტატები აფასებენ.

უმრავლესობა პრაღის შეხვედრების შენარჩუნებას ჟენევის მოლაპარაკებებთან ერთად აუცილებლობად, გიორგი მარგველაშვილის განცხადებას კი ემოციურად მიიჩნევს.

– ეს არის ემოციური განცხადება, მას შემდეგ, რაც კარასინისგან საკმაოდ მკვახე სიტყვები მოვისმინეთ. მე მესმის პრეზიდენტის, რამ გაამწარა ქვეყნის პირველი პირი, მაგრამ მეტი მოთმინება გვმართებს, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობაში კი პრეზიდენტს ეთანხმებიან, თუმცა აცხადებენ, რომ ფორმატის საერთოდ გაუქმება უკეთესი იქნებოდა, რადგან მას რეალური შედეგი არ მოაქვს.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატი გააკრიტიკა და განაცხადა, რომ პრაღის ფორმატი დასაკონკრეტებელია და დაზუსტებას საჭიროებს. (rustavi2.com)

## ბელგიურმა გაზეთმა ტერაქტების სავარაუდო შემსრულებლების ფოტო გამოაქვეყნა



ბელგიურმა გაზეთმა Derniere Heure გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც, სავარაუდოდ, ბრიუსელის აეროპორტში მომხდარი ტერაქტის შემსრულებლები არიან აღბეჭდილები.

ფოტო ბელგიის დედაქალაქის აეროპორტის სათვალთვალო კამერის ჩანაწერიდან არის ამოღებული. ფოტოზე აღბეჭდილია ორი მამაკაცი, რომლებიც ურიკებით მიაგორებენ ბარგს. ინფორმაციის წყაროს გაზეთის რედაქცია არ ასახელებს. (ipress.ge)

## 16 წლის შემდეგ, კიევში გიორგი ღონღაძე მიწას მიაბარეს



კიევში ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე დაკრძალეს.

გიორგი ღონღაძე ინტერნეტ-გამომცემლობა **Украинская правда**-ს ხელმძღვანელობდა. მისი მკვლელობის შემდეგ, პოლიტიკური მოვლენები დაიწყო, რომელიც „ნარინჯისფერი რევოლუციით“ დასრულდა.

ღონღაძესთან გამოსამშვიდობებლად მისი ნათესავები, კოლეგები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები და უკრაინის ეროვნული დეპუტატები მივიდნენ.

წარმოშობით ქართველი ჟურნალისტი გატაცებული და მოკლული იქნა 2000 წელს. ღონღაძის საქმესთან დაკავშირებული გამოძიება ხმაურიან სკანდალში გადაიზარდა, ასევე, პროტესტში უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტის სიკვდილთან დაკავშირებით ორი ადამიანი დაპატიმრეს 2005 წლის მარტში, ხოლო მესამე 2009 წლის ივლისში, გიორგი ღონღაძის მკვლელების საქმე დღემდე გამოძიებული არ არის.

ჟურნალისტის ქვრივმა, მიროსლავა ღონღაძემ და შვილებმა პოლიტიკური თავშესაფარი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს. ევროპის საბჭომ მიიღო რეზოლუცია №1645, რომელშიც მოუწოდა უკრაინის პროკურატურას, გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა გიორგი ღონღაძის მკვლელებისა და მკვლელობის ორგანიზატორების საპოვნელად. (ipress.ge)



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

# განათლების მინისტრი საარჩევნოდ მანდატურების გამოყენებას აპირებს?





MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
LEPL OFFICE OF RESOURCE OFFICERS OF EDUCATIONAL INSTITUCIONS

MES 6 16 00251624

14/03/2016

სსიპ ქ. თბილისის N107 საჯარო სკოლის მანდატურ ალექსი ბლიაძეს
პ/ნ 11001005947
მის: ქ. თბილისი, წყნეთის ქ. 1/ა კორპუსი, ბინა N8
ტელ: 577 13 72 96

ბატონო ალექსი,

თქვენი 2016 წლის 04 მარტის N224909 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2012 წლის სექტემბერში სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის კოორდინატორებზე გაიცა შრომის ანაზღაურება (პრემია) 10846.59 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებზე გაცემული შრომის ანაზღაურების (პრემიის) ოდენობამ შეადგინა 93444.53 ლარი.

პატივისცემით,

სსიპ მანდატურის სამსახური
სამსახურის უფროსი
ვახტანგ მეიფარიანი

№1

Adress: I M. Aleqsidze Str. Tbilisi Georgia



რა დამსახურებისთვის გაიცა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლების მისამართით 104 ათასი ლარის პრემია და რატომ არ იძიებს პროკურატურა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას, რომლის კანონიერებასაც ეჭვქვეშ აყენებენ?

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, დავით ფერაძე ესაუბრა:**

– ყოველკვირეულ „ალიაში“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში „ოდეერების“ ბრიგადაზე გესაუბრეთ. როგორც დავინახეთ, სუს-ი ძირითადად თავმოყრილია სწორედ მანდატურის სამსახურში. მანდატურები სკოლებში არც ერთ ნიუანსს არ ტოვებენ აღურიცხავს. ეს დაიწყო წინა რეჟიმის დროს და დღემდე გრძელდება.

„პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ წარმომადგენელმა და ამჟამად მოქმედმა მანდატურმა ალექსი ბლიაძემ მოიკვლია ინფორმაცია, როგორ ხდებოდა 2012 წელს მანდატურთა დაფინანსება და ერთი ძალიან საინტერესო დოკუმენტი მოიპოვა.

**— და რა წერია დოკუმენტში?**

– ეს დოკუმენტი გვამცნობს, რომ 2012 წლის არჩევნების წინ, საკმაოდ სოლიდური პრემიები გაიცა მანდატურთა მთავარ ბირთვზე. თითქმის 104 ათასი ლარის ოდენობის პრემიაზეა საუბარი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტიდანაა გაცემული.

**— რა დამსახურებისთვის?**

– გარდა იმისა, რომ, ჩვეულებისამებრ, დაუსაბუთებელია ამ პრემიის მიზნობრიობა, ყოველ შემთხვევაში, მანდატურის სამსახურში ამას არ გვისაბუთებენ, მისი გაცემის კანონიერება კიდევ სხვა მხრივაც საეჭვოა.

**— რას გულისხმობთ?**

– როგორც ალექსი ბლიაძემ მოიკვლია, წინასაარჩევნოდ მანდატურების ეს „ელიტარული“ ნაწილი მანდატურის მოვალეობას სკოლაში სულაც არ ასრულებდნენ. ისინი „გადაქაჩულები“ იყვნენ საარჩევნო უბნებზე და წარმოადგენდნენ სამთავრობო რესურსს. გაურკვეველია, რა ესაქმებოდათ მათ საარჩევნო უბნებზე.

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდანაც ფინანსდებოდნენ ეს ადამიანები და განათლების ბიუჯეტიდანაც შენარჩუნებული ჰქონდათ მანდატურის ხელფასი. ეს ყველაფერი არის დანაშაული, რომელზეც პასუხი არავის უგია.

**— რას აპირებთ, სამართალდამცავ ორგანოებს არ მიმართავთ?**

– პროკურატურაში საჩივარი შეიტანა ალექსი ბლიაძემ თვეების წინ, მაგრამ არა პრემიებზე, არამედ იმაზე, რომ მანდატურები საარჩევნო შტაბებში რომ იყვნენ. ამაზე ითხოვდა გამოძიების დაწყებას, მაგრამ უშედეგოდ. ლამის კარი აუტალახა პროკურატურას, მაგრამ საქმე ვერ წავიდა წინ. პირიქით, გამოიკვეთა, რომ სანიკიძემ, მისმა ახლო ნათესავმა ვახტანგ მეიფარიანმა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური უფროსია და კიდევ სხვა აგენტურულმა ქსელმა ეს საქმეები ჩაფარცხეს, ზოგიერთი, ვინც მანდატურთა საარჩევნო უბნებზე „გადასროლას“ ხელმძღვანელობდა, დააწინაურეს კიდეც. პროკურატურაში ხელმეორედაც შეიტანა სარჩელი ბლიაძემ, მას მერე, რაც პრემიის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი მოხვდა ჩვენ ხელში.

მანდატურების ამბავიც და „ოდეერების“ არსებობა სისტემაში იმის დამამტკიცებელია, რომ ან სანიკიძისა და მისი ხროვა შეთქმულებაში არიან ჩართული ამ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ და რევანშისტულ პოლიტიკას ადგანან, ან არადა ამ მთავრობასაც იმავეს გაკეთება სურს წინასაარჩევნოდ, რაც წინა ხელისუფლებამ გააკეთა, მანდატურის სამსახური ამას ემსახურება. მხილებული პირები ხომ საუკეთესო დასაყრდენია საარჩევნოდ, იციან უკვე „საქმე“. მათ იციან, როგორ დააყენონ სკოლები, მასწავლებლები „სტარტზე“ თუ დამნაშავეებს დასჯიან, ვინღა დაეხმარება ხელისუფლებას. ამ ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთია, სხვა მხრივ აუხსნელია, რატომ არ იძვრის წინ საქმე, რატომ დუმს პროკურატურა, რატომ დუმს პრემიერი, თუნდაც „ნაციონალური მოძრაობა“ რატომ დუმს? მივმართავთ ხელისუფლებას, ფაქტობრივად, საქმე ნახევრად გამოძიებულია, ფაქტები არსებობს, დოკუმენტები არსებობს, მიხედონ ამ საქმეს და დასასჯელი დაისაჯოს.

**დავით ფერაძესთან საუბრის შემდეგ, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პრესსამსახურს დავუკავშირდით. სამსახური ფერაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საქმის კურსში ჩავაყენეთ და გარკვეულ კითხვებზე პასუხების მიღებას ვეცადეთ. მიუხედავად პრესსამსახურის ხელმძღვანელ თეო შერვაშიძესთან ნახევარდღიანი სატელეფონო საუბრებისა, და ესემეს და ელექტრომიმოწერისა, მანდატურის სამსახურისგან პასუხები ვერ მივიღეთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს: პოლიცია მაქსიმალურად გააკონტროლებს მოსახლეობის ინტენსიური გადაადგილების ადგილებს

ბელგიის დედაქალაქში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაამკაცრა უსაფრთხოების ზომები ქვეყნის საზღვრებსა და აეროპორტებში, ასევე, სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა ობიექტზე.

– შსს-ს საპატრულო პოლიცია როგორც ქვეყნის პერიმეტრზე მდებარე, ისე მის მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე გამოიყენებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის უფრო მაღალი დონის ზომებს.

არსებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები. პირად შემადგენლობას ჩაუტარდა შესაბამისი ინსტრუქტაჟი.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარდა, საპატრულო პოლიცია მაქსიმალურად გააკონტროლებს მოსახლეობის ინტენსიური გადაადგილებისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ადგილებს, მოვლენათა შესაძლო ექსტრემალური განვითარების თავიდან აცილების მიზნით.



საკონტროლო-გამტარი პუნქტების მუშაობა აეროპორტებში, სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე არსებული ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსების სრული და ეფექტური გამოყენებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო კონტროლის განხორციელების მიზნით, სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა სრულ მზადყოფნაშია. შსს-ს სასაზღვრო პოლიცია მაქსიმალურად აკონტროლებს სახელმწიფო საზღვრის ე.წ. მწვანე ზოლს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავაც აგრძელებს განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობას, რომ დაიცვას ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოება, – ნათქვამია შსს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ipress.ge)

## ნახევარფინალში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა პორტუგალიელები 29:10 დაამარცხეს



18 წლამდე მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე უმცროსი ბორჯღალოსნები ნახევარფინალში, ლისაბონში პორტუგალიელებს დაუპირისპირდნენ.

პირველ ტაიმში ქართველმა მორაგბეებმა პორტუგალიელი თანატოლები 21:10 დაამარცხეს, 3 ლელო დაუდეს და სამივე გარდასახვა ზუსტად შეასრულეს. საპასუხოდ პორტუგალიელებმა 2 ლელო დაგვიდეს, თუმცა ვერც ერთი გარდასახვა ზუსტად ვერ შეასრულეს.

მეორე ტაიმში უმცროსმა მორაგბეებმა კიდევ ერთი ლელოს დადება და ერთი ჯარიმის გატანა მოახერხეს, შედეგად კი პორტუგალიის ნაკრები ანგარიშით, 29:10 დაამარცხეს. (ipress.ge)

## მოგების გადასახადის რეფორმა 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება



მოგების გადასახადის რეფორმა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება, ხოლო საფინანსო სექტორზე 2019 წლის 1-ლი იანვრიდან გავრცელდება.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ბიზნესასოციაციებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ხადურის თქმით, ბიზნესთან კონსულტაციით მიღებულ იქნა საგადასახადო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსია, რომელიც პარლამენტში გადაიგზავნება. ფინანსთა მინისტრმა სთხოვა საკანონმდებლო ორგანოს, კანონპროექტის განხილვა მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში მოხდეს, რათა კანონი აპრილში იქნას მიღებული.

ნოდარ ხადურის თქმით, კანონპროექტით დაგეგმილი ცვლილებები 3 ეტაპად ამოქმედდება. პირველ ეტაპზე ეს შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, ანუ ძირითადი საშუალებების იმპორტის დროს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა საჭირო აღარ იქნება და ამავე დროს, ეს არის ადმინისტრირების გარკვეული გამარტივება. აღნიშნული ცვლილება, ფინანსთა მინისტრის თქმით, კანონპროექტის მიღებისთანავე ამოქმედდება. მეორე ეტაპი იქნება მოგების გადასახადის ჩანაცვლება განაწილებული მოგების გადასახადით, რომელიც 2017 წლის 1-ელ იანვარს ამოქმედდება. რაც შეეხება მესამე ეტაპს, როგორც მინისტრმა აღნიშნა, საფინანსო სექტორზე კანონპროექტის გავრცელება 2019 წლის 1-ლი იანვრიდან მოხდება, ანუ 2 წლის განმავლობაში საფინანსო სექტორი დაბეგვრის ძველ რეჟიმში დარჩება. (ipress.ge)

## ერაყი გაზის ექსპორტს იწყებს



ქვეყნის არსებობის ისტორიაში პირველად, ერაყმა თხევადი გაზის ექსპორტი დაიწყო.

ერაყის ნავთობის მინისტრის ასემ ჯიჰადის განცხადებით, 10 000 კუბური ფუტი გაზის კონდენსატით დატვირთული ხომალდი umm-kasris ყურედან ევროპისკენ დაიძრა.

ერაყის ნავთობის მინისტრს არ დაუკონკრეტებია მყიდველის ვინაობა და გაზის საფასური. მისივე თქმით, მარტის ბოლოს ევროპისკენ კიდევ ერთი ხომალდი დაიძვრება. (ipress.ge)

## უკანონო ფარული ვიდეომასალების ატვირთვა-გავრცელების საქმეში სხვა ქვეყნებიც ჩაერთვნენ



საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე აცხადებს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი უკანონო ვიდეოჩანაწერების გავრცელების საქმეზე, გამოძიების ფარგლებში, პროკურატურამ დახმარება სხვა ქვეყნებს სთხოვა.

ირაკლი შოთაძემ არ დააკონკრეტა, რომელი ქვეყნების წარმომადგენლები ჩაერთვნენ საქმეში, თუმცა აღნიშნა, რომ რადგან ვიდეოფაილების ატვირთვა უცხოურ ინტერნეტგვერდებზე განხორციელდა, საგამოძიებო საქმიანობა სხვა ქვეყნების ჩართულობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა.

– მინდა გითხრათ, რომ ამ საქმეზე საქართველოს პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან და შსს-სთან ერთად, საკმაოდ ინტენსიურ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს ახორციელებს იმისთვის, რათა დადგენილ იქნან ის პიროვნებები, ვინც ამ ვიდეოების ინტერნეტსივრცეში ატვირთვა მოახდინეს. რა თქმა უნდა, სიახლეები არსებობს, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სიახლეებზე ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებ, თუმცა, რა თქმა უნდა, შესაბამის ეტაპზე საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას მივაწვდით. ვიანიდან ამ ვიდეოფაილების ატვირთვა განხორციელდა უცხოურ ინტერნეტგვერდებზე, მათი ჩართულობის გარეშე, საგამოძიებო საქმიანობას ვერ განვახორციელებდით და შესაბამისად, საქმეში ჩართულები არიან სხვა ქვეყნების საგამოძიებო უწყებებიც, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ. (pia.ge)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რატომ ედავებიან „მასტერას“ მხოლოდ „ნავთლუღის ჩაცხრილვას“ და რატომ არ უხსენებენ სკანდალურ დანაშაულებს?



კუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი, გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, ნიდერლანდებიდან საქართველოში ჩამოიყვანეს. პროკურატურის განცხადებით, დგებუაძის ექსტრადიცია მათი მოთხოვნის საფუძველზე მოხდა. გიორგი დგებუაძე ბრალდებულია ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის სისხლის სამართლის საქმეზე. შეგახსენებთ, რომ მას ბრალად ედება 2006 წლის 12 იანვარს თბილისში, ნავთლუღის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სამი ახალგაზრდის – მურად გორგაძის, რომან სურმანიძის და მარად ართმელაძის ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა, ასევე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. ამ დანაშაულის გამო სასამართლომ სხვადასხვა მსჯავრი დასდო დათა და ბაჩო ახალაიებს, კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსანს, გიორგი მაზმიშვილსა და სხვებს.

„ნავთლუღის სპეცოპერაცია“ იმდენად არაადამიანური დანაშაულია, ცხადია, „მასტერასაც“ და ვინც დასასჯელი დარჩა, ყველას მკაცრად უნდა მოეკითხოს, მაგრამ „მასტერას“ მხოლოდ ეს ერთი დანაშაული აქვს ჩადენილი? მისი სხვა დანაშაულების შესახებ, პროკურატურა, რატომღაც, დღეს ხმას არ იღებს, არადა სანამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდოდა, მათი ლიდერები აცხადებდნენ, რომ გია დგებუაძე კუდ-ის უფროსის, დათა ახალაიას მარჯვენა ხელი იყო და ახალაია ყველა ბინძური დანაშაულის შესრულებას მას ავალებდა, მათ შორის, სასურველი ჩვენების გამოძალვის მიზნით ადამიანთა წამებას და როგორც ამბობენ, ამ ყველაფერს, გია დგებუაძე არც თავდაცვის სამინისტროში გადასვლის შემდეგ იშლიდა.

მას შემდეგ, რაც დგებუაძემ საქართველო დატოვა, მის ჩადენილ დანაშაულებებზე არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. აი, ერთ-ერთი მათგანი: გიორგი დგებუაძე 2010 წლის 15 სექტემბრიდან იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსი. 2011 წლის 4 იანვარს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალების ოპერატიულმა მორიგემ თ.ა-მ თავისავე ხელმძღვანელს ჯემალ ძლიერიშვილს განუცხადა, რომ სოციალური ქსელის საშუალებით კავშირი ჰქონდა რუს სამხედრო მაღალჩინოსნებთან, რომლებთან ერთადაც საბჭოთა კავშირის დროს უკრაინაში იხდიდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს. აღნიშნული გარემოება საეჭვოდ იქნა მიჩნეული და საკითხში გარკვევის მიზნით, იმავე დღეს იგი მიყვანეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის, უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარ სამმართველოში. სადაც ამავე სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსმა გიორგი დგებუაძემ მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს, ლაშა მინდაძესა და პლატონ სხულუხიას დაავალა, ნებისმიერი საშუალებით, თემურ ამირანაშვილისგან მიეღოთ ინფორმაცია რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ. მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსმა ლაშა მინდაძემ, თემურ ამირანაშვილი ხელბორკილით მიაბა გათბობის მილზე ისე, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში არ ჰქონდა დაჯდომისა და გადაადგილების საშუალება, დაემუქრა, რომ ძილის დროს თითქოს მოახდინეს მისი გაუპატიურება და თუ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას არ აღიარებდა, გაუპატიურების ამსახველ ფოტოსურათებს გაავრცელებდა მისი ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. მისი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, პატივისა და ღირსების შელახვა და წამება გაგრძელდა 2011 წლის 4 იანვრიდან ამავე წლის 8 იანვრის საღამომდე. თავის დროზე, ამ დანაშაულისთვის გიორგი დგებუაძეს კანონით დადგენილი წესით წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით; 25-ე, 143-ე მუხლის პირველი ნაწილით; 25-ე, 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“; „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით. გაუპატიურება, წამება, გაუპატიურების ამსახველი კადრებით შანტაჟი... პროკურატურა კი დღეს მხოლოდ „ნავთლუღის სპეცოპერაციას“ ედავება „მასტერას“, რაც ზემოთ მოგახსენეთ, იმ ბრალდებების შესახებ არაფერს ამბობს, არც იმას აცხადებს, ეს ბრალდებები მოეხსნა თუ არა „მასტერას“, თუ მათზე გამოძიება მიმდინარეობს. ამის გარკვევას პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსთან, ნათია სუხიაშვილთან შევეცადე, მაგრამ მან ჩემს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

დღეს დიდი ამბავია ატეხილი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების გამოქვეყნებაზე. არასამთავრობო სექტორის ნაწილი ხელისუფლებას ადანაშაულებს ამ კადრების გამოქვეყნებაში. არადა, დღემდე ასევე დაჟინებით არც ერთი გავლენიანი არასამთავრობო არ ითხოვს, რომ კუდ-ისა და სხვა სპეცსამსახურების უცხოეთში გაქცეული ის წარმომადგენლები ჩამოათრიონ, ვისაც, დიდი ალბათობით, გატანილი აქვთ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოფაილები და სავარაუდოდ, ვიღაცის დაკვეთით, მათ ავრცელებენ. ამბობენ, რომ არასამთავრობოთა ზოგიერთ ლიდერზე, ამ გაქცეულ მაღალჩინოსნებს კონკრეტული კომპრომატები აქვთ, მათით აშანტაჟებენ და ამ მაღალჩინოსნების სახელის ხსენებისა სიკვდილივით ეშინიათ. ეს რატომ არ უნდა დავიჯერო, თუ თავად ეს არასამთავრობოები აცხადებდნენ, რომ „ნაციონალები“ თითქმის ყველას სექსუალურ ცხოვრებას იღებდნენ და კომპრომატები თითქმის ყველა გავლენიან და მეტ-ნაკლებად ცნობილ ადამიანზე აქვთ? არაერთი ექსპერტი ურწმუნებოდა, რომ ამგვარი ვიდეოები უცხოეთში გატანილი ჰქონდათ დათა ახალაიას, მის ყოფილ მოადგილეს, სოსო თოფურიძეს და „მასტერასაც“ ხშირად ახსენებენ.

2013 წელს, მეგის ქარდავა კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი, იმუქრებოდა კიდეც, ამ ბინძურ, პოლიტიკოსთა სექსუალური ცხოვრების ამსახველ კადრებს გამოვაქვეყნებ, თუ დათა ახალაიას თავს არ დაანებებთ და მას ციხეში ჩასვამთო. რატომ არ უნდა დავიჯერო, რომ „ქართული ოცნების“ გავლენიანმა ლიდერებმა, რომლებზეც ამგვარი კომპრომატები არსებობს, პროკურატურას დაუკვეთეს, რომ დათა ახალაიას საბერძნეთიდან ექსტრადირება არ მომხდარიყო, რათა მეგის ქარდავას დაპირება არ შეესრულებინა და მათზე კომპრომატები არ გამოექვეყნებინა? ასევე, იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერები და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამ უსანქციო, უკანონო მოსმენებს, თვალთვალს, გადაღებებს „ნაცმოძრაობის“ ე.წ. შავი ფონდიდან აფინანსებდნენ, ამ „ობშიაკს“ კი დავით კეზერაშვილი განკარგავდა. არც დავით კეზერაშვილია ექსტრადირებული საფრანგეთიდან, საქართველოს პროკურატურის გაუგონარი უგერგილობის გამო. კაცმა არ იცის, იქნებ მისი არჩამოყვანაც პოლიტიკური დაკვეთა იყო პროკურატურისთვის, რადგან კეზერაშვილსაც, ალბათ, ხელი მიუწვდება ამ ფარული ჩანაწერებზე და ამბობენ, რომ ისიც აშანტაჟებს კონკრეტულ გავლენიან პოლიტიკოსებს ხელისუფლებიდან?

ამ კაცის ხსენებაც ზარავს ცალკე არასამთავრობო სექტორს და ცალკე – ხელისუფლების კონკრეტულ ლიდერებს. მათ რომ ამ სექსვიდეოების საქმეების გამოძიება სურდეთ, მარტო გამავრცელებლების დასჯას კი არ უნდა ითხოვდნენ, ჯერ მათ დასჯასა და შესაბამისად, საქართველოში ჩამოყვანას უნდა ითხოვდნენ, ვინც მთელ ამ უბედურებად დაუდო სათავე, ვინც ამ ფარულ გადაღებებს ორგანიზატორობდა და ვინც აფინანსებდა. ზურაბ ადეიშვილი, იმავე ექსპერტთა და დღეს ხელისუფლებაში მოკალათებული ყოფილი ოპოზიციონერების თქმით, მთელი ამ უბედურების ორგანიზატორი იყო, ის იყო გეგმის ავტორი, რომელ უწყებას როგორ უნდა მოეპოვებინა კონკრეტულ არასასურველ პიროვნებებზე კომპრომატები და ამ კომპრომატების ერთი ასლი, პირადად ეგზავნებოდა ადეიშვილს. დღეს ადეიშვილი უკრაინის ხელისუფლებაშია დასაქმებული, ვერც მისი ჩამოყვანა მოახერხეს ჯერ უნგრეთიდან, მერე უკრაინიდან ჩვენმა სამართალდამცავებმა. მეტიც, ის ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილთა სიიდანაც კი ამოიღეს. ხელისუფლების გავლენიანი ჩინოსნების მოწადინების გარეშე, წარმოუდგენელია, ზურაბ ადეიშვილი ამდენ ხანს დაუსჯელი იყოს, იმდენ დანაშაულს ედავებიან მას. სავარაუდოდ, მასაც „ქართული ოცნების“ დაშანტაჟებული ლიდერები ეფოფრებიან და შესაბამისად, პროკურატურაზე ახდენენ ზეწოლას.

„მასტერამ“ ძალიან ბევრი იცის ამ სექსვიდეოებსა თუ პოლიტიკოსებზე, არასამთავრობოთა ლიდერებსა და ჟურნალისტებზე შექმნილი სხვა სახის კომპრომატების შესახებ. თუ ამ მიმართულებით „მიაწვა“ პროკურატურა „მასტერას“, მას უეჭველად მოუწევს კუდ-ის რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის დასახელება, როლებიც მას დავალებებს აძლევდნენ. დათა ახალაიასა და სოსო თოფურიძეს, სავარაუდოდ, ის გვერდს ვერ აუქცევს, რადგან ორივეს ასახელებენ ამ პროცესში მონაწილედ.

თუ პროკურატურის გამომძიებლებმა“ მასტერასთან“ ეფექტურად უმუშავეს, მათ შესაძლოა, არა მხოლოდ სექსუალური ვიდეოების შექმნის არაერთი საქმე გახსნან, არამედ, ისეთ ფაქტებზეც ისაუბროს, რაც საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. მოკლედ, „მასტერა“, „ოქროს მოწმეა“, მან ძალიან ბევრი იცის „ნაციონალთა“ დანაშაულებების შესახებ და ახლა, ყველაფერი პროკურატურაზეა დამოკიდებული. თუ „მასტერა“ მხოლოდ „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ გამო გაასამართლეს, მაშინ დარჩება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სხვა დანაშაულების შესახებ მისი ალაპარაკება და დასჯა არავის აწყობს, რადგან ვისაც ეს ვიდეოები გადაუღეს, მოგახსენეთ უკვე, მათი დიდი ნაწილი ხელისუფლებაშია და შესაძლოა, სწორედ მათ დაბლოკონ ამ მიმართულებით გამოძიება, რათა მათი სახელები არ გახმაურდეს.

> **„ამ კაცის ხსენებაც ზარავს ცალკე არასამთავრობო სექტორს და ცალკე — ხელისუფლების კონკრეტულ ლიდერებს. მათ რომ ამ სექსვიდეოების საქმეების გამოძიება სურდეთ, მარტო გამავრცელებლების დასჯას კი არ უნდა ითხოვდნენ, ჯერ მათ დასჯასა და შესაბამისად, საქართველოში ჩამოყვანას უნდა ითხოვდნენ, ვინც მთელ ამ უბედურებად დაუდო სათავე, ვინც ამ ფარულ გადაღებებს ორგანიზატორობდა და ვინც აფინანსებდა“**

## ლონდონის პოლიცია ტერაქტების სერიისთვის ემზადება



დიდ ბრიტანეთში, ლონდონის პოლიციამ და სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფმა მიიღო ბრძანება, ლონდონის ქუჩებში შესაძლო ტერორისტული თავდასხმებისთვის მზადების შესახებ.

გამოცემა „The Sunday Times“ ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ხელისუფლება შიშობს, რომ სირიელი ტერორისტები ლონდონში პარიზის ტერაქტების სერიის მსგავსად, ათობით ტერორისტულ აქტს განახორციელებენ.

პოლიციისა და სპეციალურ ქვედანაყოფებთან ერთად, ლონდონის ქუჩებში სამხედრო დანაყოფებიც სრულ მზადყოფნაშია. ისინი ლონდონის სიახლოვეს არიან განლაგებულნი. (pia.ge)

## უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში, მოსახლეობა სამების საკათედრო ტაძარში მისვლას ვერ შეძლებს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარი მოინახულა.

როგორც პატრიარქმა ბრძანა, სამების ტერიტორიაზე არსებული 13 ტაძრიდან წირვა-ლოცვა მხოლოდ 4 ტაძარში გაგრძელდება.

პატრიარქი მოსახლეობას მოუწოდებს, უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში სამების ტაძარში მისვლისგან თავი შეიკავონ.

ტაძარში საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილიც იმყოფებოდა. პრემიერმა ტაძარში განთავსებული სტამბა დაათვალიერა და ხანძრის შედეგებს ადგილზე გაეცნო.

სამების საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილის, არქიმანდრიტ ილია ნასიძის განმარტებით, ცეცხლი საკათედრო ტაძრის პირველ სართულზე, საკვირაო ქადაგების შემდეგ გაჩნდა, დამწვარია 1200 კვადრატული მეტრი ფართობი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განმარტებით, გამოძიება მუშაობს ხანძრის მიზეზების დასადგენად. მისივე თქმით, ხელისუფლება ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხანძრის შედეგები დროულად აღმოიფხვრას. (pia.ge)

## გადაბრუნებული მანქანიდან ორსული გოგოს გამოყვანაში პრეზიდენტი ეხმარებოდა — ავარია სანაპიროზე



„ფეისბუკის“ მომხმარებელი გიგა ქიტია სანაპიროზე მომხდარი ავტოავარიის შესახებ წერს. მისი თქმით, ავარიას პრეზიდენტის ესკორტი შეესწრო, თავად პრეზიდენტი კი გადაბრუნებული ავტომობილიდან ორსული გოგონას გადმოყვანაში მონაწილეობდა:

– დღეს საშინელ ავტოავარიას შევესწარი: გადაბრუნებულ მანქანაში ორსული გოგოს გამოყვანაში პრეზიდენტი ეხმარებოდა და ზრუნავდა, რომლის ესკორტი შემთხვევით გახდა მომსწრე... ცდილობდა, ცეცხლმაქრი საკუთარი მანქანიდანაც გამოეყენებინათ... გვერდი არ აუვლია თუნდაც უსაფრთხოების მიზნით, რადგან შეჯახება გაზგასამართ სადგურთან მოხდა სატუმბ ჯიხურთან შეჯახებით... მე მომწონს ეს ადამიანი, როგორც ადამიანი და შემდეგ პრეზიდენტი. ორსული გოგოს (მძღოლის) ამბები არ ვიცი, რადგან სასწრაფომდე წაუყვანიათ, გვერდზე მჯდომი კი საშინლად იყო დალეწილი და იმედია, სტაბილურად მაინც არიან... და კიდევ, ყველა „ბეემვეს“ მძღოლი ერთი რატომ არის? – წერს გიგა ქიტია. (ნიუპოსტი)

## „ისლამური სახელმწიფო“ ბრიუსელის ტერაქტების დეტალებზე განცხადებას ავრცელებს

„ისლამური სახელმწიფო“ ბრიუსელის ტერაქტების დეტალებზე ინფორმაციას ავრცელებს.

დაჯგუფების ერთ-ერთი მედიასაშუალების, სააგენტო „ალამაკის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი თავს დაესხნენ ქვეყნის აეროპორტსა და მეტროს ცენტრალურ სადგურს.

მათივე ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა თავდასხმები შაჰიდის ქამრებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების საშუალებით განახორციელეს.

– ისინი თავს დაესხნენ აეროპორტსა და მეტროს ცენტრალურ სადგურს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელის ცენტრში, ქვეყანაში, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციაში მონაწილეობს, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში, ასევე, ნათქვამია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული „ჯვაროსნული“ ქვეყნებისთვის „უარესი დღეები დადგება“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჯიჰადისტებმა ბელგიის დედაქალაქში სამიზნეები წინასწარ შეარჩიეს.

ტერაქტების მსხვერპლთა რაოდენობა 34-მდე გაიზარდა. ქვეყანაში 3-დღიანი გლოვა გამოცხადდა. (kvira.ge; ipn.ge)

# რა უნდა ვიცოდეთ, როცა კრედიტის ალებას ვგეგმავთ

საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს ურთიერთობა საბანკო დაწესებულებებთან, ძირითადად, ეს ურთიერთობები დაკავშირებულია კრედიტთან. არსებული ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა კი ხშირად მოქალაქეთა ფინანსურ შესაძლებლობებზე სხვადასხვაგვარად აისახება, რაც შემდგომში ართულებს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. შეგვიძლია თუ არა თავი დავაღწიოთ „შავ სიას“?

მომხმარებელთა კითხვებს იურისტი თათია კაჭარავა პასუხობს.





**— „შავ სიაში“ მოხვედრილს შეუძლია თუ არა, დატოვოს საქართველო?**

– ე.წ. შავი სია, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს არის ერთიანი საკრედიტო ინფორმაციის ბაზა, რომელიც ინახავს როგორც დადებით, ასევე, უარყოფით ინფორმაციას, დაკავშირებულია ვალდებულების შესრულებასთან ან არაჯეროვან შესრულებასთან. შესაბამისად, ეს არის კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება, რაც გამორიცხავს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისას თავისუფლების აღკვეთას, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვას რაიმე კუთხით, რაც ნიშნავს იმას, რომ ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, ვერ აეკრძალება საქართველოს ტერიტორიის დატოვება.

**— რამდენი წელი სჭირდება „შავი სიიდან“ ამოღებას და რჩება თუ არა ისტორია „შავი სიიდან“ ამოღების შემდეგ?**

– საკრედიტო ინფორმაციის ერთიან ბაზაში ნეგატიური ინფორმაციის შენახვის ვადა ერთიანი მემორანდუმის თანახმად, დადგენილია 5 წელი. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება იქნება შესრულებული, რა თქმა უნდა, ეს ნიშნავს იმას, რომ ნეგატიური ინფორმაცია არ არსებობს. ამასთანავე, 5-წლიანი ვადის გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ სიიდან ამორიცხვის საფუძველს ქმნის.

**— როგორც ვიცი, 1 თვე ვადაგადაცილება უკვე „შავ სიაში“ მოხვედრის ტოლფასია ფიზიკური პირებისთვის, იურიდიული პირებისთვის 2 თვე. მაგრამ 2 კვირაზე მეტ ვადაგადაცილებულებსაც ნაკლებად უმტკიცებენ ახალ სესხს, რატომ?**

– „შავი სიები“ რეალურად გულისხმობს ფინანსური სექტორის გაჯანსაღებას. ეს არის შიდა რეგულაციები მიკროსაფინანსო, საბანკო დაწესებულებებისთვის, იმისთვის, რომ ფინანსური სექტორი გაჯანსაღდეს და იყოს მყარი. მათ აქვთ შიდა კონტროლის მსგავსი მექანიზმის შემოღების უფლება. თუმცა ეს არ არის შემბოჭველი სია. ეს არ არის სავალდებულო რეკვიზიტი და ამის მიხედვით ბანკი, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის შესახებ, ან – არა. ამ კონკრეტულ ნეგატიურ ინფორმაციას ითვალისწინებს ან – არა. მას არ აქვს ვალდებულება, რომ ავტომატურად „შავ სიაში“ მოხვედრილი პერსონა დაბლოკოს და არ მისცეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შემოსვლის შესაძლებლობა.

**— სხვადასხვა ბანკში მაქვს სესხი. მინდა გავაერთიანო ერთ ბანკში. ვმუშაობ ძიძად. ხელფასს ვიღებ ხელზე, ბანკები უარს მეუბნებიან. როგორ მოვიქცე?**

– სესხის ერთ ბანკში გაერთიანება არასწორი ტერმინია. ყოველი კონკრეტული ურთიერთობა სასესხო საკრედიტო ურთიერთობა არის დამოუკიდებელი. დამოუკიდებელი არიან სუბიექტები, რომლებიც რეალურად როგორც მოქმედი ბანკის სახით ფუნქციონირებენ და დებენ ხელშეკრულებებს. შესაბამისად, არანაირი რეგულაცია იმაზე, რომ ერთ ბანკში გაერთიანდეს კონკრეტული სესხი, თუ მხარეთა ნება ამაზე არ იქნება გამოთქმული – არ არსებობს. ამ ქალბატონს შესაძლებლობა აქვს (თუ დასთანხმდება სხვა დამოუკიდებელი საბანკო დაწესებულება), აიღოს მისგან კონკრეტული კრედიტი, დაფაროს ეს წინა ვალდებულება და ამის შემდეგ მოექცევა ერთი ბანკის წინაშე ვალდებულ პირად.

**— მაქვს 800-ლარიანი სესხი. შარშან გავიარე რესტრუქტურიზაცია და შემდეგ ველარ შევიტანე ვერც ერთი თეთრი. საზღვარგარეთ მინდა წასვლა და ეს ხელს შემიშლის?**

– სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვისა და ქვეყნის ტერიტორიის დატოვების საფუძველი არ არის. ამ პიროვნებას თავისუფლად შეუძლია დატოვოს საქართველოს ტერიტორია, თუ კანონიერად იმყოფება ქვეყნის ფარგლებში.

**— გავაკეთე განვადება. დროებით ვარ პრობლემის წინაშე. კიდევ ერთი თვე მინდა, ეს ვალი რომ დავფარო, მაგრამ არ მაძლევენ საშუალებას ბანკის თანამშრომლები. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემიძლია გავაკეთო იმისთვის, რომ ერთი თვე მომცენ დრო.**

– ნასყიდობა გადახდის განვადებით, ასევე, არის კერძო სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების პირობები აუცილებლად უნდა ინახოს, თუმცა მხარე, რომელიც არღვევს გადახდის გრაფიკს, რეალურად ის არის მიჩნეული გადახდის დამრღვევად, აქედან გამომდინარე, მას არანაირი პრივილეგია ამ მიმართულებით არ აქვს. მეორე მხარეს შეუძლია დარღვევაზე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. მას, ასევე, არ აქვს ვალდებულება (საბანკო დაწესებულებას ვგულისხმობ) კონკრეტული შეღავათები გაუწიოს. მას აქვს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, რომ დაიცვას მისი გაფრთხილების ინფორმირების ვალდებულება და შემდეგ უკვე მიმართოს სხვა იძულებით ღონისძიებებს. ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ამ პერსონას კიდევ მისცემს დამატებით ვადას თუ არა.

**— საქართველოს ბანკში 2007 წელს ავიღე ხელფასიდან სესხი, რომელსაც ვიხდიდი შეუფერხებლივ 2008 წლამდე, შემდეგ სამსახურში მოვხვდი შემცირებაში და, შესაბამისად, გადახდის წყაროც აღარ მქონდა. 2008 წელს მომაკითხა კრედიტოფიცერმა. მაინც ვერ გადავიხადე. ვარ „შავ სიაში“. ამჟამად რომ დავიწყო გადახდა, რამდენ ხანში შეიძლება ამომიღონ „შავი სიიდან“?**

– ნეგატიური ინფორმაციის წარმოშობიდან და მიწოდებიდან 5-წლიანი ვადა არსებობს. 5 წლის გასვლის შემდეგ უკვე შესაძლებელია, ეს ინფორმაცია წაიშალოს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში ვექცევით, წავიკითხოთ ხელშეკრულების პირობები და დათქმები. იმ შემთხვევაში, თუ ეს დათქმები ჩვენთვის ბუნდოვანია (როგორც ხდება ხოლმე), მაშინ გავაცნოთ კომპეტენტურ პირს, იურისტს, იმისთვის, რომ გაგვიმარტოს, რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება მოჰყვეს ჩვენ მიერ ვალდებულების დარღვევას, რა სახის და რა მოცულობით ვიღებთ ამ ვალდებულებას. რა ვადებია გაწერილი და დარღვევისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში რა სახის შეიძლება იყოს. თუ ინფორმაცია იქნება წინასწარ გაცნობიერებული და გათავისებული, ვალდებულების ჯეროვნად შესრულების გარანტია მეტია. არაჯეროვანი შესრულება, ანუ დარღვევა რა შედეგებამდე მიგვიყვანს, ამაზეც გვაქვს ინფორმაცია და არ იქნება ის მოულოდნელი. მთავარია, რეალურად ვიცოდეთ, რას ვაწერთ ხელს, რაზე გამოვთქვამთ ნებას და გავაცნობიეროთ, რომ ეს სარგებელთან ერთად რაღაც კონკრეტულ ვალდებულებებსაც გვაკისრებს. (allnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ფაქტზე 2015 წელს საქართველოში 189 საქმე აღიძრა

შესწავლილი საქმეების მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში დედაქალაქში მომხდარია სულ 8 ფაქტი. ფაქტების ყველაზე დიდი ნაწილი, 50 ფაქტი მომხდარია ქვემო ქართლის რეგიონში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – 26 ფაქტი, კახეთი – 24 ფაქტი, დასავლეთ საქართველო – 22 ფაქტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 16 ფაქტი, შიდა ქართლი – 12 ფაქტი, სამცხე-ჯავახეთი – 2 ფაქტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა – 2 ფაქტი.

ანალიზით შესწავლილ იქნა სქესობრივი კონტაქტის დროს პოტენციურ დაზარალებულ პირთა ასაკი. 85 შემთხვევაში სრულწლოვნის სექსუალურ კავშირს ადგილი ჰქონდა 15 წლის პირთან; 14 წლის პირთან – 53 შემთხვევაში; 13 წლის – 15 შემთხვევაში; 12 წლის – 6 შემთხვევაში და 11 წლის – 3 შემთხვევაში. შესწავლილ იქნა, ასევე, ერთ ფაქტი, სადაც პოტენციური დაზარალებული 16 წლის ასაკს მიღწეული იყო, თუმცა საქმეზე არ იყო მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

163 დაზარალებულიდან უმეტესობა ქართველი ეროვნებისაა – 106 დაზარალებული; აზერბაიჯანელი – 55; სომეხი – 1; რუსი – 1.

დაზარალებულთა უმრავლესობას – 129 დაზარალებულს არ აქვს პრეტენზია ბრალდებულის მიმართ; პრეტენზია აქვს მხოლოდ 5 დაზარალებულს; ხოლო უცნობია 29 დაზარალებულის პოზიცია პირის ბრალდებასთან ან სხვა საპროცესო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.



ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შესწავლილი ფაქტების ყველაზე დიდი ნაწილი ჩადენილია 18-დან 25 წლამდე პირთა მიერ.

161 პოტენციური ბრალდებულიდან უმეტესობა ქართველი ეროვნებისაა – 103 პირი; აზერბაიჯანელი – 57; ასირიელი – 1.

161 პოტენციური ბრალდებულიდან დევნა დაიწყო 113 ბრალდებულის მიმართ, საიდანაც სასამართლოში წარმართული იქნა საქმე 99 ბრალდებულის მიმართ. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 81 პირის მიმართ, საიდანაც საპროცესო გაფორმდა 80 პირის მიმართ; ხოლო საქმე არსებითად დასრულდა 1 პირის მიმართ; (ნიუპოსტი)

## გაიცვლება ნადეჟდა სავჩენკო თუ არა, რუსეთის პრეზიდენტი გადაწყვეტს



რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ რუსული მხარე იმოქმედებს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად და გადაწყვეტს, გაცვალოს თუ არა ნადეჟდა სავჩენკო ეროფეევსა და ალექსანდროვზე.

– რუსეთის მხარე იმოქმედებს ეროვნული უსაფრთხოების კანონმდებლობის სრული დაცვით. გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. რა გადაწყვეტილებას მიიღებს პუტინი, ჯერჯერობით ვერ გეტყვით, – განაცხადა პესკოვმა.

შეგახსენებთ, რომ კიევი რუსეთს ნადეჟდა სავჩენკოს გაცვლას სთავაზობს, რომელსაც 22-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, – აღნიშნულის შესახებ განცხადებას, უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო თავის ოფიციალურ საიტზე ავრცელებს.

– მე მზად ვარ, რუსეთს ორი რუსი სამხედრო გადავცე, რომლებმაც უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაში მიიღეს მონაწილეობა. სასამართლო დავა ფინალურ სტადიაზეა. დასრულების შემდეგ, მზად ვარ, აღნიშნული პირები რუსეთის ფედერაციას გადავცე, – აცხადებს პოროშენკო. (ipress.ge)

## „რიყე-ნარიყალას“ საბაგიროს მუშაობა დროებით შეიზღუდება



„რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზის მუშაობა დროებით შეიზღუდება, – ამის შესახებ თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან იუწყებიან.

„რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზის მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობის გათვალისწინებით, სავალდებულოა გარკვეული ტექნოლოგიური პროცესებისა და გეგმიურ-გამაფრთხილებელი სამუშაოების ჩატარება, რაც დადგენილია საბაგირო გზის მწარმოებელი კომპანია „ლაიტნერის“ მიერ. აღნიშნული სამუშაოებიდან გამომდინარე, 29 მარტიდან 7 აპრილის ჩათვლით და 11 აპრილს „რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზა მგზავრებს ვერ მოემსახურება. (ipress.ge)

## „კარასინის პროვოკაციას არავინ უნდა წამოეგოს, მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტი“



ექსპერტი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, ენდობა თუ არა ზურაბ აბაშიძეს.

მისი თქმით, პრეზიდენტის განცხადების ფუნქცია მისთვის გაუგებარია მაშინ, როდესაც თითქმის ყველა უცხოელი პარტნიორი საქართველოს მიუთითებს იმაზე, რომ პრაღის მოლაპარაკებების ფორმატი შესანარჩუნებელია.

პრეზიდენტის მიერ ზურაბ აბაშიძის კომპეტენტურობის ეჭქვეშ დაყენებასთან დაკავშირებით ექსპერტი ამბობს, რომ ჯერჯერობით ვერ ხედავს საქართველოს წარმომადგენლებში უფრო კომპეტენტურ დიპლომატს, ვიდრე ზურაბ აბაშიძეა.

– ჩვენ არ ვიცით, რეალურად, რა მოხდა დახურულ კარს მიღმა. გამორიცხული არ არის, მაშინ როდესაც გრიგორი კარასინმა გააკეთა განცხადება – ლაპარაკი გვქონდა ამ თემაზეო, სწორედ ისეთი პროცესების პროვოცირება მოისურვა, რასაც ადგილი აქვს. თუ ვინმეს უშლის ხელს ეს ფორმატი, უპირველეს ყოვლისა, ეს რუსეთია, – განაცხადა საყვარელიძემ.

მისივე თქმით, რადგან კარასინისა და აბაშიძის განცხადებები ერთმანეთს არ ემთხვევა, ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, რომელს უფრო ენდობა – კარასინს თუ აბაშიძეს.

– თუ კარასინზე ვიღებთ ორიენტაციას, მაშინ ზურაბ აბაშიძე უნდა გადადგეს იმ მიზეზით, რომ მას არ ენდობიან. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ჩვენს წარმომადგენელს ვენდობით თუ არა. თუ არავის არ ვენდობით და ვენდობით მას, ვინც აგრესიულ ფრაზეოლოგიას აჰყვება, მაშინ მივიღებთ 2008 წლის სიტუაციას. თუ ეს არის ჩვენი ხელისუფლების მიზანი, მაშინ ეს უნდა ითქვას და გავიმეოროთ 2008 წელი. თუ ჩვენი მიზანია ურთიერთობების ნორმალიზაცია, კარასინის პროვოკაციას არავინ უნდა წამოეგოს, მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტი, – განაცხადა საყვარელიძემ. (pia.ge)

## იტალიაში ქართველთა დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები დააკავეს

იტალიელმა სამართალდამცველებმა ქართველთა რვაკაციანი დაჯგუფების წევრები დააკავეს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში საცხოვრებელ სახლებს ძარცვავდნენ. პოლიციამ ისინი იტალიის ტერიტორიის დატოვების მცდელობის დროს დააკავა.

სამართალდამცველებმა დაჯგუფების წევრების საცხოვრებლის ჩხრეკაც ჩაატარეს, საიდანაც 290 ათასი ევრო ნაღდი ფული და 200 ათას ევროდ შეფასებული მობილური ტელეფონები, ოქროს ნივთები, სააღდგომო კვერცხები, კომპიუტერები, ფოტოაპარატები და სხვა ნივთები ამოიღეს.

დაკავებულთაგან რამდენიმე პირი ანალოგიური დანაშაულისთვის ადრეც იყო დაპატიმრებული. (gurianews.com)

---

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# სინამდვილეში რა გამოძიება ჩაატარა პროკურატურამ და რატომ არ დაკითხეს მინისტრი თინა ხიდაშელი?



მთავარმა პროკურატურამ, საგარეჯოში ჩატარებული არჩევნების საქმეზე გამოძიება შეწყვიტა, დანაშაულის ნიშნები არ არსებობსო.

**რატომ არ აწარმოა მთავარმა პროკურატურამ რეალური გამოძიება? რა საფრთხე შეიძლება შექმნას ელისაშვილ-ბესელია-კობახიძის საქმის ჩაფარცხვამ?**

**„ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

– საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რასთან გვქონდა საქმე. პროკურატურამ საზოგადოება მწარედ მოატყუა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საქმის გამოძიებას აბსოლუტურად სხვანაირად ხსნის. გამოძიება უნდა დაიწყო კონკრეტული ფაქტის მიმართ, ან კონკრეტული პიროვნების მიმართ. ამ შემთხვევაში, ასეთი რამ არ მომხდარა. პროკურატურამ გამოძიება კი არ აწარმოა, გამოკითხა ადამიანები, რაც არ არის საგამოძიებო მოქმედება და ასე დადო შედეგი, რომ სისხლის სამართლის დანაშაული არ არის ჩადენილი. არავის ამოუღია ოქმები, არავის დაუკითხავს ადამიანი, რომელსაც ბრალს სდებდნენ... ამ საქმის გამოძიებას სჭირდება პოლიტიკური ნება, რომელიც დღეს არ არსებობს. „ქართული ოცნება“ იმდენადაა შესუსტებული, რომ ხელისუფლებას „რესპუბლიკური პარტია“ უძღვება, რომელსაც ვერ გადააბიჯა პროკურატურამ, ვერ გაბედა, ეწარმოებინა რეალური გამოძიება და დაეკითხა თავდაცვის მინისტრი. ერთმანეთზე უფრო ანგარიშგასაწევია დღევანდელი პროკურატურისთვის, როგორც ხიდაშელი, ასევე ის ძალა, რომელიც ამ ადამიანის უკან დგას. საუბარია დასავლურ ძალებზე, რომელიც ქვეყანას ღუპავს. აი, ასეთი სამართალი გვაქვს ქვეყანაში.

**— ელისაშვილის საქმეზეც თქვა გამოძიებამ, კობახიძის და ბესელიას დანაშაული არ იკვეთებაო...**

– ვუყურებ ამ საკითხს და მეშინია, ეს ელისაშვილ-ბესელია-კობახიძის საკითხი, საერთოდ სხვა პროცესებში არ გადაიზარდოს. თუკი მართლა ხდება სმს-ების პროკურატურაში გაქრობა, ეს ძალიან ცუდ რამეს ნიშნავს. თუ ამას გააკეთებს პროკურატურა, მაშინ ის ნებისმიერ დროს შეძლებს უსირცხვილო ბრალდებების წაყენებას, როგორც ეს ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. ჩვენ, ყველას, გვქონდა მოლოდინი, პროცესები უფრო სამართლიანად წარიმართებოდა, მაგრამ შევცდით.

**— რამე ინფორმაცია გაქვთ პროკურატურიდან? „მასტერას“ მხოლოდ ნავთლუღის სპეცოპერაციაზე ედავებიან, ფარულ ჩანაწერებზე კრინტი არ დაუძრავს პროკურატურას. არა და, ამ ჩანაწერების ქვეყნიდან გატანაში მასაც ადებენ ხელს...**

– „მასტერა“ სპეცფიგურაა. ის კუდ-ის მაღალჩინოსანი გახლდათ, იგივენაირად მაღალი თანამდებობა ეჭირა მას თავდაცვის სამინისტროშიც – მეგის ქარდავასთან ერთად. „მასტერასა“ და მეგის ქარდავას გარეშე თითს ვერავინ ანძრევდა. მეგის ქარდავასა და „მასტერას“ შორის განსხვავება ისაა, რომ ქარდავა გახლდათ ცივსისხლიანი მკვლელი, „მასტერა“ კი, ყველასთან შედარებით, უფრო ჭკვიანი. ის იყო ყველაზე სუფთა შემსრულებელი. ყველაზე ბინძურ დავალებებსაც კი უკვალოდ ასრულებდა. ეს ადამიანი, ახალაიებსაც კი არ ემორჩილებოდა, მას უშუალო კავშირი ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან.

შიდა სამზარეულო – ვინ ვის აძლევდა დავალებებს, ვინ ვის უთვალთვალებდა, ვის და სად აქვს ეს ჩანაწერები, ეს ყველაფერი „მასტერამ“ იცის ზედმიწევნით, უშველებელი ინფორმაცია აქვს ამ ადამიანს. გამოიყენონ ეს ადამიანი ახლა მაინც, მათ ხელში ხომაა და დამერწმუნეთ, ყველა ამაზრზენ საქმეს, რაც დღეს ხდება, ძალიან მარტივად გამოიძიებენ. რატომ ქვეყნდება და ვის აქვს ეს მასალები – ეს არის კითხვები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია. კუდ-ის შენობაში, მესამე სართულზე, სადაც ლევან ქარდავა იჯდა, დერეფნის ბოლოს არსებობდა სპეციალური ოთახი, სადაც უამრავი კომპიუტერი იყო. აქ იშიფრებოდა ეს მოსმენილი და გადაღებული კადრები, იქვე ფაილდებოდა და მერე გარკვეულ გზას უყენებდნენ.

დაკითხონ ამ საქმეზე „მასტერა“ და ბევრ საინტერესო რამეს მოისმენს პროკურატურა. მაგრამ ამ ყველაფერში ღიად მონაწილეობდა პროკურატურაც და რამდენად წავლენ გამოძიებისას ამ მიმართულებით, ესაა საქმე. ეს ყველაფერი ხომ უკანონოდ მიმდინარეობდა და შემდეგ ამას „აპრავებდა“ პროკურატურის საზედამხედველო განყოფილება. ამ პროცესებში იყო ჩართული, ქაჩიბაია მისი მთელი საგამოძიებო სამსახურით, სხვა სამსახურები... ეს მთელი „შემოქმედება“ საბოლოო ჯამში მიდიოდა ადეიშვილთან და მერე ადეიშვილი სააკაშვილთან ერთად წყვეტდა, სად უნდა წასულიყო ეს ფაილები და როგორ უნდა გამოეყენებინათ.

მე მაშინ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს საკუთარი თვალით ვხედავდი, იქაურ სიტუაციაში გახლდით. როცა ბაჩანა ახალაია შს მინისტრად დაინიშნა, თავდაცვის სამინისტროში გადმოსხეს ახალაიების ახალი დესანტი, დათა ახალაიას ხელმძღვანელობით და პრაქტიკულად, იქ ყველაფერს ეს ახალაიები წყვეტდნენ. მძიმე შეიარაღება, კუდ-თან ერთად, უზნაძის ქუჩაზე განლაგდა, სადაზვერვო სამმართველოს შენობაში, სადაც მოწყობილი იყო დიდი კომპიუტერული ოთახი – მონიტორებით, სადაც მუშაობდნენ ამ აპარატურის მომზადება-დაყენებაზე, ჩანაწერების გაშიფვრაზე... მთელი ჯგუფები იყვნენ ჩართული ამაში. აქვე ამზადებდნენ აგენტებს, გადიოდნენ ინსტრუქტაჟს და უშვებდნენ დანიშნულების ადგილებზე.

ნუ ეწყინებათ ჩვენს პოლიტიკოსებს, მაგრამ უნდა ვთქვა – მათ მიმართ, უამრავი ფაილი არსებობს და ნუ ჰგონიათ, რომ მათი გამოქვეყნება ბიძინა ივანიშვილის, ან ზოგადად ხელისუფლების ინტერესებში შედიოდეს. ამით, ქმნიან ქაოსს ქვეყანაში, რომ თითქოს წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი ფაილებით დღეს ეს ხელისუფლება სარგებლობს და ამით უარეს დანაშაულს სჩადის. ეს აბსოლუტური სიგიჟე და სიბრმავეა. ხელისუფლებამ მაშინ ჩაიდინა ყველაზე დიდი დანაშაული, როცა სპეცსამსახურებს გაურიგდნენ და დანაშაულები აპატიეს. წლების წინათ გავბედე და ეს და კიდევ ბევრი რამ მოვუყევი ხელისუფლებას, მაგრამ ფარულავა-ნაცვლიშვილის ჯგუფმა ამ ყველაფერს, უბრალოდ, გრიფი დაადო და შეინახა...

**„ხელისუფლებამ მაშინ ჩაიდინა ყველაზე დიდი დანაშაული, როცა სპეცსამსახურებს გაურიგდნენ და დანაშაულები აპატიეს. წლების წინათ გავბედე და ეს და კიდევ ბევრი რამ მოვუყევი ხელისუფლებას, მაგრამ ფარულავა-ნაცვლიშვილის ჯგუფმა ამ ყველაფერს, უბრალოდ, გრიფი დაადო და შეინახა...“**

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზუგდიდელი მძღოლები პარლამენტთან შიმშილობის დაწყებას გეგმავენ



ზუგდიდიდან საქალაქთაშორისო სამარშრუტო ტაქსები არ მოძრაობს, მიზეზი მძღოლების პროტესტი გახდა, რომლებიც კომპანია „მეტრო ჯორჯიას“ წინააღმდეგ გამოდიან. მათი თქმით, კომპანიას სატრანსპორტო ბაზრის მონოპოლიზება სურს და ამაში მას როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლებისგან ხელშეწყობა აქვს. თავად მათ კი ტრანსპორტი საბანკო კრედიტებით აქვთ ნაყიდი და ბაზარზე „მეტრო ჯორჯიას“ შემოსვლის შემდეგ ისინი უმუშევრად და შემოსავლის გარეშე დარჩებიან.

ზუგდიდიდან ქუთაისში გამგზავრებას გეგმავს ათი მძღოლი, რომლებიც შიმშილობის აქციას პარლამენტის შენობასთან დაიწყებენ. პარალელურად ადგილზე ხუთი მძღოლი შიმშილობს. (ნიუპოსტი)

---

## ერაყელმა სამხედროებმა თარხან ბათირაშვილის, იგივე ომარ ალ-შიშანის, ცხედარი აღმოაჩინეს



ერაყელმა სამხედროებმა ISIS-ის საველე მეთაურის, პანკისელი თარხან ბათირაშვილის, იმავე ომარ ალ-შიშანის, ცხედარი აღმოაჩინეს. ამის შესახებ რამდენიმე ერაყული გამოცემა საუბრობს, თუმცა ოფიციალური განცხადება არც ისლამისტებს და არც ერაყის მთავრობას არ გაუკეთებია.

გავრცელებული ინფორმაციით, სამხედროებმა, ქალაქ რამადისთან პატრულირების დროს „ისლამური სახელმწიფოს“ 10 მებრძოლის ცხედარი იპოვეს, მათ შორის არის ომარ ალ-შიშანიც.

შეგახსენებთ, ომარ ალ შიშანის სავარაუდო ლიკვიდაციის შესახებ პენტაგონმა 9 მარტს განაცხადა.

პანკისის ხეობაში დაბადებული, 30 წლის თარხან ბათირაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეა. ბათირაშვილი იარაღის უკანონო შენახვისთვის 16-თვიან პატიმრობაში იმყოფებოდა, სადაც ისლამი მიიღო. განთავისუფლების შემდეგ კი 2012 წელს, საქართველო დატოვა, „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდა და ერაყსა და სირიაში საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო. (ნიუპოსტი)

## სააკაშვილს ინტერნეტში ჩაცმულობის გამო დასცინიან



ოდესის ოლქის გუბერნატორი ჩაცმულობის გამო სოციალურ ქსელებში კიდევ ერთხელ გახდა დაცინვის ობიექტი.

როგორც რუსული მედია წერს, ამჯერად, სააკაშვილმა „ფურორი" წინდებში ჩატანებული შარვლით მოახდინა.

გუბერნატორი ამ ფორმაში ოფიციალურ ღონისძიებაზე ტრიბუნასთან გავიდა, შემდეგ კი ფურშეტზე გამოჩნდა.

როგორც რუსული მედია წერს, სააკაშვილის ამგვარი „ჩაცმულობა“ უკრაინელებისთვის უცხო არ არის.

ქართველი პოლიტიკოსი მედიის ყურადღების ცენტრში, ჩაცმულობის გამო, გასული წლის აგვისტოშიც მოხვდა.

ახალი საპატრულო პოლიციის ფიცის დადების ცერემონიაზე, მედიის ყურადღება სააკაშვილის შარვალმა მიიქცია.

სოციალური ქსელებში წერდნენ, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორს შარვალი უკუღმა ეცვა. (ინფო9)

## ინტერპოლის მიერ ძებნილი გიორგი დგებუაძის, იმავე „მასტერას“ საქართველოში ექსტრადირება განხორციელდა



საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით, განზრახ მკვლელობისთვის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ბრალდებული გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, ნიდერლანდების სამეფოდან იქნა საქართველოში ექსტრადირებული.

– გიორგი დგებუაძის მიმართ, რომელიც თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოებს და დატოვებული ჰქონდა ქვეყნის ფარგლები, ინტერპოლის წითელი ცირკულარით გამოცხადებული იყო საერთაშორისო ძებნა. ბრალდებულის ადგილსამყოფლის დადგენის შემდეგ, საქართველოს პროკურატურამ, მისი დაკავებისა და ექსტრადირების მოთხოვნით, მიმართა ნიდერლანდების კომპეტენტურ ორგანოებს და ძებნილი ბრალდებულის საქართველოში ექსტრადირების საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა მათთან.

პროკურატურის მოთხოვნის შედეგად, ნიდერლანდების სასამართლომ დასაშვებად ცნო გიორგი დგებუაძის საქართველოში ექსტრადიცია. აღნიშნულის საფუძველზე ბრალდებული ექსტრადირებულ იქნა საქართველოში და ამჟერად საქმის სასამართლოში განხილვა გაგრძელდება მისი მონაწილეობით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2005 წლიდან გიორგი დგებუაძე იკავებდა შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეორე სამმართველოს უფროსის თანამდებობას, ხოლო მოგვიანებით თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიას ბრძანებით დაინიშნა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსად.

გიორგი დგებუაძეს ბრალად ედება 2006 წლის 12 იანვარს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსთან დავით ახალაიასთან და ამავე დეპარტამენტის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, „ნავთლუღის“ ავტოსადგურში სამი ახალგაზრდის, შოთა გორგაძის, მარად ართმელაძისა და რომან სურმანიძის წინასწარ დაგეგმილ მკვლელობაში მონაწილეობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ პუნქტებითა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რასთან დაკავშირებითაც თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა, ხოლო ამ დანაშაულში ჩართული სხვა თანამონაწილეების მიმართ უკვე დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

21 მარტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა თაღლითობის ფაქტზე საქართველოს მოქალაქეები – ჯემალ დუაძე და გოგიტა დემეტრაშვილი დააკავა. ოფიციალური ინფორმაციით, ჯემალ დუაძემ გადაწყვიტა, ბეჟან დუაძისთვის ნასამართლევ გოგიტა დემეტრაშვილს და ერთად დაგეგმეს, როგორ ემოქმედათ შემდგომში, ანუ როგორ ჩაეგდოთ ხელში თანხა. 2016 წლის 20 მარტს, დაახლოებით 2 საათზე ჯემალ დუაძე თბილისის აეროპორტში დახვდა რუსეთიდან ჩამოსულ ბექას, წაიყვანა მეტრო „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე და

ამ კადრების გავრცელების შემდეგ „თავისუფალი თაობის“ ყოფილმა წევრმა, გიორგი ყუფარაძემ განაცხადა, რომ ჯემალ დუაძე არის ლადო სადღობელაშვილის მეგობარი და აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი: „ჯემალა დუაძეს კარგად ვერ გაუვლია კონსულტაციები ლადოიასთან და ვილაც ბებერი მიუყვანია, სუს-ის დატოვე და კაცად გაქცევთო, რომ ეუბნებოდით იმ ადამიანს? რა დროს დაგიდგათ, თქვენიანებს დაერიეთ“?!

ერთ-ერთი ინფორმაციით, ჯემალ დუაძე დაზარალებულების შორეული ნათესავია, მან იცოდა, რა შესაძლებლობები ჰქონდათ მისივე მოგვარე ნათესავებს და სცადა ფულის გაკეთება: „ბეჟან დუაძეს ბა-

# რა კავშირშია ხმაურიან თაღლითურ საქმესთან ლადო სადღობელაშვილი?





„დაეწერებინა“ 50 ათასი დოლარი და მასთან მიაგზავნა დაუდგენელი პირი, რომელიც გაეცნო დავით გიორგაძის გვარ-სახელით. პირობითმა გიორგაძემ ბეჟან დუაძეს უთხრა, ანტიკორუფციულ სააგენტოში პრობლემები გაქვს, თუ ამ თანხას გადაიხდი, ყველაფერს მოგიგვარებთო. ტიპებმა ივაჭრეს და საბოლოოდ 30 ათასზე შეთანხმდნენ. ჯემალ დუაძე, ასევე, დაუკავშირდა ბეჟან დუაძის შვილიშვილს, რუსეთის მოქალაქეს ბექა დუაძეს, რომელსაც საქმის ვითარება აუხსნა და საკითხის მოგვარების სანაცვლოდ მასაც მოსთხოვა 30 ათასი დოლარის გადახდა. ჯემალ დუაძე დაუკავშირდა ნაცნობს, თაღლითობისთვის წარსულში შეახვედრა გოგიტა დემეტრაშვილს, რომელსაც ჯემალ დუაძემ წინასწარ უქირავა „ეს“ კლასის „მერსედესი“. დემეტრაშვილმა ბექა დუაძეს თავი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ, იოსებ გოგაშვილად გააცნო და დაჰპირდა, რომ მის პაპას ყველა პრობლემას მოუგვარებდა, მის წინააღმდეგ დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეს შეწყვეტდა. სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი ამ სახის დანაშაულზე 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. უსაფრთხოების სამსახურმა, ასევე, გაავრცელა საუბრის ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერი.

უფროსი გოგაშვილიაო. ესეც „თავისუფალი თაობის“ სასტავი! წილი რამდენი იყო, წილი? მომინდომეს 50 ათასი“!

თავად სადღობელაშვილი აცხადებს, რომ ჯემალ დუაძემ ორგანიზაცია 2015 წლის დეკემბერში დატოვა. თუმცა გიორგი ყუფარაძე ამტკიცებს, რომ დუაძე „თავისუფალი თაობის“ წევრია ამ წუთამდე, ხოლო სადღობელაშვილი ცდილობს, საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანოს და ასეთ რამეს ამბობს: „კაცს აჭარის უმაღლესი საბჭოსთვის ამზადებდე და მერე დაიჭიროოოო? ოხ, ეს რა ხალხია ამ მოადგილეების პოსტებზე? თქვენ არ იყავით, ოლონდ „თავისუფალი თაობა“ თუმში აქვს ბიზნესი, საკმაოდ შეძლებული ადამიანია. მისი შვილიშვილი რუსეთში მოღვაწეობს, ასევე ბიზნესი აქვს. ვინაიდან ბეჟანი ასაკოვანია და ასეთ რაღაცებში კარგად ვერ ერკვევა, თავის შვილიშვილს, ბექას დაუკავშირდა, ის იურისტია და მიხვდა, რომ ატყუებდნენ“.

არსებობენ თუ არა სხვა დაზარალებულები? ეს იყო პირველი მცდელობა თუ ამ თაღლითურ დანაშაულში მხილებულმა ადამიანებმა სხვებიც გააბეს მახეში? როგორც უსაფრთხოების სამსახურში აუცხადებენ, ჯერჯერობით ამ ეტაპზე სხვა დაზარალებულები არ არსებობენ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქალბატონ თინას მეორე რქაც მოტყდება და ციხეშიც ჩაჯდება – ინაშვილი ხიდაშელზე



საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებას, საგარეჯოს არჩევნებზე საგამოძიებო პროცესის შეწყვეტის შესახებ, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი, ირმა ინაშვილი ეხმაურება:

– მიხარია, რომ პროკურატურამ ასეთ რეკორდულ ვადებში დაასრულა გამოძიება – საგარეჯოში არჩევნების გაყალბების თემაზე და აღმოაჩინა, რომ დანაშაულს თურმე ადგილი არ ჰქონია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლების დირექტორმა – თინა გამყალბებლოვამ ხელისუფლების დირექტორის პოსტი ჯერჯერობით შეინარჩუნა. თუმცა, ამ სკამს ფეხიც მოტეხილი აქვს და ერთი რქაც. საზოგადოებამ იცის, რომ საგარეჯოს არჩევნების გაყალბების შესახებ მზადდება დოკუმენტური, ჟურნალისტური გამოძიება. ამ ძალიან საინტერესო ფილმს მალე იხილავთ, ამიტომ კვლავ ვაცხადებ: დღეს თუ არა, ხვალ ქალბატონ თინას მეორე რქაც მოტყდება და ციხეშიც ჩაჯდება. პროკურატურის დასკვნა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ივანიშვილი ვერ (თუ არ) უწევს წინააღმდეგობას თინა გამყალბებლოვასა და „ნაცმოძრაობის“ ერთობლივ შანტაჟს. ეს კი, თავის მხრივ, ცხადყოფს, რაოდენ სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა, – წერს ინაშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მათ საყურადღებოდ, ვინც გვმოძღვრავს, რა დროს სავჩენკოა, ჩვენს თავს მივხედოთო და თვითონ შოშიასავით დაუღია გაქონილი პირი“



პარტია „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი რუსეთის საელჩოსთან სუხიშვილების გამოსვლასთან დაკავშირებულ შეფასებებს გამოეხმაურა. შეგახსენებთ, ნაციონალურმა ანსამბლმა ნადია სავჩენკოს მხარდასაჭერად ხორუმი იცეკვა.

იგი იმ ადამიანებს მიმართავს, რომლებიც სავჩენკოს მხარდაჭერას საჭიროდ არ მიიჩნევენ.

– მათ, ყველაზე და ყველაფერზე მაღლამდგომ შეუმდგარ ცინიკოსებსა და მხართეძოზე წამოწოლილებს, ვინც გვმოძღვრავს, რა დროს სავჩენკოა, ჩვენს თავს მივხედოთო და თვითონ შოშიასავით დაუღია გაქონილი პირი, რომ ვინმემ რამე ჩაასხას და ჩააცეცხლოს, აი, მათ საყურადღებოდ მინდა ვთქვა:

თქვენ იცით, რას ნიშნავს სოლიდარობა?

თქვენ ხვდებით, რომ სხვისი დაცვით საკუთარ თავსაც იცავთ?

თქვენ ყოფილხართ კი არა, გაგივლიათ მაინც ახლოს ციხესთან?

თქვენ გადმოცემით მაინც გითხრათ ვინმემ, რას გრძნობს პატიმარი, მით უმეტეს უკანონო, როცა მას გარედან მხარდამჭერების გამამხნევებელი შეძახილები ესმის?

და თუ ეს არ იცით, ეგებ დადუმდეთ!!!

თქვენი არაა ეს ქვეყანა!

ეს ქვეყანა მათია, ვინც დღეს სავჩენკოს მხარდასაჭერად ხორუმი იცეკვა!

მათია, ვინც უკრაინაში იქაურების მხარდამხარ იბრძვის და ზუსტად იცის, რასაც ნიშნავს უკრაინის გამარჯვება ჩვენი ქვეყნისთვის!

მათია, ვისაც ვინმესთვის ან რამესთვის თავის გაწირვა შეუძლია!

მათია, ვინც გვერდში დგომა იცის ჭირშიც და ლხინშიც!

მათია, ვინც წინ იხედება! – წერს სარიშვილი. (news.ge)

## მსოფლიოში ნავთობის გაძვირების მიუხედავად, ლარის გამყარება საწვავის ფასებს ამცირებს




ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, ბოლო პერიოდში ნავთობის ფასი იზრდება. დღეისთვის, ლონდონში InterContinental Exchange Futures Europe-ზე (IÑE Futures Europe) _ Brent ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 41,47 აშშ დოლარი/ბარელზე, ხოლო ნიუ-იორკში York Mercantile Exchange-ზე (NYMEX) _ Light Sweet ტიპის ნავთობის ფასმა – 41,62 აშშ დოლარი/ბარელზე.

ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდის მიუხედავად – ბოლო 1 თვის განმავლობაში ბენზინის საერთაშორისო ფასი გაზრდილია საშუალოდ 119 დოლარით/ტონაზე, ხოლო 10PPM დიზელის ფასი – საშუალოდ 66 დოლარით/ტონაზე – ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოს საცალო ქსელში რიგი კომპანიების მიერ სხვადასხვა ტიპის საწვავზე კვლავ გაგრძელდა ფასების შემცირება. როგორც იმპორტიორთა კავშირში განმარტავენ, ეს დაკავშირებულია საქართველოს ეროვნული ვალუტის – ლარის გამყარებასთან დოლართან მიმართებაში.

– მიმდინარე საერთაშორისო ფასებს განსაზღვრავს შემდეგი ფუნდამენტური ფაქტორები: მსოფლიოში ნავთობის მიწოდება აჭარბებს მოთხოვნილებას, რის შედეგადაც ბაზარზე ფიქსირდება ნავთობის ჭარბი ოდენობა (ბოლო პერიოდში გაზრდილი ნავთობის წარმოების პირობებში ვარაუდობენ, რომ მსოფლიოში არის ნავთობის ზედმეტობა 300 მლნ ბარელის ოდენობით); ირანის დაბრუნება მსოფლიო სანავთობო ბაზარზე; ასევე, მსოფლიოში ნავთობის მეორე მომხმარებელი ქვეყნის – ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შენელება.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ნავთობის გაზრდილი ფასები უკავშირდება რამდენიმე ფაქტორს. მათ შორის, რუსეთს, საუდის არაბეთსა და ოპეკის რიგ ქვეყნებს შორის დაწყებული მოლაპარაკებები ნავთობის მოპოვების „გაყინვასთან“ დაკავშირებით და, ასევე, აშშ-ში ნავთობის მოპოვების შემცირებას.

ნავთობის ფასის მომავალი ტენდენცია მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული 17 აპრილს ყატარში დაგეგმილ ოპეკის შეხვედრაზე, სადაც განხილულ იქნება ნავთობის მოპოვების „გაყინვის“ საკითხი.

დღეისთვის ბრენდირებულ გასამართ სადგურებზე 1 ლიტრი საწვავის საშუალო ფასი შეადგენს: სუპერი ტიპის ბენზინი – 1,65-1,80 ლარი; პრემიუმი ტიპის ბენზინი – 1,55-1,69 ლარი; რეგულარის ტიპის ბენზინი – 1,35-1,55 ლარი; დიზელი ლ-62 – 1,32-1,45 ლარი; ევრო დიზელი – 1,35-1,65 ლარი, – აცხადებენ ნავთობიმპორტიორთა კავშირში. (news.ge)

## გია ხუხაშვილი აბაშიძის კრიტიკას სამართლიანს უწოდებს, თუმცა ფორმატის გაუქმებას ეწინააღმდეგება



გია ხუხაშვილი ამბობს, რომ პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში გრიგორი კარასინის მუქარაზე საჭირო რეაგირება არ მოუხდენია.

როგორც ხუხაშვილი აღნიშნავს, სწორედ ამიტომ დაიმსახურა ზურაბ აბაშიძემ კრიტიკა.

– როდესაც ერთი მხრიდან კეთდება მკაცრი განცხადებები მეორე მხრიდანაც უნდა გესმოდეს რეაგირება. ეს არის ლოგიკური და ბუნებრივია, რომ კარასინის მუქარის შემდეგ აბაშიძის დუმილი უკმარისობის გრძნობას იწვევს, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

მისივე თქმით, აბაშიძემ უფრო კონკრეტულად უნდა ახსნას, რას გულისხმობდა პრაღაში გაკეთებულ განცხადებაში („რუსეთთან ურთიერთობის დროს ჭკვიანად უნდა მოვიქცეთ").

ზოგადად, აბაშიძე-კარასინის ფორმატს რაც შეეხება, ამ საკითხზე ექსპერტი ამბობს, რომ დიალოგი მტერთან უფრო საჭიროა.

– რაღაც მიღწევები, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით, არსებობს. ძალიან ბევრი ქართველი მუშაობს რუსეთში. ამასთანავე, ამ ეტაპზე ჩვენი სუსტი ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია რუსული ბაზარი. ამ შეხვედრაზე რაიმე სახის სისტემური გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება, ამიტომ ის არ აზიანებს ჩვენს სახელმწიფოს. პირველ რიგში, მტერთან უნდა ვისაუბროთ, მეგობართან საუბრის პრობლემა ისედაც არ არსებობს. თუ ჩვენი პოლიტიკური სტრატეგიაა, მშვიდობიანად მოვაგვაროთ რუსეთთან არსებული პრობლემები და ქვეყანა გავამთლიანოთ, ბუნებრივია, უნდა ვესაუბროთ რუსეთს. ამ ფორმატის გაუქმებაზე საუბარი პოლიტიკურ სპეკულაციად მიმაჩნია, – აღნიშნა ხუხაშვილმა. (ნიუპოსტი)

## ბელგიაში მომხდარ ტერაქტებს გაეროს გენერალური მდივანი გამოეხმაურა



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა ბელგიაში მომხდარი ტერაქტები დაგმო.

– ამაზრზენმა თავდასხმებმა გულში დაარტყა ბელგიასა და ევროკავშირს, – განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა და ბელგიელი ხალხისა და ხელისუფლების მიმართ სოლიდარობა გამოხატა. (ნიუპოსტი)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# ლგბტ-ების წინააღმდეგ პარლამენტში ახალი კანონპროექტი შედის

## ვინ აჟანტაჟებს დეპუტატებს?



დიასპორის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, „ეროვნულების" ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ, მას შემდეგ, რაც პარლამენტში მისი კანონპროექტი ქორწინების შესახებ, ჩავარდა, „ფეისბუქით" დააანონსა, რომ მომავალ კვირაში აპირებს ახალი კანონპროექტის შეტანას, რომლის მიხედვითაც, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, კანონით დასჯადი უნდა გახდეს.

რა აზრი აქვს ახალი კანონპროექტის შეტანას, როდესაც დაპირებების მიუხედავად უმრავლესობამ მისი წინა პროექტი ვერ დააკანონა?

**„ალიას" სანდრო ბრეგაძე ესაუბრა:**

**— ბატონო სანდრო, წინა შემთხვევის გათვალისწინებით, რატომ გგონიათ, რომ ეს ინიციატივაც არ ჩავარდება, რა აზრი აქვს შეტანას, ხომ ხედავთ, უმრავლესობიდანაც დაგიპირისპირდნენ?**

– ამას არ სჭირდება 113 ხმა, რადგან არაა საკონსტიტუციო ცვლილება, ეს ჩვეულებრივი შესწორება უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსში და აქედან გამომდინარე, მას ჩვეულებრივი უმრავლესობა სჭირდება. რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებას, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, შემოსულია დიდი რაოდენობით თანხა, რაც უნდა მოხმარდეს გარკვეულ საინფორმაციო საშუალებებს. უნდა მოხდეს ჟურნალისტების მოსყიდვა, ადამიანების დაშანტაჟება, დეპუტატებზე ზეწოლა, რათა პარლამენტმა კენჭისყრის დროს არ მისცეს ხმა საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლის მიხედვითაც ერთსქესიანთა ქორწინება აიკრძალება ჩვენს ქვეყანაში.

**— რა თანხაზეა საუბარი? ეს ხომ არაა ის 5 მილიონი, რომელზეც ადრე ისაუბრეთ, „ენჯეოებს" უნდა დაურიგონო და ვის მიმართ შანტაჟზე საუბრობთ?**

– არა, ეს სხვა თანხაა, ზუსტი რაოდენობა არ ვიცი, ეს შავი ფულია, რომელიც მოხმარდება ე.წ. ლგბტ თემის და მათი „დამცველი" ორგანიზაციების არსებობას და მათ გაპიარებას. მინდა მოვუწოდო პარლამენტის წევრებს, ნუ დაემორჩილებიან შანტაჟსა და მუქარას, ეშმაკს ნუ მიჰყიდიან სულს, რადგან მათი ხმა, პირველ რიგში, მომავალ თაობას სჭირდება. თუმცაღა, ვფიქრობ, ზეწოლა საკმაოდ დიდი იქნება და უფრო მეტად გაძლიერდება. არის დეპუტატების გარკვეული რაოდენობა, რომელიც აქამდე ჭოჭმანობდა, მაგრამ დღეს უკვე მზად არის, მხარი დაუჭიროს ამ კანონს და 113 ხმა შეგროვდეს. აი, ამ წარსულში მერყევ დეპუტატებზე დაიწყება ზეწოლა,

> „მინდა მოვუწოდო პარლამენტის წევრებს, ნუ დაემორჩილებიან შანტაჟსა და მუქარას, ეშმაკს ნუ მიჰყიდიან სულს, რადგან მათი ხმა, პირველ რიგში, მომავალ თაობას სჭირდება. თუმცაღა, ვფიქრობ, ზეწოლა საკმაოდ დიდი იქნება და უფრო მეტად გაძლიერდება"

რათა ზოგიერთი ან საერთოდ არ მივიდეს პარლამენტის სესიაზე, ან არ მისცეს ხმა ცვლილებას. დავალებაა, არ მოგროვდეს არც ერთ შემთხვევაში 113 ხმა. ყველაფერ ამის სულისჩამდგმელი გახლავთ „ნაციონალური მოძრაობა" და მისი ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია. ის გახლავთ ინიციატორი, ის გახლავთ დამაკავშირებელი რგოლი, იდეოლოგი, სტრატეგი.

**— ფული ვისია, ვინ გამოგზავნა?**

– დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ თანხა უკვე შემოსულია, ზუსტი რაოდენობაც ვერ დავაკონკრეტე ჯერ...

**— თქვენი ახალი ინიციატივა, პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებით, წინააღმდეგობაში არ მოდის ანტიდისკრიმინაციული კანონთან, რომელიც უმცირესობების ინტერესების დაცვასაც გულისხმობს?**

– გარყვნილებისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვა, არანაირად არაა ვინმეს დისკრიმინაცია. დისკრიმინაციაა, როცა მათ მუშაობას აუკრძალავ, საზოგადოებაში გამოჩენას აუკრძალავ და როდესაც საუბარი გვაქვს იმაზე, რომ ბავშვები არ უნდა ისმენდნენ ტელევიზიით ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას, როდესაც საუბარი გვაქვს, რომ სასკოლო დაწესებულებებში არ უნდა ხდებოდეს რეკლამირება... ეს არანაირი დისკრიმინაცია არ არის. ეს არის იმის მოქცევა კანონის ფარგლებში, რაც აუცილებლად მოსაქცევია. თუ ეს ასე არ მოხდება, გარწმუნებთ, რომ ხშირ შემთხვევაში გარკვეულ უმართავ პროცესებთან გვექნება საქმე. ჩვენ გვახსოვს 17 მაისი, როდესაც სასწაულით გადარჩა საქართველო სერიოზულ პროვოკაციას და არ მინდა, ასეთი პროვოკაცია კიდევ მოხდეს, არადა მეორე მხრივ, დიდი თანხები მოდის იმისთვის, რომ ეს პროვოკაციები მოხდეს. მინდა მივმართო თქვენი გაზეთის მეშვეობით იმ ადამიანებს, რომლებიც ამ თემას გვერდში უდგანან, გამოვიდნენ კულისებიდან, საზოგადოებას პირდაპირ უთხრან, რომ გარკვეული ვალდებულებები აქვთ აღებული, რომ ერთსქესიანთა ქორწინება უნდა დაკანონდეს, რისთვისაც აუცილებელია ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. გამოვიდნენ პირდაპირ ეთერში, დამისხდნენ და დავანახოთ საქართველოს მოსახლეობას, ვინ არის მართალი და ვინ – მტყუანი, რადგან უმცირესობების გამოყენება ხდება, გარკვეული პოლიტიკური მიზნებისთვის.

**— სოციალურ ქსელებში წააწყდებოდით, თქვენს აქტივობას ამ თემებთან მიმართებაში, ზოგიერთი პოპულისტობად აფასებს, საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და ქულების დაგროვებას ცდილობსო...**

– არანაირ თანამდებობად არ მიღირის, არჩევნები აქ არის მესამეხარისხოვანი... ჰომოსექსუალების პროპაგანდა, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, ეს არამარტო ზნეობრივ-მორალური საკითხია, ეს არის ტერიტორიული მთლიანების საკითხიც, რადგან, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ აფხაზი და ოსი ძმებისთვის უნდა გავხადოთ მიმზიდველი ქვეყანა, ოსეთი და აფხაზეთი ძალიან ტრადიციული, კავკასიური ხალხებია, რომელთაც აქვთ საკმაოდ კონსერვატიული დამოკიდებულება ოჯახთან, ქორწინებასთან და რელიგიასთან მიმართებაში. მათთვის ნამდვილად არ იქნება ისეთი ქვეყანა მიმზიდველი, სადაც მამაკაცი მამაკაცზე დაქორწინდება და ქალი – ქალზე. ეს, ფაქტობრივად, საბოლოოდ გამორიცხავს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მშვიდობიანი გზით. იმ ძალების წისქვილზე დაასხამს წყალს, რომელთაც არ სურთ ტერიტორიული მთლიანობა. სწორედ ამიტომ იყო, ქალბატონი ხიდაშელი წლების წინათ აცხადებდა, რომ ის აფხაზეთს არ განიხილავს საქართველოს შემადგენელ ნაწილად და მისთვის მთავარია, კარგ და ბედნიერ სახელმწიფოში იცხოვროს და ეს იქნება აფხაზებთან ერთად თუ ისე, ამას მნიშვნელობა არ აქვს. სწორედ ეს იყო ამ „ლიბერასტების" იდეაში ჩადებული, რომ მათთვის მთავარია არა ტერიტორიული მთლიანობა და მორალი, არამედ ფიქრი მხოლოდ ფიზიკურ სიამოვნებაზე. ამ იდეებთან შეჯახებაა დღეს. გავიდეს ეს კანონები. დაე, იყოს პოპულიზმი, მთავარია, საქმე გაკეთდეს...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ტერორისტული თავდასხმების უკან არის რუსული ინტერესები"



დიპლომატთა კლუბის წევრმა სალომე სამადაშვილმა „რუსთავი 2"-ის ეთერში ბრიუსელში მომხდარ ტერაქტებზე და ამ ტერაქტებში რუსეთის კვალზე ისაუბრა:

– აშკარაა, რომ აუცილებელია, შენარჩუნებულ იქნას ტრანსატლანტიკური ერთიანობა, რასაც ურტყამს რუსეთის ფედერაცია. მიუხედავად იმისა, რომ ღიად არ საუბრობენ ევროპელი ლიდერები რუსეთის როლზე ტერორიზმის დასპონსორებაში, ისინი პირად საუბარში ამბობენ, რომ უშიშროების სამსახურებზე დაყრდნობით აქვთ ინფორმაცია, რომ ამ ყველა ტერორისტული თავდასხმის უკან არის რუსული ინტერესები, – განაცხადა სამადაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „პატრიარქი საკმარისად არ არის ინფორმირებული იმაზე, რა ვითარებაა უვადო პატიმრობასთან დაკავშირებით"



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე პატრიარქის განცხადებასთან დაკავშირებით ამბობს, რომ უვადო პატიმრობასთან მიმართებაში კანონში ცვლილებები შარშან შევიდა. მან განმარტა, რომ კანონის მიხედვით, თუ პირს უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი, 20 წლის პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ, ის შეიძლება განთავისუფლდეს საპატიმროდან თუ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია დადებითად ახასიათებს; არ არღვევს შინაგანაწესს; მოინანია დანაშაული; აღარ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისთვის.

– თუ ამ ყველაფერს აკმაყოფილებს პატიმარი, მაშინ გადაისინჯება მისთვის დანიშნული სასჯელი და ის შეიძლება განთავისუფლდეს სასჯელისგან. ასევე, 15 წლის პატიმრობის მოხდის შემდეგ, თუ პირი დადებითად ხასიათდება, შესაძლოა, გადაისინჯოს მისი დანიშნული სასჯელის სახე და ნაცვლად თავისუფლების აღკვეთისა, სხვაგვარი შეზღუდვა დაუწესდეს, – განაცხადა ხმალაძემ და აღნიშნა, რომ ეს შეზღუდვა შეიძლება იყოს ქვეყნიდან გაუსვლელობა, საცხოვრებლიდან სხვა ადგილებში გადაადგილება.

მისივე თქმით, სისხლის სამართლის კოდექსში ცოტაა ისეთი მუხლი, რომელიც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. ეს არის ძალიან მძიმე დანაშაულის შემთხვევები.

– უვადო პატიმრობა პირს შეიძლება შეეფარდოს ძალიან მძიმე დანაშაულისთვის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ საქმეში არის დამამძიმებელი გარემოებები. უვადო პატიმრობა ვისაც აქვს მისჯილი, თუ ის სათანადოდ იქცევა და გაცნობიერებული აქვს დანაშაულის სიმძიმე, აღარ წარმოადგენს საფრთხეს, იგი შეიძლება გამოვიდეს 15-20 წლის შემდეგ. ასეთ პირობებში, ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ უვადო პატიმრობა გაუქმდეს, – განაცხადა ხმალაძემ. (pia.ge)

## მგელმა გორში ცხვრის ფარა გაანადგურა

მგელმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიში ცხვრის ფარა გაანადგურა.

არსებული ინფორმაციით, ვალიშვილების ოჯახის კუთვნილ ცხვრის ფარას მტაცებელი გვიან ღამით დაესხა თავს და 30 ცხვარი შეჭამა. გერონტი ვალიშვილის თქმით, ზარალი მასშტაბურია. მისივე თმით, მტაცებელმა ცხვრები უკვე მესამედ დაუგლიჯა. ფერმერი დახმარებას ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვს. (ნიუპოსტი)

## როგორ ხდება ადამიანებზე პირადი ინფორმაციის ფარულად შეგროვება — სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდები



ბესიკ ალადაშვილი საუბრობს:

– ნებისმიერ პიროვნებაზე არსებობს ორი სახის ინფორმაცია, რომელიც მოიპოვება ღია და დახურული წყაროებიდან. სპეცსამსახურები ორივე წყაროს იყენებენ. ღია წყაროა სოციალური აქტივობა, სამსახურიდან ინფორმაციის მოძიება, სოციალური ქსელი და ასე შემდეგ. ხოლო დახურულია ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედება (რომელიც აუცილებლად უნდა იყოს სანქცირებული შესაბამისი ორგანოს მიერ), რაც გულისხმობს ფარულ მოსმენას, თვალთვალს, აგენტურის შეგზავნას პიროვნებასთან და ასე შემდეგ.

**— ყველაზე ხშირად შანტაჟის რა მეთოდებს მიმართავენ სპეცსამსახურები?**

– საბჭოთა კავშირის დროს მოქალაქეების მიმართ იძულების მეთოდები უფრო ხისტი იყო და მარტივი. ადამიანებს აშინებდნენ სამსახურიდან დათხოვნით, ოჯახის წევრების დისკრიმინაციით, ლიკვიდაციით (თუმცა ეს უფრო 30-იან წლებში იყო) და ა.შ. გარდა ამისა, გამორიცხული იყო, ადამიანი უცხოეთში გასულიყო და მას სერიოზული საუბარი არ ჰქონოდა უშიშროების თანამშრომელთან და ხშირად მათ თანამშრომლობაზეც ითანხმებდნენ. იმავე საბჭოთა კავშირში უცხოელებზე შანტაჟის მეთოდები იყო ფინანსური დაინტერესება, ასევე, იყო კომპრომეტირება (ძირითადად ჰომოსექსუალიზმით). ალბათ, გსმენიათ ე.წ. „კემბრიჯის ხუთეული". ისინი იყვნენ ბრიტანელი მზვერავები, რომლებიც ბრიტანეთის სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდნენ და სწორედ ჰომოსექსუალიზმის კომპრომეტაციით მოხდა მათი გადაბირება საბჭოთა დაზვერვის მიერ.

დღეს ისეა ტექნიკა განვითარებული, რომ მუშაობა გაცილებით იოლია. სპეცსამსახურის თანამშრომელს აქვს საშუალება 300-400 მეტრიდანაც კი მოახდინოს სათვალთვალო ობიექტის ჩაწერა და მიყურადება.

თუ სპეცსამსახურებმა მოისურვეს, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ შესახებ ყველაფერს შეიტყობენ. შეიძლება იკითხოთ, ვის რაში სჭირდება ჩემნაირი რიგითი მოკვდავი, როდესაც სათვალთვალოდ გაცილებით საინტერესო ობიექტები – ძლიერნი ამა ქვეყნისანი არსებობენ? პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს, მაგრამ იცოდეთ, რომ, თუ ასეთი საჭიროება შეიქმნა, თქვენი სატელეფონო საუბრები, მობილურით გაგზავნილი მესიჯები, მიმოწერა Facebook-ში, Messenger-ში, Viber-ში, Skype-სა თუ კომუნიკაციის სხვა ელექტრონულ საშუალებაში, ისევე როგორც პირადი ფოსტა, სპეცსამსახურების ყურადღების ობიექტი გახდება. (ambebi.ge)

გახსოვდეთ, რომ კედლებსაც აქვს ყურები. ბოლო 60-70 წლის განმავლობაში, ტექნიკური პროგრესის წყალობით, ამ ცნობილმა გამოთქმამ პირდაპირი მნიშვნელობა შეიძინა. სახელმწიფო უსაფრთხოებისა თუ პირადი ანგარიშსწორებისთვის, კონკრეტულ ადამიანზე საჭირო ცნობების მოპოვებისთვის უწყებები და სპეციალური ორგანიზაციები ათასგვარ მეთოდს მიმართავენ.

ჯაშუშის პროფესია ყოველთვის არსებობდა. ოდითგანვე ფარაონები, იმპერატორები, მეფეები პოლიტიკურ ოპონენტსა თუ მათთვის მიუღებელ ადამიანზე საჭირო ინფორმაციის შეგროვებისთვის ჯაშუშებს იყენებდნენ. სხვადასხვა ტექნიკური საშუალების შექმნამდე, ინფორმაციის შეგროვების მთავარი საშუალება ადამიანი იყო. ჯაშუში „ობიექტს" მისთვის შეუმჩნევლად უთვალთვალებდა. საინტერესო ამბების მოსმენის შემდეგ, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, მიღებულ ინფორმაციას პატრონს აწოდებდა.

მობილური ტელეფონების ფართო გავრცელებამ სპეცსამსახურებს (და არა მხოლოდ მათ) მიყურადების საქმე გაუმარტივა. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო იტოვებს უფლებას, აკონტროლოს თქვენი პირადი ფოსტა, ტელეფონით გაგზავნილი მესიჯები, ჩათები. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (NSA) შესაბამისი სანქციების გარეშე ამერიკის მოქალაქეების ელექტრონული ფოსტების, სატელეფონო საუბრების, ფინანსური ოპერაციებისა და ინტერნეტაქტივობის კონტროლის უფლება მისცა. საიდუმლო ოპერაციას Stellar Wind-ი ეწოდა. Washington Post-ის ინფორმაციით, 2010 წლის შემდეგ Stellar Wind-ის აქტივობა გაიზარდა. ყოველდღიურად NSA-ს მიერ ჩაწერილი სატელეფონო საუბრებისა და წაკითხული ელექტრონული შეტყობინებების რიცხვმა 1,7 მილიარდს მიაღწია.

სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის ხელმძღვანელი

## ევროპული ავიაკომპანიებისა და ტურისტული ფირმების აქციები დაეცა



ბრიუსელში მომხდარი აფეთქებების შედეგად, ევროპული ავიაკომპანიებისა და ტურისტული ფირმების აქციები დაეცა.

„როიტერის" ინფორმაციით, ტურიზმისა და დასვენების ინდექსი STOXX Europe 600 2,63 პროცენტით დაეცა.

3,4-დან 5,7 პროცენტამდე დაეცა ავიაკომპანიების Air France, KLM, Easyjet, „რაინეარისა" და „ლუფთჰანზას" აქციების ფასი.

გარდა ამისა, დაეცა სასტუმრო ოპერატორების „აკორისა" და „ინტერკონტინენტალ ჰოტელ გრუპის" აქციებიც, შესაბამისად, 5,0 და 2,8 პროცენტით.

3 პროცენტით დაეცა აეროპორტების ფრანგული ოპერატორის ADP-ის აქციების ფასი.

ასევე, ტერაქტის ფონზე ევროპის საფონდო ინდექსებმა ვაჭრობა ვარდნით დაიწყეს. ბოლო მონაცემებით, ბრიტანული TSE 100-ის ინდექსი 0,08 პროცენტით – 6184,58 პუნქტამდე დაეცა, 0,78 პროცენტით – 4427,80 პუნქტამდე შემცირდა ფრანგული CAC 40-ის ინდექსი, 0,02 პროცენტით – 9948,64 პუნქტამდე დაეცა გერმანული DAX-ის ინდექსი. (bpn.ge)

## ფრანსუა ოლანდი: დარტყმის ქვეშ მთელი ევროპაა



საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ბრიუსელში განხორციელებულ ტერაქტებს გამოეხმაურა.

როგორც ოლანდმა განაცხადა, დარტყმის ქვეშ მთელი ევროპაა.

მისივე თქმით, საფრთხის სერიოზულობა მთელმა კონტინენტმა უნდა აღიაროს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ქვეყანა მზად არის, ბელგიას დაეხმაროს. (ინფო9)

## „სჭირდებოდა მას ხმაური, იყო ხმაური, არ სჭირდებოდა ხმაური. არ არის ხმაური" — ივანიშვილი და კოალიცია



რატომ აღარაა აქტუალური კოალიციაში „რესპუბლიკელებისა" და თოფაძის დაპირისპირება? რატომ არ შედგა დაპირებული პოლიტსაბჭო, სადაც ეს საკითხი უნდა განხილულიყო? ამ თემაზე უმრავლესობის ყოფილი წევრი და ამჟამად დამოუკიდებელი დეპუტატი მურმან დუმბაძე საუბრობს. მისი თქმით, მოხდა ის, რაც სურდა ბიძინა ივანიშვილს და კითხვაზე, ხომ არ მორიგდნენ დაპირისპირებული მხარეები ისე, რომ საზოგადოებამ ამის შესახებ ვერაფერი შეიტყო, დუმბაძე აცხადებს, რომ გამორიცხული არაფერია:

– მე მახსოვს დაპირისპირება კახი კალაძესა და ავთო ბერიძეს შორის მანქანის ყიდვასთან დაკავშირებით, ეს იყო 2014 წლის დეკემბერი. პოლიტსაბჭოს სხდომაზე მკაცრად იქნება მისი საკითხი განხილულიო, არაფერი. ამ საკითხს ისე დაესვა წერტილი, რომ არც პოლიტსაბჭოს სხდომა ჩატარებულა და არც არავის საყვედური არ მიუღია. ასე რომ, არაადეკვატურად იქცევა პოლიტიკური საბჭოც და მასში შემავალი პოლიტიკური პარტიებიც. ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილის როლი არის გადამწყვეტი. თუ მას დასჭირდებოდა, ბოლომდე ყოფილიყო ხმაური, იქნებოდა ხმაური, თუ იტყოდა ბიძინა ივანიშვილი, რომ ამით ამოიწურა და უნდა დასრულდეს კონფლიქტი, ის არის ამოწურული. იმდენად არაპროგნოზირებადია კოალიცია, რომ რაიმე ანალიზის გაკეთება შეუძლებელია. ერთადერთი დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის გადამწყვეტი. სჭირდებოდა მას ხმაური, იყო ხმაური, არ სჭირდებოდა ხმაური, არ არის ხმაური, – განაცხადა მურმან დუმბაძემ. (პირველი რადიო)

## ქართველი პოლიტიკოსები, რომლებმაც მძიმე დაავადებები დაამარცხეს



ავადმყოფობისგან და მძიმე სენისგან დაზღვეული არავინ არის. ბევრის სიცოცხლე მძიმე დაავადებას ეწირება, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ახერხებენ მის დამარცხებას.

საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ხმამაღლა იშვიათად საუბრობენ, მით უმეტეს საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, თუმცა გამონაკლისებიც არსებობენ. მძიმე დაავადებაზე საუბარს არ შეუშინდა ეკონომისტი და პოლიტიკოსი გია მაისაშვილი, რომელმაც ტვინის სიმსივნე რამდენიმე თვის წინ საბოლოოდ დაამარცხა.

2014 წელს მაისაშვილს უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს. ექიმებმა კვლევების შემდეგ, 2015 წლის 19 მარტს მისი ოპერირების გადაწყვეტილება მიიღეს. როგორც თავად გია მაისაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუკში" წერდა:

„ადგილი, სადაც 3,5-სანტიმეტრიანი სიმსივნე იყო მოთავსებული, ყველაზე მოსახერხებელ ადგილზე იყო ქირურგებისთვის სამუშაოდ და წარმატებული ოპერაციის შემდეგ იქნა სრულად მოკვეთილი".

გია მაისაშვილმა მკურნალობის კურსი თურქეთში გაიარა და ავადმყოფობის დროს იქორწინა კიდეც. გადარჩენის იმედი თავიდანვე ჰქონდა და ეს იმედი გაუმართლდა. დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში „ლიდერთა სკოლის" დამფუძნებელი, ჯერჯერობით უცნობია.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი ლეიკემიით იყო დაავადებული. უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს დიაგნოზი 28 წლის ასაკში დაუსვეს. იმ პერიოდში მას იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

როგორც კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, სამკურნალოდ გერმანიაში წავიდა, რადგან იმ ხანებში საქართველოში ლეიკემიისგან განკურნების ნაკლები შემთხვევა იყო.

„ჩემზე მეტად ჩემი ოჯახის წევრები განიცდიდნენ... როცა გერმანიაში ჩავედი, მაშინ გავიგე, რომ რამდენიმე წელია ლეიკემიისგან განკურნებულან ადამიანები. ამან გაცილებით მეტი სტიმული მომცა. დონორი უნდა მოგვეძებნა. ამ შემთხვევაში, ყველაზე რთული დონორის მოძებნაა. ძირითადად მას ოჯახის წევრებს შორის ეძებენ, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც არც ერთი დედმამიშვილი არ გამომდგარა დონორად", – ამბობს კოტე კუბლაშვილი.

კოტე კუბლაშვილი იღბლიანი გამოდგა – მის ძმას, პარლამენტარ პავლე კუბლაშვილს „100 პროცენტით აღმოაჩნდა ის რაღაც, რაც საჭირო იყო გადასანერგად. ეს ჩემს ძმას უფრო მეტად უხაროდა", – იხსენებს კუბლაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასდროს საუბრობს, თუმცა რამდენიმე წლის წინათ, ქალაქში საუბრობდნენ იმაზე, რომ ქართველ პოლიტიკოსს მძიმე დაავადება აქვს. ამბობდნენ, რომ მას ცე ჰეპატიტი ჰქონდა, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ებრძოდა და დაამარცხა. როგორც ამბობდნენ, მიხეილ მაჭავარიანმა მკურნალობის კურსი ევროპის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში გაიარა. აღსანიშნავია, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე, ის გაუჩინარებული იყო პოლიტიკური ასპარეზიდან. დაბრუნების შემდეგ კი გარეგნობა შესამჩნევად ჰქონდა შეცვლილი. ერთი წლის წინათ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კამპანიას „ერთად დავამარცხოთ ცე ჰეპატიტი", მიხეილ მაჭავარიანიც შეუერთდა. მის მიერ გამოქვეყნებული ფოტო თანაპარტიელმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა „ფეისბუკის" პირად გვერდზე განათავსა წარწერით:

„მიხეილ მაჭავარიანი უერთდება აქციას „ერთად დავამარცხოთ ცე ჰეპატიტი". მას თავად აქვს ეს დაავადება", – წერდა ჭიაბერაშვილი.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მძიმე დაავადებისგან მეგობარმა, ლევან ვასაძემ გადაარჩინა. როგორც პრეზიდენტის ბავშვობის მეგობრებისგან და ოჯახის ახლობლებისგან შევიტყვეთ, გიორგი მარგველაშვილმა ფილტვების იშვიათი დაავადება დაამარცხა. ამბობენ, რომ დაავადების გამო, პრეზიდენტი ხშირად კარგავდა გონებას. მკურნალობა ჯერ კიდევ გაპრეზიდენტებამდე ლევან ვასაძემ დაუფინანსა და პრეზიდენტი გამოჯანმრთელდა.

მძიმე სენით იყო დაავადებული პარლამენტარი მარიკა ვერულაშვილი. მას მკერდის კიბო ჰქონდა. ვერულაშვილი დაავადებას დიდი ხნის მანძილზე ებრძოდა და საბოლოოდ დაამარცხა. ვერულაშვილი სამკურნალოდ საზღვარგარეთ იმყოფებოდა, სადაც სრულად გამოჯანმრთელდა. (ambebi.ge)

## „მასალები ქვეყნდება იმ ადამიანებზე, რომლებიც პირადად აღიზიანებს ვიღაცას"



„ევროპელი დემოკრატების" ლიდერი პაატა დავითაია ეჭვობს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი, ფარული ვიდეომასალების გავრცელებით ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული ჯგუფია დაინტერესებული. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, წარსულში ინტერნეტში ატვირთული კადრების შესახებ გაუხსნელ საქმეებს იხსენებს.

– არც ერთი ფაქტი, რაც ეხებოდა ვიდეოების გამოძიებას, ბოლომდე გამოძიებული არ იყო და ეს ეჭვს ბადებს, რომ ამის უკან დგას სახელმწიფო. ეჭვს აძლიერებს ხვედელიძის მომენტი, როდესაც სასჯელი არ დადგა ისეთი, როგორიც უნდა დამდგარიყო და ხელი დააფარეს ძალოვანი მინისტრის მოადგილეს და მესამე ფაქტი – მასალები ქვეყნდება იმ ადამიანებზე, რომლებიც პირადად აღიზიანებს ვიღაცას. თუ გამოძიება დაინტერესდება და ცალსახად გაჰყვება ამ ვერსიას, ნახავს, სად შეიძლება ეს კვალი წავიდეს, – აცხადებს პაატა დავითაია. (პირველი რადიო)

## მაკა ასათიანი და გია გაჩეჩილაძე რამდენიმე საკითხზე შეთანხმდნენ

ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებლები მაკა ასათიანი და გია გაჩეჩილაძე ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ.

განცხადებაში ნათქვამია, რომ მიუხედავად რამდენიმეთვიანი დაპირისპირებისა, „მაესტროს“ დამფუძნებლები რამდენიმე საკითხზე შეთანხმდნენ:

– ლოგო და სახელი დაუბრუნდეს ეთერს. მხარეებმა შეწყვიტონ საჯარო განცხადებების გაკეთება მოლაპარაკების დასრულებამდე. მოლაპარაკების პერიოდში ვიწყებთ კონსულტაციას ტოპმენეჯმენტის ერთობლივად ფორმირებაზე. უმოკლეს ვადაში მოხდეს მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა. მოლაპარაკების პერიოდში დროებით ადმინისტრატორებად დაინიშნოს ორივე მხარის წარმომადგენელი, ყოფილი ფინანსური დირექტორი – თემურ გაჩეჩილაძე და გია გაჩეჩილაძის ფინანსური კონსულტანტი – ზვიად ზუბიაშვილი. იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული მოლაპარაკება ჩიხში არ შევა და ყველა მხარე გამოიჩენს სურვილს და კეთილგონიერებას იმასთან დაკავშირებით, რომ დავას არ გადაჰყვეს ტელევიზია და რაც მთავარია, თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ უწყვეტ მაუწყებლობას, – ნათქვამია განცხადებაში. (pia.ge)

## რაზე ესაუბრა თვითმკვლელობამდე 15 წლის ნინი ჯაფარიძე უახლოეს მეგობარს




15 წლის ნინი ჯაფარიძის სიკვდილმა ყველა შოკირებული დატოვა. გოგონამ, ყველასთვის მოულოდნელად, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და საცხოვრებელი სახლის მე-5 სართულიდან გადმოხტა.

სოციალურ ქსელში მისი უახლოესი მეგობარი, ნუცა კობიაშვილი სტატუსს აქვეყნებს, რომელიც გარდაცვლილს ეძღვნება:

– ჩემო ყველაზე ლამაზო, მხიარულო და კეთილო გოგო! სულ მემახსოვრები ისეთი მხიარული, როგორიც იყავი! ყველაზე კარგად მახსოვს შენთან ერთად გატარებული დრო და არასდროს დამავიწყდება, რეებიც გვაქვს ერთად გაკეთებული! გპირდები, რომ ცხოვრების ბოლომდე შევინახავ ყველა წერილსა და ნახატს, რასაც მაძლევდი ხოლმე! ზარი დარეკილი რომ არ იყო და უკვე მეოთხე სართულიდან ჩემს კლასთან რომ იყავი! არ ვიცი, მართლა, შენს გარეშე ვერ წარმომიდგენია ვერაფერი! ჩემი ძალიან დიდი თხოვნა იქნება, რომ ნუ ავრცელებთ ამ უაზრო ჭორებს, მით უმეტეს, როცა არ იცით არაფერი! რეალური მიზეზი არც იცის არავინ და ძალიან გთხოვთ! ჩემს თავს არ ვპატიობ იმას, რომ, როცა დამირეკე და მითხარი, მაპატიე ყველაფერი, რასაც დღეს საღამოს გაიგებო, იმწამსვე არ მოვედი შენთან და არ გავარკვიე ყველაფერი! მიყვარხარ, ჩემო ანგელოზო და ყველაზე, ყველაზე მეტად მენატრები! (ნიუპოსტი)

# რატომ გაუხარდათ „ლიბერასტებს“ სამებაში ხანძრის გაჩენა?



20 მარტს სამების საკათედრო ტაძარში, იმ დროს, როცა პატრიარქი საკვირაო წირვას აღავლენდა, ტაძრის ნულოვან სართულზე ხანძარი გაჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ შემთხვევას დიდი მითქმა-მოთქმა შეფასება მოჰყვა, სოციალურ ქსელში, დაუფარავი ქილიკი და რეპლიკებიც ბლომად დაიწერა. მაგალითად ასეთი: „აჰაააა, შეუტია თუ არა უფალმა ფარისევლურ ხუროთმოძღვრებას?!“, „აკი ღმერთი არსებობსო?“... მავანნი ამტკიცებდნენ, რომ ეს ხანძარი გარკვეულმა ძალებმა მოაწყეს, ზოგი მორწმუნე, ამას ღვთის რისხვასა და გაფრთხილებას მიაწერდა.

**ისტორიკოსი და ბლოგერი დათო გოგიშვილი ამას წინათ, სოციალურ ქსელში წერდა, მოვა დრო და ქართულ ეკლესიებზე პირდაპირი მნიშვნელობით განხორციელდება თავდასხმებიო. რა იგულისხმა დათო გოგიშვილმა?**

**ის „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

– ჩემი ვარაუდი გამოიწვია იმან, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალიის მიმართ გამოხატულმა დაუფარავმა ღვარძლმა და აგრესიამ, რომელიც უკვე წლებია გრძელდება, და ძალიან ორგანიზებული ხასიათი შეიძინა, მაფიქრებინა, რომ ადგილი აქვს ქართული ეკლესიისა და კონკრეტულად კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ ძალიან ორგანიზებულ შავი პიარის ოპერაციას. მსოფლიო საქრისტიანოში ჩვენს ეკლესიას აქვს უდიდესი ავტორიტეტი. ჩვენი ავტოკეფალია სხვა ერებთან რანგითაც კი მაღლა დგას, ამიტომ ძალიან ბევრი მტერი ჰყავს, ხილული თუ უხილავი. ბოლო პერიოდში იმდენად ორგანიზებული სახე მიიღო ამ აქტივობებმა, რომ არ გამოვრიცხავ, სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ მიმართულებით დადონ დასკვნა. ხანძარი შეიძლება შემთხვევითი არ აღმოჩნდეს... ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, ასევე ცნობადი სახეების მხრიდან იმდენად დაუფარავი სახე მიიღო ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლებმა, რომ ვფიქრობ, ამას უნდა ჰქონდეს გარკვეული შორსმიმავალი მიზნები. ვფიქრობ, უკვე იქამდე მივიდნენ, რომ ეს ყველაფერი უნდა გამოიხატოს რაღაც კონკრეტულ ქმედებებში.

უკვე იმდენად ექსტრემისტული ხასიათი მიიღო მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ზიზღმა და აგრესიამ, რომ შეიძლება, კონკრეტული გამოვლინებები წამოვიდეს ამ ხანძართან დაკავშირებით. იმ წუთიდან, რაც გახმაურდა, რომ სამებაში გაჩნდა ხანძარი, სოციალურ ქსელში წამოვიდა დაუფარავი ქილიკი ამ ამბავზე, მე მათ გამოსვლებსა და რიტორიკას ძალიან კარგად ვიცნობ, ისინი არათუ რომელიმე კონკრეტულ რელიგიურ უმცირესობებზე არიან აღშფოთებულნი ამ ქვეყანაში, უბრალოდ, მათ ვერ აუტანიათ მართლმადიდებელი ეკლესიის ესოდენ გავლენიანი როლი ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში.

**— მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ქართულ ეკლესიას აქვს გარკვეული მანკიერი მხარეებიც, რაც ზოგიერთებს ქილიკის საბაბს აძლევს...**

– აბსოლუტურად გეთანხმებით, ეკლესიის წიაღში მართალია, ისე არ მიმდინარეობს ყველაფერი როგორც უნდა იყოს, ვერც იმას ვიტყვი რომ, მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა მღვდელმთავრისა და სასულიერო პირის ცხოვრება აჟურშია, მაგრამ ეს შიდა პრობლემები უნდა გაარჩიონ ძალიან მაღალი კომპეტენციის მქონე ადამიანებმა და არა შარლატანებმა. მესმის, რომ არსებობს ამ მხრივ პრობლემა, მაგრამ აბა დააკვირდით მათ რიტორიკას, ვინც ღიად ებრძვის ეკლესიას? მათ აბედნიერებთ ის, რომ, ვთქვათ, კონკრეტულ მღვდელმთავარში რაიმე არაქრისტიანულ ქმედებას შენიშნავენ. მაგალითად, მორწმუნე დიდი გულისტკივილით აღიქვამს ამ ყველაფერს, მაგრამ აი, იმ ლიბერალთა ფრთას პირდაპირი მნიშვნელობით უხარია ეკლესიის ყოველი შავი ლაქა.

**— დაბოლოს, სამების სამწუხარო ამბავს უძღოდა თეა თუთბერიძის სოციალურ ქსელში დაწერილი ძალიან გამაღიზიანებელი ტექსტი — „მე მიყვარს ჩემი გეი პატრიარქი“...**

– არაეთიკურობასთან, უზნეობასთან გვაქვს საქმე. არასამთავრობოების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ საქართველოში იმძლავრა რუსულმა პროპაგანდამ. აი, მე მინდა ვკითხო თეა თუთბერიძეს და მისნაირებს, როდესაც მსგავსი ტიპის განცხადებებს აკეთებთ, ეს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს აგრესიას გამოიწვევს ხომ? ხო და ეს ყველაფერი შეიძლება ნაყოფიერად გამოიყენოს რუსულმა სპეცსამსახურებმა. ლოგიკურობის თვალსაზრისით, ვის ინტერესს ემსახურებით? ვის წისქვილზე ასხამთ წყალს, ვინ არის რუსული პროპაგანდის წყარო საქართველოში და ვინ მუშაობს ამისთვის? რა თქმა უნდა ე.წ. პროდასავლურ-ლიბერალური ფასეულობების ლობისტი არასამთავრობო მედიასაშუალებები, რომლებიც არად დაგიდევენ ნებისმიერ სოციალურ დაკვეთას, ქართველი ხალხის სულიერ მხარეს. ისინი თავიანთი ექსკლუზიური ჭეშმარიტებების ტირაჟირებით არიან დაკავებულები.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ტაქსისტი“, რომელიც ნაშოვნი ფულით გაჭირვებულებს საჭმელს ყიდულობს — თბილისური ამბავი



აკა სინჯიკაშვილი, რომელსაც სოციალური ქსელის მომხმარებელი ორიგინალური „ფეისბუკ“ პოსტებით იცნობს, ერთი დღით ტაქსის მძღოლი გახდა და გამომუშავებული ფულით გაჭირვებულებს საკვები უყიდა.

– 9 საათიდან დილის 7-ის ნახევრამდე ტაქსაობით სულ მოგროვდა 67 ლარი, რომლითაც ვიყიდე 36 ბურგერი და ზუსტად ამდენივე ადამიანმა შეიმსუბუქა შიმშილი „დინამოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე.

დანარჩენი:

1. მგზავრები გაცილებით დამპლები არიან, ვიდრე მძღოლები (ორჯერ გადამაგდეს).

2. ტაქსის ნიშანი მანქანაზე ნიშნავს, რომ ვაზშე ყველას ფეხებზე კიდიხარ ქალაქში.

3. ტაქსის მძღოლი მანქანაში ნივთივითაა და მასთან ერთად ყველაფერი შეიძლება, მაგალითად, ცოლის გინება.

4. მგზავრები ყოვლად უსირცხვილო ფასს გთავაზობენ, მაგალითად, პავლოვიდან ვარკეთილში 4 ლარი.

5. ყველას ტაქსში ახსენდება, რომ ძველი ბიჭია და შენზე ცდის ვაჟკაცობას.

6. ღორებივით იქცევიან, ყრიან ნაგავს და აქრობენ სიგარეტს რამეზე.



ნაცნობები, ვინც მირეკავდნენ (ასეთი ცოტა იყო), მათთან იმიტომ მივდიოდი, რომ მეტს მიხდიდნენ და უცხო მგზავრი გაცილებით მეტი იყო, რომლებიც ძალიან იაფად დამყავდა. პატრულიც გამოვკვებეთ, იქნებ ნაკლები აგრესია და მეტი ზრდილობა ჰქონდეთ და ასევე, დაცვის ბიჭი. უფროსმა გამომაგდო და მერე ჩუმად მივეცი, აილო და უბის ჯიბეში შეინახა, ძლივს იდგა ფეხზე. ფოტოს ვდებ მარტო იმის გამო, რომ ისეთებიც გამოჩნდებიან, ამ ამბავს რომ არ დაიჯერებენ. მთელი ამ ამბის მიზანია, რომ უფრო მეტ ადამიანს მოუნდეს დახმარება და როდისმე არავინ არ იყოს მშიერი ქვეყანაში. პ.ს. დღეს ღამით თუ მოვიცალე, კიდევ გავალ და ნუ მოგერიდებათ დარეკვა, გუშინ ამყვნენ ვიღაცები და იქნებ დღესაც იტაქსაოთ ვინმემ, კლიენტებს გაგიჩითავთ, – წერს აკა. (etanews.ge)

## წმინდა პანტელეიმონის ხატი ხანძარს გადაურჩა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოხვაურში მცხოვრები აროზელიძეების ოჯახი ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ხანძარს წმინდა პანტელეიმონის ხატი გადაურჩა და ის დღემდე იმ ადგილზე რჩება, სადაც ხანძრის გაჩენამდე იყო.

სოფელ ბოხვაურში მცხოვრებ აროზელიძეების ოჯახს საცხოვრებელი სახლი გასული წლის დეკემბერში დაეწვა. ხის მასალა, თუნუქის სახურავი და არმატურა ადგილზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ და ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა – გოჩა აბაშმაძემ მიიტანეს.

– ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს შევუმსუბუქოთ უბედური შემთხვევებისგან გამოწვეული ყოფის სიმძიმე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი საცხოვრებელი ბევრად უფრო ადრე დაიწვა, ვიდრე ჩვენ მოვიდოდით ადგილობრივ ხელისუფლებაში, მაინც ვახერხებთ მათ დახმარებას. ასეთი დაახლოებით 400-მდე ოჯახი გვყავს, – თქვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ. (gurianews.ge)

## „რუსეთთან დანასისხლად გადამტერებულ ქვეყანაში, უცხოელი ინვესტორი, ან ტურისტი არ ჩამოვა“



რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რუსეთთან დანასისხლად გადამტერებულ ქვეყანაში უცხოელი ინვესტორი ან ტურისტი არ ჩამოვა და ეს რეალობაა.

– ეს არის არაფორმალური დიალოგის ფორმატი და ვალდებულებებს არ ვიღებთ, არც დოკუმენტი ფორმდება. ხშირად, როდესაც ისმება კითხვა, რაზე მოილაპარაკეს პრაღაში, არ არის მართებული, რადგან იქ ვერაფერზე მოვილაპარაკებთ. ჩემი მანდატი არის ძალიან მკაფიოდ გაწერილი, ყოველი წასვლის წინ, პრემიერის განკარგულება მზადდება. იმის გამო, რომ ეს არის არაფორმალური დიალოგი, შეიძლება გაკეთდეს პირადი სახის კომენტარები და გამოითქვას მოსაზრებები. ყოველი მოლაპარაკების შემდეგ, ინფორმაცია ეგზავნება 15-მდე უწყებას და მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლებს. განსხვავებულ განცხადებებს ჩვენი ოპოზიციის ერთი ნაწილი აკეთებს. რუსეთთან დანასისხლად გადამტერებულ ქვეყანაში უცხოელი ინვესტორი ან ტურისტი არ ჩამოვა, ეს არის რეალობა, – განაცხადა აბაშიძემ.

მისი თქმით, რუსეთთან დიალოგი, ამ ხელისუფლების მიღწევების მნიშვნელოვანი ნაწილია.

– მოხარული ვიქნები, თუ ოპონენტებისგან მოვისმენ არა მხოლოდ – არ დაელაპარაკოთ რუსეთს, არამედ, კონსტრუქციულ გონივრულ წინადადებებს, თუ როგორ სჯობს ამ ფორმატის წარმართვა, – დასძინა აბაშიძემ. (pia.ge)

## რა საერთო აქვთ ქართველ და სერბ ტაქსის მძღოლებს




თეატრმცოდნე და კრიტიკოსი ლაშა ჩხარტიშვილი სოციალურ ქსელში ქართველი და სერბი ტაქსის მძღოლების შესახებ წერს.

როგორც აღმოჩნდა, საქართველოს მსგავსად, 2-დიპლომიან ტაქსის მძღოლებს სერბეთშიც შეხვდებით.

– აღმოჩნდა, რომ სერბებთან ბევრი საერთო გვქონია: მაგ. ტაქსისტები. აქაც – ორი დიპლომით და სხვა პროფესიით. ტაქსისტად კი არ დავბადებულვარ, ხმის რეჟისორად ვმუშაობდი თეატრშიო, – მითხრა. მთელი ცხოვრება თეატრში გავატარე და ახლა ვტაქსაობო. გამაცნო სერბული თეატრის რეჟისორები და მომიყვა სპეციფიკის შესახებ, რომ ამერიკული პიესის დადგმა კატეგორიულად აკრძალულია სცენაზეო, – წერს ლაშა ჩხარტიშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (plus.kvira.ge)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მომაკვდავმა მეცნიერმა უცხოპლანეტელების არსებობა აღიარა



ამერიკულ მასმედიაში გავრცელებული ცნობებით, ბოიდ ბუშმანმა, კორპორაცია Lockheed Martin-ის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, სიკვდილის წინ განაცხადა, რომ უცხოპლანეტელები არსებობენ და ისინი პერიოდულად დედამიწას სტუმრობენ.

ბუშმანის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, 33-წუთიანი ვიდეოჩანაწერი მომზადდა, რომელიც „იუთუბიზე" განთავსდა, მაგრამ ყურადღება მხოლოდ ახლა მიიქცია. აღნიშნულ ვიდეოში მეცნიერი უცხოპლანეტელების არსებობის შესახებ განცხადებას აკეთებს და ფოტომასალასაც წარმოადგენს. ბუშმანი ირწმუნება, რომ პირადადაც შეხვედრია და უკან წასვლის დროს სთხოვა, რომ მინიერი ვიდეოკამერა წაეღოთ. როდესაც უცხოპლანეტელებმა კამერა უკან დაუბრუნეს, მასზე მხოლოდ გაფუჭებული კადრები იყო ასახული. თურმე, ისინი სამხედროებთან თანამშრომლობენ. ისეთი შემთხვევა, როგორიცაა 1947 წელს როზუელში საიდუმლო პროგრამა „მოგულის" მეტეზონდის კატასტროფა, უცხოპლანეტელთა ნახელავია.

ამერიკელის თქმით, უცხოპლანეტელებს 200 წელზე მეტი ხნით სიცოცხლე შეუძლიათ. ხერხემლის ნაცვლად სამი ხრტილი და ადამიანზე უფრო ნაკლები ნეკნები აქვთ. სამაგიეროდ, მათ აზრების კითხვა შეუძლიათ და ადამიანებს ტელეპატიურად ეკონტაქტებიან.

„ისინი ოთხ-ნახევარი ან ხუთი ფუტის სიმაღლის იყვნენ, ხელისა და ფეხის თითები ისეთივე აქვთ, როგორიც ადამიანებს. კონტაქტს ტელეპატიურად ამყარებენ, შედიხართ ოთახში, სადაც ერთ-ერთი მათგანია და უცებ, თქვენს კითხვაზე თქვენივე ხმით გესმით პასუხი", – განაცხადა ბუშმანმა.

მისივე თქმით, არსებობენ ცუდი და კარგი უცხოპლანეტელები.

*apocalypse.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ხილი, რომელიც რამდენიმე წუთში ანადგურებს კიბოს უჯრედებს



უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანებს მეცნიერები განკურნებას ჰპირდებიან. მათ აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი ხილი, რომელიც ავსტრალიაში მოდის, ნივთიერებას შეიცავს, რომლებიც კიბოს უჯრედებს ანადგურებს.

კვლევის შედეგები ძალიან იმედისმომცემი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ექსპერიმენტი ცხოველებზე განხორციელდა, მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ამ დაავადების დამარცხება უკვე შესაძლებელია. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ „Blushwood"-ის სახელით ცნობილი ხილის თესლი EVS-46 შეიცავს, რომელიც კიბოს უჯრედებს მყისიერად ანადგურებს.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ევროკავშირში ექიმების დიდი რაოდენობა ჰომოსექსუალიზმს დაავადებად მიიჩნევს



ევროკავშირის ქვეყნების ექიმების დიდი რაოდენობა მიიჩნევს, რომ ჰომოსექსუალობა – დაავადება, ხოლო ტრანსსექსუალიზმი მენტალური აშლილობაა. ამის შესახებ, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს დირექტორმა, მაიკლ ო'ფლაჰერტიმ განაცხადა. მისი თქმით, ანგარიში, რომელიც სააგენტომ გამოაქვეყნა, მოიცავს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც ექიმების უმრავლესობა ჰომოსექსუალობას დაავადებად მიიჩნევს. ეს ქვეყნებია ესპანეთი, საბერძნეთი, დანია, იტალია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ლატვია, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი.

„ზოგიერთ ექიმს კვლავ არასწორად მიაჩნია, რომ ჰომოსექსუალობა დაავადებაა", – განაცხადა ო'ფლაჰერტიმ.

თუმცა, ზოგიერთ ამ ქვეყანაში, მათ შორის ესპანეთში, იტალიაში, დანიასა და უნგრეთში ექიმებს საკმარისი ცოდნა აქვთ „ლგბტ" პირების უფლებებისა და ბევრი მათგანი აცხადებს, რომ ისინი ისევე მკურნალობენ „ლგბტ" პირებს, როგორც სხვა ადამიანებს, ნათქვამია ანგარიშში.

სააგენტოს განცხადებით, კვლევა ევროკავშირის 19 ქვეყანაში ჩატარდა და თითოეულში მინიმუმ 1000 ექიმი და სამედიცინო ადმინისტრაციის წარმომადგენელი გამოკითხეს.

ევროპის საბჭოს 2010(5) რეკომენდაციის მიხედვით, წევრმა ქვეყნებმა ჰომოსექსუალობა დაავადებათა ჩამონათვალიდან უნდა ამოიღონ.

*euronews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ყველა ადამიანი აუტისტია?



ბრისტოლის უნივერსიტეტის, ბროუდის ინსტიტუტისა და მასაჩუსეტსის შტატის საავადმყოფოს მეცნიერებმა აუტიზმთან დაკავშირებულ გენეტიკურ მუტაციასა და ჯანმრთელ ადამიანებში სოციალიზაციის დარღვევის მსუბუქ ფორმას შორის კავშირი აღმოაჩინეს.

იმისთვის, რომ გენეტიკურ ფაქტორებსა და ადამიანების საერთო ქცევით მახასიათებლებს შორის ასოციაციური კავშირი ეპოვათ, მეცნიერები მოცემულობათა რამდენიმე კრებულს იყენებდნენ.

ეს მოცემულობები კი ბრიტანეთისა და საერთაშორისო კვლევის შედების საფუძველზე მიიღეს. მეცნიერები იკვლევდნენ მშობლებს და 1991-1992 წლებში გაჩენილ მათ შვილებს.

მას შემდეგ, რაც აუტიზმთან დაკავშირებული მუტაცია აღმოაჩინეს, ცდილობდნენ დაედგინათ, უკავშირდებოდა თუ არა მუტაცია სოციალიზაციის, მეტყველებისა და ქცევის ნორმების დარღვევას.

შედეგების თანახმად, გენეტიკური ფაქტორი ნამდვილად უკავშირდება ქცევის დარღვევას, ასევე, ჯანმრთელი ბავშვების ფსიქოლოგიურ განვითარებას. გარკვეული გენეტიკური რისკების ერთობლიობა, აუტისტური სპექტრის დარღვევის რისკს წარმოქმნის.

„ამ შედეგებით ჩვენ გენეტიკური ფაქტორების მოქმედების მექანიზმის შესწავლა შეგვიძლია. ახლა საშუალება გვაქვს გავიგოთ, გარკვეულ გენეტიკურ რისკებს როგორი დაავადება და სხვა ფენოტიპური გამოვლინებები უკავშირდება", – განაცხადა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, ელის რობინსონმა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ახალი წამალი მკერდის კიბოს 11 დღეში ამარცხებს – პაციენტებს ქიმიოთერაპიის კურსის გავლა აღარ სჭირდებათ



მკერდის კიბოს ევროპულ კონფერენციაზე ბრიტანელმა ონკოლოგებმა კოლეგებს მათი მოულოდნელი აღმოჩენის შესახებ აცნობეს.

როგორც კონფერენციის მონაწილე მეცნიერებმა განაცხადეს, 257 პაციენტზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ახალი წამალი მკერდის კიბოს 11 დღეში ამარცხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ონკოლოგიურ პაციენტებს ქიმიოთერაპიის კურსის გავლა აღარ სჭირდებათ.

კლინიკური ცდების ჩატარების დაწყებამდე ექიმები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ასეთ შედეგს მიაღწევდნენ.

წამლები, რომელთა დახმარებითაც მედიკოსებმა ასეთ შედეგს მიაღწიეს ლაპატინიბი და ტრასტუზუმაბია.

ორკვირიანი კურსის შედეგად პაციენტების 11 პროცენტს სიმსივნური წარმონაქმნი საერთოდ გაუქრა, ხოლო 17 პროცენტს 5 მმ-მდე შუმცირდა.

მიუხედავად ასეთი დრამატული შედეგისა, მკურნალობის კურსი ჯერ კიდევ ინტენსიურ კვლევას საჭიროებს.

*goodnews.on.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## აზიასა და აფრიკაში ეპიდემიის გავრცელება ევროპის ბრალია?



ვიღაც-ვიღაცებს რომ ეგონათ, აზია და აფრიკა დიზენტერიისა და ათასგვარი ინფექციის ბუდე იყო, მეცნიერებმა აღმოაჩინეს და განაცხადეს, – სიცრუეში გვიცხოვრია, დიზენტერია პირველად ევროპაში ჩაისახა და შემდეგ თითქმის მთელ დუნიას მოედოო.

მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფმა 1915 წლიდან 2011 წლამდე დიზენტერიის 330 შტამი შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ პირველი შტამი ევროპაში, მინიმუმ მე-18 საუკუნიდან ჩნდება. დანარჩენ კონტინენტებზე კი ემიგრანტების, სამხედროებისა და კოლონიზატორების დამსახურებით გავრცელდა.

ინფექცია ყველაზე სწრაფად იმპერიალიზმის ეპოქაში, 1889-1903 წლებში განვითარდა. უკანასკნელად კი ევროპაში პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს გვხვდება, რის შემდეგაც დაავადებამ დასავლეთი დატოვა, მაგრამ აზია-აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში არსებობას მე-20 ბოლომდე აგრძელებდა.

მეცნიერები ამბობენ, რომ ინფექციამ შეიძინა გენი, რომელიც ანტიბიოტიკების უმრავლესობას ანადგურებს. დღეს მიკრობების განადგურების უნარის მქონე პრეპარატების რაოდენობა 1 პროცენტზე ნაკლებია. ეს რიცხვი კი ახალი გლობალური ეპიდემიის საფრთხეს აძლიერებს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რა უნდა იცოდეთ საკვებით მოწამვლისა და ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს



უვარგისი საკვებით მოწამვლის შემთხვევაში და ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს ავადმყოფს, უპირველესად, კუჭი და ნაწლავები უნდა ამოვურეცხოთ, მერე კი, ექიმის მითითებით, საჭირო მედიკამენტები მისცეთ.

კუჭის ამორეცხვისას მოწამლული მარჯვენა გვერდზე დააწვინეთ, 5-6 ჭიქა თბილი წყალი დაალევინეთ და შეეცადეთ, ამოაღებინოს. ეს პროცედურა მანამდე გაიმეოროს, სანამ კუჭის უვარგისი შიგთავსი მთლიანად არ ამოვა, ამას კი ამოღებული წყლის გამჭვირვალობით გაიგებთ.

ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს, ამორეცხვა სასურველია, თუმცა აუცილებელი არ არის, მით უმეტეს მაშინ, როცა ალკოჰოლის მიღებიდან უკვე 3-4 საათია გასული.

*postalioni.com*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მდინარე აფხაზეთში
2. კაზინოს თანამშრომელი
3. კოცნა
4. თბილისის უბანი
5. რამაზ გიორგობიანი ფილმში
6. კამბოჯის დედაქალაქი
7. გოგოლის მოთხრობა
8. სამხედრო ფორმის შარვალი
9. ზღვის ძუძუმწოვარი
10. ის, ვინც ბარში დგას
11. რეჟისორი კლოდ ...
12. მომღერალი ... ჯონი
13. მსახიობი ... აბაშიძე
14. აბატი ფარიას ციხე
15. ათოსი, არამისი, ...
16. „კაცი, რომელიც იცინის" გოგონა
17. პრეზიდენტის ფიცი
18. მუხის დიდი ნოჟო
19. სია
20. ამერიკელი დეტექტივი და ჯაშუში ალან ...
21. კედელში ჩადგმული კარადა
22. მხატვარი ელენე ...
23. მსახიობი ... მური
24. ნაგებობა მდინარეზე
25. რამაზ ჩხიკვაძე ფილმში
26. ნავთობმზიდი გემი
27. არქიმედეს შეძახილი აბანოში
28. იურიდიული პირი
29. მაიმუნის სახეობა
30. კაკლის საბერტყი ჯოხი
31. სპორტის სახეობა
32. ნიშნავს ცივს
33. ცხოველების ექიმი
34. გაზეთების ჯიხური
35. მსახიობი ... პლიატი
36. კოლხი გრძნეული ქალი
37. ჩეხური გამომცემლობის ფირმა
38. მწვანე მინერალი
39. ბრინჯის კერძი
40. იჯარა
41. თევზის ძვალი
42. იაპონური ჭადრაკი
43. თევზის ჯიში
44. ყვავილი
45. მწვანე ადგილი უდაბნოში
46. სათევზაო ნაქსოვი
47. მაღაზიის დიდი ფანჯარა
48. მხ/ფ „ლოურენს ..."
49. ნეტარ მორწმუნენი
50. ვერდის ოპერა
51. მთვარე ... ლენა: ჩრდილოეთის ...
52. კომპოზიტორი ... ერგემლიძე
53. ძიძა
54. ინდური ფულის ერთეული
55. მოძღვრება მორალის შესახებ
56. ხორცის ნახარში
57. გორა ქუთაისში
58. ჭამის სურვილი
59. ლონდონის ცენტრი
60. კუდიანი ამფიბია
61. დიუმა. „... წლის შემდეგ"
62. მაჟორი და ...
63. პატარა სასაცილო ამბავი
64. მსახიობი ... იოსელიანი
65. სამი ფეხ, ანუ ...
66. საყნოსი თამბაქო
67. ოთახი დარბაზის წინ
68. ჩაის დეგუსტატორი
69. „გლახის ნაამბობი" პერსონაჟი
70. ადგილმდებარეობის ნახაზი
71. აკრძალვა ეპიდემიის დროს
72. ქალის სასიმღერო ხმა
73. დიზაინერი ... ბერგერი
74. მომღერალი ... პიეხა
75. უქონრო თუთი-ყუში
76. ვაზის სასხლავი მაკრატელი
77. დაკოდილი ცხენი
78. იტალიური ყველი
79. წყლის ტრანსპორტი
80. აშშ-ს დედაქალაქი
81. მსახიობი ჯორჯ ...
82. მიწის ფართობის ერთეული
83. მოჭადრაკე ანატოლი ...
84. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
85. ცხენის უკანა ნაწილი
86. რეჟისორი პედრო ...
87. ზონარზე ასხმული მძივები
88. ქალაქი სამხეთში
89. ნორვეგიის დედაქალაქი
90. კათოლიკე მღვდელი
91. ჭაობში წარმოქმნილი ნიადაგი
92. მოგზაური ფრიტიოფ ...
93. იტალიური ავტომობილი
94. ტბა აფხაზეთში
95. აქ დებენ ფსონებს
96. „... მონტე-კრისტო"
97. მთამსვლელი
98. ხასიათი
99. მსახიობი ... პლაჩიდო
100. საფრენი აპარატი
101. პოეტი იოსებ ...
102. მდინარე ინდოეთში
103. ნიშნავს კუთვნილებას
104. ლონდონის ცენტრი
105. კომპოზიტორი მიშელ ...
106. მსახიობი ... ჰაიეკი
107. სპორტის სახეობა
108. ორგანული ნივთიერება
109. სომხეთის დედაქალაქი
110. ყურძნის ჩირი
111. მხატვარი პოლ ...
112. მომღერალი ... ხალვაში
113. ნიავი
114. შვედური წვრილი ფული
115. მხატვარი კლოდ ...
116. ფრედი მერკურის ანსამბლი
117. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
118. გაზი, ანუ ...
119. წყვილი ერთიანი ნარდში
120. უნივერსიტეტი ... მატერი
121. ქალაქი გერმანიაში
122. მსახიობი ... ჰოუკი
123. მევიოლინე ... ისაკაძე
124. ღირებულება
125. მეჭეჭების მოსაშუშები სითხე
126. მსახიობი ... სარალიძე
127. ოსური ცეკვა
128. მხ/ფ „... და მარგარიტა"
129. თვითნასწავლი მხატვრობა
130. ახალი ზელანდიის მკვიდრი
131. მსახიობი ... ლონგორია
132. უბედურების სიგნალი
133. ჯამის ფორმის სასმისი
134. ზადი, ხინჯი
135. მხ/ფ „ქალაქი ..."
136. რეჟისორი ჯონ ...
137. მარცვლოვანი მცენარე
138. რიცხვი ექვსი ნულით
139. პრეზიდენტი ... ალიევი

პასუხები: 1. კელასური; 2. კრუპიე; 3. ამბორი; 4. ვაკე; 5. „სერენადა"; 6. პნომპენი; 7. „ვიი"; 8. გალიფე; 9. ლომვეშაპი; 10. ბარმენი; 11. ლელუში; 12. ელტონ; 13. ლეილა; 14. იფი; 15. პორთოსი; 16. დეა; 17. ინაუგურაცია; 18. ხარაბუზა; 19. რეესტრი; 20. პინკერტონი; 21. განჯინა; 22. ახვლედიანი; 23. როჯერ; 24. ხიდი; 25. „ნერგები"; 26. ტანკერი; 27. ევრიკა; 28. ნოტარიუსი; 29. პავიანი; 30. ხალა; 31. კრივი; 32. კრიო; 33. ვეტერინარი; 34. კიოსკი; 35. როსტისლავ; 36. მედეა; 37. „კარმა"; 38. მალაქიტი; 39. ფლავი; 40. არენდა; 41. ფხა; 42. გო; 43. კობრი; 44. ვარდი; 45. ოაზისი; 46. ბადე; 47. ვიტრინა; 48. არაბი; 49. არიან; 50. „ტრავიატა"; 51. ციალი; 52. ნუგზარ; 53. გადია; 54. რუპია; 55. ეთიკა; 56. ბულიონი; 57. უქიმერიონი; 58. მადა; 59. სიტი; 60. სალამანდრა; 61. ოცი; 62. მინორი; 63. ანეკდოტი; 64. ზანდა; 65. კვარტალი; 66. ბურნუთი; 67. ავანზალი; 68. ტიტესტერი; 69. გაბრიელი; 70. რუკა; 71. კარანტინი; 72. ალტი; 73. ზალიკო; 74. სტას; 75. არა; 76. სეკატორი; 77. იაბო; 78. მასკარპონე; 79. ნავი; 80. ვაშინგტონი; 81. კლუნი; 82. არი; 83. კარპოვი; 84. ინდიგო; 85. გავა; 86. ალმოდოვარი; 87. კრიალოსანი; 88. სპიტაკი; 89. ოსლო; 90. პადრე; 91. ტორფი; 92. ნანსენი; 93. „მაზერატი"; 94. რიწა; 95. ტოტალიზატორი; 96. გრაფი; 97. ალპინისტი; 98. ზნე; 99. მიქელე; 100. დელტაპლანი; 101. ნონეშვილი; 102. განგი; 103. პრო; 104. სიტი; 105. ლეგრანი; 106. სალმა; 107. გოლფი; 108. ანილინი; 109. ერევანი; 110. ქიშმიში; 111. გოგენი; 112. სოფო; 113. სიო; 114. ერე. 115. მონე; 116. „ქვინი"; 117. ესე; 118. აირი; 119. იაგანი; 120. ალმა; 121. ბონი; 122. იტან; 123. ლიანა; 124. ფასი; 125. ლაპისი; 126. ტრისტან; 127. „სიმდი"; 128. ოსტატი; 129. ნაივი; 130. მაორი; 131. ევა; 132. სოს; 133. ფიალა; 134. ნაკლი; 135. ანარა; 136. ვუ; 137. სიმინდი; 138. მილიონი; 139. ილჰამ. იკითხება: სოფი ლორენი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## პომადა და საპონი გულის დაავადებებს იწვევს?



ცნობილი ფაქტია, რომ მედიკოსები კოსმეტიკურ საშუალებებს დიდად არ სწყალობენ და ამბობენ, რომ მათი მოხმარების გამო ქრონიკული ალერგიისა და სხვა უსიამოვნებების გაჩენის საკმაოდ მაღალი რისკები არსებობს. რაც შეეხება უახლეს ინფორმაციას, ცნობილი ხდება, რომ კოსმეტიკურ საშუალებებს ადამიანისთვის გაცილებით სერიოზული პრობლემების გაჩენა შესძლებია.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ანტიბაქტერიული ნივთიერება ტრიკლოზონი, რომელიც კოსმეტიკისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის კომპონენტია, გულის დაავადებების პროვოცირებას ახდენს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მსხვილი კომპანიები, რომლებიც თავიანთი პროდუქციის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, ნელ-ნელა უარს ამბობენ აღნიშნული ნივთიერების გამოყენებაზე. ერთი კია, სამწუხაროდ, ანალოგიური ნაბიჯი ძალიან ბევრ მწარმოებელს დღემდე არ გადაუდგამს.

ტრიკლოზანის აქტიური გამოყენება გრძელდება სარეცხ და საწმენდ საშუალებებში. მავნე ნივთიერება, ასევე, შედის კოსმეტიკასა და პირადი ჰიჰიენის საშუალებებში – პომადაში, წარბებისა და წამწამების ჩრდილებში, დეზოდორანტებში, ანტიბაქტერიულ საპონში, კბილის პასტაში და ასე შემდეგ. უფრო მეტიც, ტრიკლოზანი, სამწუხაროდ, სათამაშოების წარმოებაშიც კი გამოიყენება.

როგორც კვლევებმა აჩვენა, ტრიკლოზანი კუნთების შეკუმშვას უშლის ხელს. ნივთიერებასთან კონტაქტის შემდეგ გულის მუშაობა 25 პროცენტით ნელდება, რასაც, ცხადია, სერიოზული პრობლემების გამოწვევა შეუძლია.

გარდა ამისა, ტრიკლოზანი იწვევს ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებულ პრობლემებს, უნაყოფობას, ვნებს ემბრიონის თავის ტვინს და ასე შემდეგ.

*myjane.ru*

## გაწმენდილი სასმელი წყალი ადამიანს სასარგებლო ბაქტერიების გარეშე ტოვებსო



ცნობილი ფაქტია, რომ მხოლოდ სუნთქვის პროცესი დღე-ღამეში ადამიანის სხეულიდან ერთ ჭიქა წყალს დევნის.

ჩვეულებრივი წყლის სასმელ წყლად გადაქცევა მას არა მხოლოდ მავნე, არამედ სასარგებლო ბაქტერიების გარეშე ტოვებს. ამასთანავე, როგორც ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, შესაძლებელია ზოგიერთი მავნე მიკროორგანიზმის სასარგებლოდ გადაქცევა.

წყლის გაწმენდა, რათა ის სასმელად გამოსადეგი იყოს, მილიონობით ბაქტერიას კლავს, თუმცა ყველა საშიში ნივთიერების განადგურება შეუძლებელია. სამაგიეროდ, იხოცებიან მიკროორგანიზმები, რომლებსაც დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიათ.

მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ლაგგარდ რასკინი დარწმუნებულია, რომ მცდელობები, წყალში შემავალი ყველა ბაქტერია ქლორითა და სხვა სადეზინფექციო საშუალებით განადგურდეს, უაზრობაა.

ტოტალური გაწმენდის მეთოდი იმ ფაქტის იგნორირებას ახდენს, რომ წყალი სასარგებლო მიკროორგანიზმებსაც შეიცავს, მათ შორის ისეთებსაც, რომელთა სასარგებლოდ გადაქცევა შეიძლება. მაგალითად, ნიტრატები, რომლებიც წყალს აბინძურებენ, შესაძლებელია, რომ უვნებელ აზოტად გადაიქცეს.

*firstnews.ru*

## აირჩიეთ — ან მწვადი ან სიგარეტი ან...



დიახაც, სწორედ ასეთი არჩევანის წინაშე აყენებენ სპეციალისტები მწეველებს, რომლებმაც ან მავნე ჩვევაზე უნდა თქვან უარი, ან კიდევ ტყეში ცეცხლის დანთებაზე და მწვადების აშიშხინებაზე.

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შეშისგან წამოსული კვამლი ოთხჯერ ზრდის ფილტვების ქრონიკული დაავადებების რისკს, როცა მას მწეველი ადამიანი შეისუნთქავს. აღნიშნულის მიზეზად ექსპერტები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ამ დროს მწეველის დეენემის ანომალიური ცვლილებები იწყება.

ცნობილია, რომ ბრიტანელმა მეცნიერებმა 1800 ადამიანი გამოკითხეს, რომელთა ნაწილს სიგარეტი დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაგდებული, ნაწილი კი კვლავ აქტიური მწეველების რიგებს მიეკუთვნებოდა. გამოკითხვის მთავარი მიზანი ჯანმრთელობაზე შეშის კვამლის გავლენის დადგენა იყო.

მიღებული მონაცემების გაანალიზების შემდეგ ნისლიან ალბიონზე დაადგინეს, რომ მწვადის მოყვარულ მწეველებში სერიოზული ცვლილებები ჰქონდა განცდილი 8 გენს, რომლებიც ფილტვის კიბოს განვითარებაზე არიან პასუხისმგებელნი.

მოკლედ, აირჩიეთ – ან მწვადი, ან სიგარეტი ან კიდევ ფილტვის კიბო!..

*med2.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**23 მარტი:** დღეს თუ რამე შეგეშალათ, ან თავი შეირცხვინეთ, ამაში სხვებს ნუ დაადანაშაულებთ. სიტუაცია გაიაზრეთ და გამოსწორების გზებზე იფიქრეთ.

**კურო 22.04-21.05**
**23 მარტი:** თქვენი თანაგრძნობა უსაზღვროა. არ მოგბეზრდათ? შეაფასეთ სიტუაცია და იმაში მაინც დარწმუნდით, გიფასებენ თუ არა ამაგს.

**ტყუპები 22.05-21.06**
**23 მარტი:** შესაძლოა, თქვენზე მეტად ძლიერი ძალის დაცვა მოგიწიოთ. ყველაფერი რომ დასრულდება, დააკვირდით, როგორ შეაფასებენ თქვენს ქმედებას.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**23 მარტი:** შეეცადეთ, დინებას მიჰყვეთ. თუკი შეწინააღმდეგებას მოინდომებთ, ვერ გაგიგებენ და თქვენს მცდელობას სიჯიუტესა და უზომო კაპრიზებს მიაწერენ.

**ლომი 23.07-22.08**
**23 მარტი:** შეიძლება თქვენი გონების სისხარტე რაიმე სახის ძლიერმა გრძნობებმა დაჩრდილოს. ძალიანაც ნუ გამოიდებთ თავს და ყველაფერს გულთან ნუ მიიტანთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**23 მარტი:** შეეცადეთ, დღეს სიკეთე აკეთოთ. კარგი იქნება, თუკი ყოველდღე გულისხმიერი იქნებით, მაგრამ მაშინ, საკუთარი საქმეები დაგრჩებათ გვერდზე.

**სასწორი 23.09-22.10**
**23 მარტი:** შეეცადეთ, ხმას არავითარ შემთხვევაში არ აუწიოთ, ვერაფერს მოიგებთ. ადამიანი, რომელსაც უნდა უყვიროთ, ამას არ იმსახურებს.

**მორიელი 23.10-21.11**
**23 მარტი:** თქვენი მეგობრების დახმარებით, რაღაც არაჩვეულებრივის შექმნის საშუალება მოგეცემათ. სცადეთ, რა გამოგივათ, მაგრამ ფრთხილად იმოქმედეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**23 მარტი:** იმდენად დიდი რესურსი გექნებათ, განსაზღვრა გაგიჭირდებათ, რაში დახარჯოთ. ეს დროებითია, ამიტომ დროულად და მიზანმიმართულად იმოქმედეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**23 მარტი:** დიდი ალბათობით, ძალიან გაღიზიანებული იქნებით. შეეცადეთ, ეს დღე სახლში სიმყუდროვეში გაატაროთ და გამაღიზიანებელ მომენტებს მოერიდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**23 მარტი:** ძალიან სასარგებლო გარიგების საშუალება მოგეცემათ. მისი დამახასიათებელი თვისება უბრალოება იქნება. თუ რამე რთულს შემოგთავაზებენ, უარი თქვით.

**თევზები 19.02-20.03**
**23 მარტი:** გარშემომყოფნი თქვენს ქმედებებს ნაჩქარევად შეაფასებენ, ამიტომ მათ აზრებს ნუ მიენდობით. მთავარია, თავად იყოთ დარწმუნებული, რომ სწორად იქცევით.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773

## კაფე-ბარი „გულის შეტევა“ სასოწარკვეთილებს სპეციალურ კერძს სთავაზობს

მართლაც, ძალიან უჩვეულო სახელწოდების მქონე კაფე-ბარის მდებარეობა: აშშ, არიზონას შტატი. სასოწარკვეთილი სტუმრებისთვის მომზადებული სპეციალური კერძის ზუსტი დასახელება: უცნობია, თუმცა მის კომპონენტებზე კი ახლავე მოგახსენებთ:

„გულის შეტევის“ საფირმო კერძი ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბუტერბროდია, თუმცა მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის გახლავთ, რომ 8 ათასი კილოკალორიითაა სავსე. კერძოდ, ბურგერი მომზადებულია დაახლოებით 1 კილოგრამი საქონლის ხორცისგან, ყველის სამი და ბეკონის ოთხი უსქელესი ფენისგან, სალათის ფოთლებისგან და პომიდვრისგან.

– იმისთვის, რათა ჩვენმა სტუმარმა ასეთი ბუტერბროდი შეჭამოს, აუცილებლად სასოწარკვეთილი უნდა იყოს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, დეპრესიაში მყოფი ადამიანი ძალიან ბევრს ჭამს და ამით ნერვებს იმშვიდებს, – განმარტავენ „გულის შეტევის“ ადმინისტრაციაში.

როგორი სულელური სახელიც აქვს ამ კაფე-ბარს, სერვისიც ისეთივე ჰქონიათ, თუმცა იმასაც ამბობენ, „გულის შეტევა“ სტუმრების მიღება-გასტუმრებას ვერ აუდისო.

*mainfun.ru*

მოამზადა მიხეილ სახვაძემ



– ბიჭიკია, აუჩქარე ფეხი, დროზე გავეცალოთ აქაურობას.

– რა მოხდა, შალიკია?

– გაიხედე გზის იქითა მხარეს, ჩემი ცოლი ჩემს საყვარელს ესაუბრება.

– რას ამბობ, ბიჭიკია, ეგ ჩემი ცოლი ელაპარაკება ჩემს საყვარელს! მართალი ხარ, დროზე გავეცალოთ აქაურობას!..

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ალექსიძის I კვარტალი 80-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.30

CIAN MAGENTA YALLOW BLACK